საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 056 (12 432) | 8 მარტი შაბათი 2008 წელი | ფასი 50 თეთრი



# ასათიანის სანახევრო შანსი

»» 4

# დინამო პირველობას ინარჩუნებს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 16 | 14 | 0 | 2 | 42-9 | 41 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 16 | 13 | 1 | 2 | 30-9 | 40 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 12 | 1 | 2 | 31-9 | 37 |
| 4. ოლიმპი | 15 | 9 | 3 | 3 | 16-9 | 30 |
| 5. ბორჯომი | 16 | 8 | 4 | 4 | 21-15 | 28 |
| 6. ამერი | 15 | 8 | 1 | 6 | 24-17 | 25 |
| 7. მესხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-21 | 20 |
| 8. სიონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-20 | 19 |
| 9. მგლები | 14 | 6 | 0 | 8 | 15-19 | 18 |
| 10. სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 7-18 | 15 |
| 11. მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 8-25 | 13 |
| 12. ლოკომოტივი | 15 | 3 | 1 | 11 | 9-23 | 10 |
| 13. დილა | 16 | 1 | 4 | 11 | 7-28 | 7 |
| 14. ბათუმი | 16 | 1 | 3 | 12 | 6-30 | 6 |

**დარჩენილი მატჩები**

**დღეს**

**15:00** ამერი-ოლიმპი

**15:00** მესხეთი-ლოკომოტივი

მგლები-ზესტაფონი **15:00 LIVE** მზე

გუშინდელი მატჩები »» 2-3



გუშინ ეროვნულზე. დინამო-ბორჯომი 4:2

ნუგზარ სუარიძის ფოტო

## ზუგდიდი ერთიანდება



ინტერვიუ ბესიკ შეროზიასთან »» 4

## ლატვიელებზე განაწყენებული



ინტერვიუ ბესიკ შეროზიასთან »» 5

## ლეინი აღტაცებულია



»» 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVI ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპარტაკი-მერანი

**1:0**

7.03. გორი. ქართლი
50 მაყურებელი

1:0 ტყეშელაშვილი (82)

სპარტაკი: კოდალაევი - დათუნაშვილი, ხაჭიპერაძე (53. კვარაცხელია), ქემოკლიძე, მამუკაშვილი - ხიდეშელი (46. ტყეშელაშვილი), თარხნიშვილი, გოგოხია, ძარია - ლონლაძე (72. მედოევი)

*სათადარიგოები: ქვილითაია, კუპრეიშვილი, ქორიძე, თექთურმანიძე*

მერანი: თევდორაძე - ლოლაძე, გიგაური, გრიგალაშვილი, სარალიძე - ჯანგიძე, კობერიძე (24. ქემაშვილი), კალაძე, ჟღენტი, ქოქიაშვილი (57. ბესარაშვილი) - გოჩაშვილი (46. იაგო დეისაძე)

*სათადარიგოები: გლუნჩაძე, იაკობ დეისაძე, ფურთუხია, თავბერიძე*

გაფრთხილება: ტყეშელაშვილი (60)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**7.** დავით გიგაურის მიერ მარცხენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიხეილ ჟღენტმა დაუხვედრა თავი, თუმცა მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**36.** გიორგი ხიდეშელმა შეასრულა საჯარიმოს ძლიერად, ბურთი ოდნავ სცდება კარს.

**67.** "სპარტაკის" კონტრშეტევისას შეცდნენ სტუმარი მცველები, რის შედეგად ბურთი სახეირო პოზიციაში მყოფ ლონლაძეს მიუვიდა, თუმცა მასპინძელთა თავდამსხმელმა ვერ გამოიყენა მომენტი.

**69.** ამჯერად უკვე კოდალაევის კართან დანიშნული სახიფათო ჯარიმა შეიძლებოდა გასულიყო კარში, მაგრამ ცხინვალელთა გოლკიპერმა ჯერ ჟღენტის დარტყმული უკუაგდო, შემდეგ კი ახლო მანძილიდან ბესარაშვილის დამატებულისგანაც იხსნა გუნდი.

**71.** ცხინვალელთა სწრაფი კონტრშეტევისას ლონლაძემ მარცხენა ფრთაზე გაიგდო ბურთი და საგოლე პოზიციაში მყოფ კვარაცხელიას ჩამოუწოდა. მასპინძელთა მოიერიშემ ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა.

**82.** 1:0 - კარიდან დაახლობით 25 მეტრში გიორგი ტყეშელაშვილმა მიიღო ბურთი, დაამუშავა და ძლიერად დაარტყა. თევდორაძე უძლური გამოდგა.

# ფეხბურთი ნათესავებისა და მეგობრებისათვის

"ქართლზე" გამართული შეხვედრა მეტად პრინციპული იყო ორივე გუნდისათვის. აქ მოპოვებული გამარჯვება ცხადია, ვერცერთ გუნდს მისცემდა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების გარანტიას, მაგრამ მოგება მდევართაგან ერთხანს ამოსუნთქვის საშუალების მისაცემად მნიშვნელოვანი იყო. ბუნებრივია, კარგად უწყოდნენ ისიც, რომ თუ მოგება სურდათ, საამისოდ უნდა ებრძოლათ კიდეც, მაგრამ პირველი ტაიმი იმდენად ცუდი სანახავი გამოდგა, მავანი იფიქრებდა, ამ გუნდებს თავი ქუდში აქვთ და ბრძოლა იმიტომაც არ ეხალისებათო.

თავის მხრივ საქართველოს ჩემპიონატში ასეთი "ბრძოლების" სიმრავლის გამო გასაკვირი არაა, რომ გულშემატკივარსაც არ ეხალისება სტადიონზე სიარული. „ქართლზე" ჩვენს მიერ მონიშნულ 50-მდე მაყურებელთაგან ძირითადი ნაწილი ფეხბურთელების ნათესავები და მეგობრები იყვნენ. ამიტომაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სპარტაკმაც" თავისი გამარჯვებით პირველ ყოვლისა, სანათესაო და სამეგობრო გაახარა. ამ უკანასკნელთა რიგებში, ალბათ, აღნიშნულ შეხვედრაზე მყოფი **დიმიტრი სანაკოევი** უნდა ვიგულისხმოთ. **კობა ჟორჟიკაშვილის** მიერ ამას წინათ ფეხბურთით მოწამლულ კაცად მოხსენიებული სანაკოევი, არათუ მხოლოდ ფეხბურთის ტრფიალი, ძალიან უშუალო ადამიანი ჩანს და თავისი გუნდის ფეხბურთელებთანაც შეიძლება ითქვას, შესანიშნავი ურთიერთობა აქვს. სწორედ მეგობრული იყო მისი შეძახილები ჯერ მატჩის მიმდინარეობისას, ხოლო შემდეგ ფეხბურთელებისათვის გამარჯვების მილოცვის დროს.

სტადიონზე შეკრებილებმა მხოლოდ მეორე ტაიმში იგრძნეს, რომ მობურთალნი მოედანზე ნამდვილად საბრძოველად გამოვიდნენ. უსახური პირველი 45 წუთის შემდეგ ჟორჟიკაშვილმა მეორე ტაიმში ეფექტური შეცვლები გააკეთა - ჯერ ინერტული შუა ხაზი გააძლიერა და აქვე აღვნიშნოთ, რომ გოლიც სწორედ **ტყეშელაშვილმა** გაიტანა, მეორე შეცვლაზე კი ცოტა არ იყოს გარისკა, რადგანაც მცველი მოხსნა და თავდამსხმელი დაამატა. გამომდინარე აქედან, კარგად ჩანდა, რომ „სპარტაკი" მოსაგებად დარჩენილ დროში ყველაფერს გააკეთებდა. იმავდროულად, "მერანს", არც მოედნის ცენტრი და არც მატჩის სადავეები უბრძოლველად არ დაუთმია, შესაბამისად ვერც **ეჯიბიშვილი** გამოუშვებდა გუნდს შესვენების შემდეგ დაუტუქსავს, მაგრამ სტუმარი ფეხბურთელები უფრო შეუთანხმებელნი იყვნენ მოქმედებებისას, ვიდრე ცხინვალელები. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მიზეზით ისინი სახიფათო მომენტებსაც კი ვერ ქმნიდნენ მოწინააღმდეგის კართან, თორემ ზოგადი საშემსრულებლო ოსტატობით „სპარტაკის" მობურთალნი მეტოქეს ნამდვილად არ ჯობდნენ. საერთოდაც თბილისელები ერთმანეთის მოქმედებით უკმაყოფილებას უფრო კარგად გამოხატავდნენ, ვიდრე საკუთარ შესაძლებლობებს.

"სპარტაკმა" კი ბოლოსკენ ალარაფერი დაზოგა. იბრძოლა და მოიმკო ის, რაც შესვენებამდე აშკარად არ ეკუთვნოდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# დინამოსთან უდინამოელებოდ



სპასოევიჩის გოლი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

## დინამო-ბორჯომი

**4:2**

7.03. თბილისი. ეროვნული
50 მაყურებელი

1:0 ვაწაძე (7. ოდიკაძის პასით), 2:0 სპასოევიჩი (44. მერებაშვილის პასით), 2:1 მეგრელაძე (57. ბოლქვაძის პასით), 3:1 ვაწაძე (სპასოევიჩის პასით), 4:1 ხუციშვილი (85. ვაწაძის პასით), 4:2 ლომიძე (90. გუგავას პასით).

დინამო: ლორია – შ. კაშია, გ. კაშია, ნერგაძე, დობეში (83. გველესიანი) – ოდიკაძე (28. სპასოევიჩი), დილმელაშვილი, ფირცხალავა (64. თომაშვილი), ხუციშვილი – მერებაშვილი, ვაწაძე.

*სათადარიგოები: ლოსაბერიძე, ქანთარია, აკირემი, ნემსაძე.*

ბორჯომი: სეფიაშვილი – გოგიჩაიშვილი, ქარქოზაშვილი, ქავთარაძე (56. ლომიძე), კაკუბავა (70. დევიძე) – კირთაძე, ბოლქვაძე, თედიაშვილი, გუგავა – ჯიუსი, მეგრელაძე.

სათადარიგოები: გრიშიკაშვილი.

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი.

**5.** პირველად კარში სტუმრებმა დაარტყეს. ბოლქვაძის დარტყმულის აღება ლორიას არ გასჭირვებია.

**8.** 1:0 - მარჯვენა ფრთიდან ოდიკაძემ ვაწაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა და "დინამოს" ახალბედა ფორვარდმა ანგარიში გახსნა.

**19.** მეგრელაძის დარტყმული მცირე მანძილით ასცდა ლორიას კარს.

**24.** გუგავა-ბოლქვაძე-მეგრელაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, მაგრამ ლორია მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

**28.** ბოლქვაძემ ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა - ბურთი მცირედით გადასცდა მასპინძელთა კარს.

**30.** ვაწაძის დარტყმულს ბორჯომელთა მეკარე გადაეფარა.

**44.** 2:0 - მერებაშვილის ჩინებული გადაცემა შეცვლაზე შესულმა სპასოევიჩმა გოლით დაასრულა.

**52.** მერებაშვილი სტუმართა საჯარიმოში წააქციეს. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ.

**57.** 2:1 - ბოლქვაძის კარგი პასი და მეგრელაძემ ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა.

**67.** მეგრელაძე დობეშს გაექცა, მაგრამ მის დარტყმულს ლორია გადაეფარა.

**73.** 3:1 - სპასოევიჩის პასით ვაწაძემ დუბლი გაიფორმა.

**78.** მეგრელაძის ყუმბარისებური დარტყმა მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს.

**83.** თომაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს, მაგრამ სტუმართა კიპერმა იმარჯვა.

**85.** 4:1 - ვაწაძემ დუბლი არ იკმარა და ხუციშვილის გოლის თანაავტორიც შეიქმნა.

**90.** 4:2 გუგავას ძლიერად დარტყმულმა ლორიას კარის ძელი შეაზანზარა. ასხლეტილი ბურთი შეცვლაზე შესულ ლომიძეს მიუვიდა და მანაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ეროვნულზე გამართული მატჩი უხვგოლიანი კი გამოდგა, თუმცა გამარჯვებული რომ მასპინძლები დარჩებოდნენ, ეჭვი არავის ეპარებოდა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე. "დინამოდან" განათხოვრებული ფეხბურთელებიდან რამდენიმეს უთამაშებლობის გამო, ბორჯომელებმა განაცხადიც კი ვერ შეავსეს ბოლომდე.

გატანილი ბურთების გარდა სხვაც არაერთი იყო აღსანიშნავი. უმთავრესად ის, რომ "დინამოს" ახალგაზრდა ფორვარდმა **მათე ვაწაძემ** გუშინ ბენეფისი მოაწყო. ორი გატანილი ბურთი და საგოლე პასი – ასეთია მისი მონაგარი. **გია მეგრელაძის** კარგი თამაშიც არ უნდა გამოგვრჩეს. წინა შეხვედრაში გატანილ ორს, მან გუშინ კიდევ ერთი დაუმატა. მეტის გატანაც შეეძლო, მაგრამ ხან მიზანმა უმტყუნა და ხანაც **ლორიამ** ივაჟკაცა.

მცირედი ტრავმების გამო, დინამოელები, **ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო** და **დიდიე ოვონო** თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს. ლეგიონერი მცველების არყოფნაში ნახევარმცველ **გიორგი ნერგაძეს** დაევალა მცველობა.

გუშინდელი მატჩზე ორი **ვაჟა ნემსაძე** იყო. გიორგი ნემსაძის შვილი, ვაჟა სათადარიგოთა შორის იყო, მისი ბაბუა **ვაჟა ნემსაძე** (უფროსი) კი მეორე იარუსზე მოკალათდა, მაგრამ შვილიშვილს გუშინ არ მოუწია თამაში.

კარგად წარმოჩნდა **ვალერი ბოლქვაძე**. ამ ნახევარმცველზე ბევრი ჩადის ფსონს – დიდ ფეხბურთს ითამაშებსო. გუშინ საგოლე პასიც მიითვალა.

**ოლეგ გველესიანმა** მარცხენა მცველი რომან დობეში შეცვალა. გველესიანი "დინამოში" რამდენიმე თვის წინათ ჩაირიცხა, მაგრამ ტრავმების გამო ბევრი გაუცდა. დავით ოდიკაძე სასტარტოში იყო და 28-ე წუთზე **ილია სპასოევიჩმა** შეცვალა. მატჩის შემდეგ დათომ გვითხრა, რომ შეცვლა თავად ითხოვა კუნთის დაჭიმვის გამო, მაგრამ საგანგაშო არაფერია.

**დავით ცაბაძე**



გიორგი ფეიქრიშვილი

## ფეიქრიშვილიც ბორჯომში ითამაშებს

**შოთა გრიგალაშვილის** შემდეგ "ბორჯომში" კარიერას კიდევ ერთი დინამოელი **გიორგი ფეიქრიშვილი** გააგრძელებს. ეს ცნობა "ბორჯომის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემაც** დაგვიდასტურა.

**დავით ცაბაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 16 | 14 | 0 | 2 | 42-9 | 41 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 16 | 13 | 1 | 2 | 30-9 | 40 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 12 | 1 | 2 | 31-9 | 37 |
| 4. ოლიმპი | 15 | 9 | 3 | 3 | 16-9 | 30 |
| 5. ბორჯომი | 16 | 8 | 4 | 4 | 21-15 | 28 |
| 6. ამერი | 15 | 8 | 1 | 6 | 24-17 | 25 |
| 7. მესხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-21 | 20 |
| 8. სიონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-20 | 19 |
| 9. მგლები | 14 | 6 | 0 | 8 | 15-19 | 18 |
| 10. სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 7-18 | 15 |
| 11. მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 8-25 | 13 |
| 12. ლოკომოტივი | 15 | 3 | 1 | 11 | 9-23 | 10 |
| 13. დილა | 16 | 1 | 4 | 11 | 7-28 | 7 |
| 14. ბათუმი | 16 | 1 | 3 | 12 | 6-30 | 6 |

| დარჩენილი მატჩები | |
|---|---|
| დღეს | |
| 15:00 | ამერი-ოლიმპი |
| 15:00 | მესხეთი-ლოკომოტივი |
| 15:00 | მგლები-ზესტაფონი |
| XIV ტურის გამოტოვებული მატჩი | |
| 11 მარტი. სამშაბათი | |
| 15:00 | მგლები-მესხეთი |

# ირლანდიამ სახალხო კაცს დაუძახა

## ტრაპატონიმ გვერდში ბრეიდიც ამოიყენა



ლაიამ ბრეიდი

2010 წლის მუნდიალის შესარჩევში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქის, ირლანდიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ახალი კადრია - **ჯოვანი ტრაპატონის** ორ ასისტენტს, **მარკო ტარდელისა** და **ფაუსტო როსის** კიდევ ერთი მიემატა - **ლაიამ ბრეიდი**.

ტრაპატონი, ტარდელი და როსი იტალიელები არიან და ირლანდიელებმა ეროვნულ გუნდში თვისტომსაც უხმეს - ბრეიდი 80-იან წლებში ირლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი და ნაკრების კაპიტანი იყო. ჯერ ტრაპატონის გაწვრთნილ ტურინის "იუვენტუსში"თამაშობდა, მერე კი მილანის "ინტერის" ფლეიმეიკერი იყო.

ბრეიდი ირლანდიაში ქარიზმატული კაცია, ის სამშობლოში სახალხო ფეხბურთელი იყო. ნაკრებში 72 კეპი მოუხვეჭია.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა www.nplg.gov.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVI ტური

# უსარგებლო ფრე



ანგარიში ჩასემმა ამ დარტყმით გახსნა

გურამ ტურაშვილის ფოტო

**ბათუმი-სიონი**

**1:1**

**7.03. ბათუმი. ანგისა**
**მაყურებელი**

0:1 ჩასემი (35), 1:1 ქებაძე (38. პენ.)

დინამო: სტურუა - კუნჭულია, თედორაძე, კ. მახარაძე, მაკარიანი - თურმანიძე, ბაბუნაშვილი, ბეყანიძე (78. ოქრუაშვილი), ქებაძე - ჩხეტიანი, ქუთათელაძე

*სათადარიგოები: თოთლაძე, გალოგრე, ფარტენაძე, ბაჯელიძე, ბ.მახარაძე, ტულუში.*

სიონი: ბობლიაშვილი - სვანიძე, ბოიომო, კობაური - შავგულიძე, სანიკიძე, ბაჯელიძე, კვიტაიშვილი (88. ჭელიძე), ნოზაძე - ჩასემი, ჯიქია (67. ოქროპირიძე)

სათადარიგოები: *იაშვილი, ავალიანი, ვაშაკიძე, კეტაშვილი, ნაყოფია.*

გაფრთხილება: ბაჯელიძე (20), ჯიქია (37), კ. მახარაძე (43), კობაური (49), ბაბუნაშვილი (74), ბოიომო (87)

არბიტრი: მ. ურუშაძე

მიუხედავად იმისა, რომ ზღვისპირელებმა „სიონთან" მატჩში ერთი ქულა მოიპოვეს, ეს მათთვის მეტად არასახარბიელო შედეგი გახლავთ. გავარდნის პირას მყოფმა „დინამომ" მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულა და ახლა მხოლოდ სასწაულიღა თუ უშველის.

მატჩი ორმხრივი შეტევებით დაიწყო და პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა მე-4 წუთზე შექმნეს - **ნოზაძის** პასი მიიღო მცველთაგან უყურადღებოდ მიტოვებულმა **კვიტაიშვილმა**, მაგრამ გატანა ვერ მოახერხა. საპასუხო შეტევა მასპინძლებმა მე-13 წუთზე წამოიწყეს. **თურმანიძის** შორეული, ძლიერი დარტყმა ხარიხას მოხვდა, კარის ხაზს დაეცა და გარეთ გამოვარდა. ამის შემდეგ „დინამო" გააქტიურდა. 30-ე წუთზე იმავე თურმანიძის საჯარიმო დარტყმა **ბობლიაშვილმა** მხოლოდ ნახტომში მოიგერია. 35-ე წუთზე კი მასპინძლებმა მეტად კურიოზული გოლი გაუშვეს. სანიკიძემ საკუთარი ნახევრიდან ბურთი მეტოქის მოედანზე გადაიტანა. ბურთს **კახა მახარაძე** და **ბეგლარ თედორაძე** გაეკიდნენ. **სტურუამაც** დატოვა კარი, მაგრამ ბურთისკენ ზანტად დაიძრა. მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელი ქმედებით **ჩასემმა** ისარგებლა, ბურთი მეტოქეებს მოპარა და აულელვებლად გაიტანა — 0:1. მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება მალევე შეძლეს. **ბაბუნაშვილის** წაქცევისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც ზუსტად შეასრულა **ქებაძემ**. ორიოდ წუთში მასპინძლებს წინ გასვლაც შეეძლოთ, ბაბუნაშვილმა შენიშნა **ჩხეტიანის** მოძრაობა და კარგი პასი მიაწოდა, თუმცა ამ უკანასკნელს არაზუსტად დაარტყა.

მატჩის მეორე ნახევარი ბათუმელებმა შტურმში გაატარეს, თუმცა ერთადერთი სახიფათო მომენტი 65-ე წუთზე შექმნეს. თურმანიძემ კუთხური ჩააწოდა, ქებაძემ თავით კარგად კი დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. ეს იყო და ეს, მეტი დასამახსოვრებელი მატჩში არაფერი მომხდარა.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

# გეგმა იოლად შესრულდა

**ვიტ ჯორჯია-დილა**

**2:0**

**7.03. მცხეთა. არმაზი**
**200 მაყურებელი**

1:0 გ. დათუნაიშვილი (34. რაზმაძის პასით), 2:0 ლიპარტია (80. მელქაძის პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (56. პ. დათუნაიშვილი), კლიმიაშვილი - მელქაძე, ლუჭაშვილი (62. ბერიაშვილი), სახოკია (66. ლიპარტია)

*სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ინჯგია, კვალინიძე, ყველაშვილი*

დილა: კეჩხუაშვილი - ლაცაბიძე, გვეტაძე, ბერიანიძე, ბალიაშვილი - ი. ლომიძე (76. ბ. ჩიტაია), ნ. ნოზაძე (66. აბრამიშვილი), საყვარელიძე, ვარდოსანიძე - გ. მიქაძე, გ. წინამძღვრიშვილი (46. იჩქითი)

*სათადარიგოები: ცერცვაძე, რატიანი, ლ. რეხვიაშვილი*

გაფრთხილება: კეჩხუაშვილი (12), რაზმაძე (17), საყვარელიძე (35), გ. მიქაძე (58), ბერიაშვილი (89), აბრამიშვილი (90)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

3. სახოკია კეჩხუაშვილთან პირისპირ გავიდა, მისთვის ბურთის თავზე გადაგდებას შეეცადა, მაგრამ "დილას" მეკარეს ვერ აჯობა.

20. სახოკიას დარტყმა მეკარემ მოიგერია.

26. ნოზაძემ ჩააწოდა, მიქაძემ თავით არაზუსტად დაარტყა.

34. 1:0 - რაზმაძის ჩაწოდებულზე გიორგი დათუნაიშვილმა ყველას დაასწრო.

48. ლუჭაშვილის გადაცემა სახოკიამ ვერ გამოიყენა - ახლო მანძილიდან დაუცველ კარს ააცილა.

65. გიორგი დათუნაიშვილმა არაზუსტად დაარტყა.

79. ლიპარტიამ მეკარესთან პირისპირ ბერიაშვილი გაიყვანა, ამ უკანასკნელმა შანსი ვერ გამოიყენა.

80. 2:0 - მელქაძის პასით ლიპარტია კეჩხუაშვილს ერთი-ერთზე შეეყარა, სტუმართა მეკარეს გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

გუშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ "დილას" უმაღლეს ლიგაში დარჩენის პერსპექტივა, ფაქტობრივად, არა აქვს. "ვიტ ჯორჯიასთან" გორელები უშანსოდ იყვნენ. სხვა რომ არაფერი, მათ მცხეთაში სამი წამყვანი ფეხბურთელი (**ბალაშვილი, შატაკიშვილი, სულთანიშვილი**) აკლდათ, რაც სტუმართა შანსებს კიდევ უფრო ამცირებდა.

ვეტერინარებს სეზონის საუკეთესო მატჩი ნამდვილად არ ჩაუტარებიათ, მაგრამ მათი უპირატესობა წამითაც არ ინვევდა ეჭვს. მაშინ, როცა **ნესტორ მუმლაძის** გუნდს გადამწყვეტი ბრძოლები წინ აქვს, "ვიტ ჯორჯიას" ვერავინ დაძრახავს იმის გამო, რომ დაგეგმილი სამი ქულა ძალების დაზოგვით მოიპოვა.

მასპინძელთა უპირატესობა შეხვედრის პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა. **სახოკიამ** ორი რეალური მომენტი გააცუდა, მომწიფებული გოლი კი პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა. გორელებმა უმცროსი **დათუნაიშვილის** გოლი ცოტა ხანს აპროტესტეს, მათი აზრით, ჯორჯიელმა თამაშგარედან გაიტანა.

მეორე გოლამდე "ვიტ ჯორჯიამ" კიდევ რამდენიმე რეალური შანსი გაუშვა ხელიდან და დამსახურებული მეორე ბურთი შეხვედრის მიწურულსღა გაიტანა. ისევე, როგორც "ლოკომოტივთან" მატჩში, აქაც კარგად ჩაერთო თამაშში ვეტერინართა მარცხენაფლანგელი **ჯაბა ლიპარტია**, რომელმაც გუშინ უმაღლეს ლიგაში პირველი გოლი იზეიმა.

"ვიტ ჯორჯიას" შემდეგი შეხვედრისთვის მოსამზადებლად ერთი კვირა აქვს, მაშინ როცა მისი კონკურენტები შუა კვირაში თასის მეოთხედფინალში ითამაშებენ. მოკლედ, ეს ტური ვეტერინარებმა წარმატებით გაიარეს და ვნახოთ, რა მოხდება სეზონის დასკვნით ნაწილში. "დილას" კი დაქვეითებისგან, ალბათ, სასწაულიც ვერ იხსნის...

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

# რა ემცხეთათ მცხეთელებს

## ჩვენ ერთი მუშტი გვაქვს



გიორგი დათუნაიშვილი

თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" მეორე წრე რიხით დაიწყო - სამი თამაშიდან სამივე მოიგო და ლიდერ "დინამოს" ორი ქულით ჩამორჩება.

ვიტჯორჯიელთა ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი 23 წლის **გიორგი დათუნაიშვილია**. პირველ წრეში გუნდის მთავარმეგოლე **ნიკა გელაშვილი** იყო რვა გოლით, ვინც მერე "ზესტაფონში" გადავიდა. ამ დროისთვის კი "ვიტ ჯორჯიას" ბომბარდირები ნახევარმცველები გიორგი დათუნაიშვილი და **გიორგი მელქაძე** არიან 4-4 გოლით.

*"ვერ გეტყვით რატომ მოხდა ისე, რომ გუნდის ბომბარდირები ნახევარმცველები ვართ. პირველ წრეში აქცენტი იმაზე გვქონდა, გელაშვილი გაგვეყვანა საგოლე პოზიციაზე. ახლა კი ცოტა უნდა ვაცალოთ ჩვენს ფორვარდებს",* - გვითხრა დათუნაიშვილმა.

"ვიტ ჯორჯიაში" გიორგის ძმა პაატაც თამაშობს, ვინც მასზე ორი წლით უფროსია. ისინი განსხვავებული ტიპის ფეხბურთელები არიან - პაატა უფრო ღონიერი და მებრძოლია, გიორგი კი უფრო რბილი და შემქმნელი.

*"ახლა მეც მოვღონიერდი, ვგრძნობ, საუკეთესო ფორმაში შევდივარ, თუმცა პაატა ახლაც ჩემზე უფრო ჯანიანია".*

შარშან "ვიტ ჯორჯიიდან" **დავით დილმელაშვილი** რომ წავიდა, ბევრს ეგონა, გუნდს ამით ხერხემალი გამოეცლებაო. დილმელაშვილის წასვლა ვიტელებისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო, თუმცა ფაქტია, "ვიტ ჯორჯია" ისევ მოწინავეებშია. ამ დროისთვის კი ვიტელთა ნახევარდაცვაში ვინძლო გიორგი დათუნაშვილი იყოს მთავარი კაცი.

*"საკუთარ თავს დილმელაშვილს ვერ შევადარებ, როცა ის ჩვენთან იყო, გუნდის შეტევებს ის წარმართავდა. ჩემი ძმისგან და დილმელაშვილისგან ბევრი სასარგებლო რჩევა მიმიღია. რჩევის მიღებას არასდროს ვთაკილობ".*

ამ გუნდს აქვს მკაფიო პოლიტიკა - აქცენტს აკეთებს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე და მათ ექსპორტზე. მიუხედავად ამისა, "ვიტ ჯორჯია" ჩემპიონატის ცხრილში სულ ზედა სართულებზეა.

*"რა არის ჩვენი სიძლიერის განმსაზღვრელი? ის, რომ "ვიტ ჯორჯია" ძალიან შეკრული გუნდია. ეს ჩვენ დიდ უპირატესობას გვაძლევს. "ვიტ ჯორჯია" ერთ მუშტად შეკრული რომ არის, ეს ალბათ გარედანაც ჩანს".*

გიორგის "ვიტ ჯორჯიასთან" 2009 წლის თებერვლამდე ჰქონდა კონტრაქტი და ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით გააგრძელა - კლუბმა მას უკეთესი პირობები შესთავაზა.

მაგრამ ამ ყველაფერში არის ერთი "მაგრამ" - გუნდის საშინაო მატჩებზე მცხეთაში ძალიან ცოტა გულშემატკივარი დადის.

*"ვიტ ჯორჯიის" საშინაო თამაშებზე უმეტესად ჩვენი ნათესავები და მეგობრები დადიან, ალბათ იმიტომ, რომ მცხეთელებს მაინცდამაინც არ უყვართ ფეხბურთი".*

**დავით თავართქილაძე**

# გელაშვილი ამ სეზონში დაბრუნდება

როგორც გახსოვთ, "ზესტაფონის" ახალწვეულმა **ნიკა გელაშვილმა** თურქულ შეკრებაზე ლავიწის ძვალი გაიტეხა. თავდაპირველი ვარაუდით, იგი სეზონის ბოლომდე ველარ შეძლებდა თამაშს, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესი მოსალოდნელზე სწრაფად მიმდინარეობს.

გუშინ ნიკა მცხეთაში თავისი ყოფილი გუნდის, "ვიტ ჯორჯიასა" და გორის "დილას" მატჩს დაესწრო. *"რამდენიმე დღეში სირბილს დავიწყებ, ხოლო თუ ექიმების ვარაუდი გამართლდა, მოედანს ამ სეზონშივე დავუბრუნდები. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მიმდინარე სეზონში რამდენიმე მატჩის ჩატარება უნდა მოვასწრო,"* - გვითხრა საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ნიკოლოზ გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# დვალის მეოთხე



ჯაბა დვალი

მოლდოვაში მე-20 ტურის მატჩები გაიმართა. **მამუკა ლომიძის „ზიმბრუ"** „ტირასპოლს" ესტუმრა და 0:0 ეთამაშა. მამუკამ წლეულს პირველად ითამაშა, ის **კოჟოკარმა** 90-ე წუთზე შეცვალა. პირველ ტაიმში მას გოლის გატანის შანსი ჰქონდა, თუმცა დარტყმული სუსტი გამოუვიდა.

მეორეადგილოსანმა „დაჩიამ" 3:1 დაამარცხა „პოლიტეხნიკა". **ჯაბა დვალმა** 53-ე წუთზე 2:0 გახადა. ეს მისი მეოთხე გოლია მიმდინარე სეზონში. ჯაბა 68-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **ლევან კორღალიძემ** სრულად ითამაშა.

ლიდერმა „შერიფმა" 1:0 დაამარცხა „ტილიგული". გუნდის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. მას დაცვაში პრობლემა არ შექმნია და თანაგუნდელებს შეტევებშიც ბევრჯერ დაეხმარა გრძელი პასებით.

„შერიფი" 48 ქულით პირველია, მეორეადგილოსან „დაჩიას" 41 ქულა აქვს, „ზიმბრუ" მხოლოდ მეხუთეა 32 ქულით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ასათიანის 1.8 მილიონი და სანახევრო შანსები



მალხაზ ასათიანი

ხვალ რუსეთში მორიგი საფეხბურთო სეზონი სუპერთასით გაიხსნება. ტიტულისთვის მოსკოვის "ლოკომოტივი" და სანკტ პეტერბურგის "ზენიტი" იბრძოლებენ. ამ მნიშვნელოვან შეხვედრაში ჯერ კიდევ საეჭვოა **მალხაზ ასათიანის** თამაში.

*"წელი მტკივა და მცირედი პრობლემა კიდევ მაქვს. ვფიქრობ მალე მწყობრში ვიქნები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი შევძლებ თუ არა სუპერთასზე თამაშს.*

*რაც შეეხება გუნდს, "ლოკომოტივი" კარგ ფორმაშია. მოსამზადებელ შეკრებაზე ფიზიკურ კონდიციებსა და ტაქტიკაზე ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ჩვენი მომზადების პირველი ნაყოფი კი 9 და 16 მარტის მატჩებში გამოჩნდება. "ზენიტთან" ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ. ისეთს, როგორსაც ჩვენგან მწვრთნელი ითხოვს",* - აღნიშნა ასათიანმა.

ვებგვერდმა ნიუსრუმ რუსეთის პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელების სია შემოგვთავაზა (სულ 34 მოთამაშე). ამ ჩამონათვალში მხოლოდ ერთი ქართველი ლეგიონერია – მალხაზ ასათიანი. სიას 2.5-2.5 მილიონი ევროთი ლოკომოტიველი **პიტერ ოდემვინგი** და დინამოელი **ალექსანდრ კერჟაკოვი** ლიდერობენ. ასათიანი მოსკოვის "დინამოს" **დანისთან** ერთად, 1.8-1.8 მილიონი ევროთი, მერვე-მეცხრე ადგილებს იყოფს.

რუსული პრესა "ზენიტთან" სუპერთასის მატჩსა და სამომავლო გეგმებზე **დავით მუჯირსაც** გაესაუბრა.

*"ზენიტი" რუსეთის ჩემპიონია, კარგი გუნდია და სუპერთასის მატჩის შანსებზე საუბარი გამიჭირდება. თუმცა ერთს კი გპირდებით, საინტერესო და დაძაბული მატჩი იქნება",* - განაცხადა ქართველმა ფეხბურთელმა.

დავით ცაბაძე

# რომელ გუნდთან გაერთიანდება მგლები?

## ბესიკ შეროზია მომავალ სეზონს დიდი იმედებით უყურებს

**ზუგდიდის "მგლები" წლეულს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, "კერკეტი კაკლის" სახელიც დაიმკვიდრა და ბევრი გუნდი გაამწარა. თუმცა ამბიციურ ზუგდიდელ გულშემატკივრებს ქართულ ფეხბურთში მხოლოდ პატარა მიზნები არ აკმაყოფილებთ და იციან კიდეც - მეტი შეუძლიათ. ზუგდიდი ქართული ფეხბურთის დამალული მარგალიტია და გაჭირვებაში თუ ზრდიდნენ გამორჩეულ ფეხბურთელებს და ეროვნულ ნაკრებს მაინც ამარაგებდნენ, ფინანსურად წელში გამართულები გაცილებით მეტს მოახერხებენ.**

**ამის სჯერა ზუგდიდის "მგლების" მთავარ მწვრთნელ ბესიკ შეროზიას, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით. მთავარი თემა დღევანდელი მატჩი გახლდათ, რომელიც ტურში უმნიშვნელოვანესია - "მგლები" ჩემპიონობის ერთ-ერთ მაძიებელ "ზესტაფონს" მასპინძლობს.**



ბესიკ შეროზია

**- როგორ ემზადება თამაშისთვის "მგლები"?**

- წინა ტურში თბილისში "მერანთან" სამი ქულა მოვიპოვეთ და ამან ბიჭებზე ძალიან კარგად იმოქმედა. გუნდში საოცარი განწყობაა, ეს ისეთი სტიმული იყო, რომ ახლაც არ მოვეშვებით.

რა თქმა უნდა, "ზესტაფონი" ნებისმიერი ქართული გუნდისთვის მრისხანე ძალაა. ჩემპიონობისთვის იბრძვის, მაგრამ ზუგდიდში იოლი შეხვედრა არ ელის. ამის თქმა ნაღდად შემიძლია.

**- თქვენი აზრით, რა არის მეტოქის ყველაზე თვალსაჩინო პლუსი?**

- ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული გუნდია. ეს "ზესტაფონის" ყველაზე დიდი პლუსია. ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელები და მწვრთნელი ჰყავს და დალაგებულ ფეხბურთს აჩვენებს. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ფეხბურთელს რომ შემცვლელს მოუძებნიან, იმ გუნდზე კარგის მეტი რა უნდა ვთქვა.

ვნახე მათი შეხვედრა ახალციხის "მესხეთთან" და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

**- "მგლების" ყველა ფეხბურთელი წესრიგშია და ითამაშებს?**

- დიახ, ყველა ჯანმრთელდაა, არც ერთი არაა ტრავმირებული. რაც მთავარია, თამაშს ბარათების გამოც არავინ ტოვებს.

**- თქვენს თავდამსხმელი გიორგი ჭედიაზე გკითხავთ, ჟოდინოს "ტორპედოში" ჩაირიცხაო...**

- "ტორპედოში" რომ ისინჯებოდა ვიცი, მაგრამ მეტი ინფორმაცია არ გამაჩნია.

**- "თანამეგობრობის თასზე" რუსთავის "ოლიმპმა" ის თავის განაცხადში შეიყვანა. რუსთავში რატომ არ დარჩა?**

- ეს ინფორმაცია ჩემთვის დღემდე უცნობი იყო. გიორგის ჩვენთან ჰქონდა კონტრაქტი და ვიცი, ბალტიისპირეთში, "კაუნასში"' ისინჯებოდა. ბელარუსში როგორ აღმოჩნდა, ჩემთვის უცნობია. ის აღარ გვეკუთვნის, კონტრაქტი დაუმთავრდა.

**- მოდით, "მგლების" დაფინანსებაზე ვისაუბროთ. როგორც ვიცით, დიდი ფულით კლუბი ვერ დაიკვეხნის.**

- წლეულს ჩვენი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და მაისამდე რამენაირად უნდა გავიჭირვოთ. აი, შემდეგ სეზონში კი, დიდი იმედი გამოჩნდა, რომ გულშემატკივარი გაცილებით ძლიერ გუნდს იხილავს.

**- "მგლებს" რომელიმე კომპანია ან კერძო ბიზნესმენი დაეხმარება?**

- ჯერ არ მსურს ყველაფერი ვთქვა, მაგრამ სწორედ ამის იმედია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოლაპარაკებები რომ მიდის, შემიძლია გითხრათ.

**- თუ საიდუმლო არაა ვისთან?**

- მალე ყველაფერი გვეცოდინება. ხომ გითხარით, ჯერ საბოლოო პასუხი თავადაც არ ვიცით და აჩქარება არ მინდა. ზოგადად გეტყვით, რომ შესაძლოა, ორი გუნდი გაერთიანდეს.

**- ანუ მართალია ის ხმები, თითქოს, საფეხბურთო კლუბ "ბაიას" მეპატრონე ზვიად სიჭინავა "მგლების" მეპატრონეებთან გაერთიანებას თანხმდება და საერთო ძალებით შექმნით კლუბს?**

- თუ ეს უკვე იცით, მაშინ გეტყვით, რომ მართლა ასეა. ჯერ მოლაპარაკება არ დასრულებულა, მაგრამ გაერთიანების სურვილი არის. ამით ჩვენი ქალაქიც მოიგებს და ქართული ფეხბურთიც. ზუგდიდი დიდი საფეხბურთო პოტენციალის ქალაქია და ძალების გაერთიანება გვჭირდება. ასე მეტსაც მივაღწევთ.

დღეს კი მცირე ბიუჯეტით შესაბამის ამოცანებს თუ შევეჭიდებით.

**- ზამთარში ბევრი ფეხბურთელი დაკარგეთ და თითქმის ვერავინ შეიძინეთ...**

- პირველი წრის შემდეგ მართლა ძალიან დავსუსტდით. თუმცა ჩვენ იმდენი ნიჭიერი ბიჭი გვყავს, ისინი იმედებს გაამართლებენ. დავიმატეთ მხოლოდ გიგა ჟვანია და ლერი ხოხონიშვილი. პირველი ჩემთან "სპარტაკში" და "მგლებში" პირველ ლიგაში თამაშობდა, ლერი ხოხონიშვილი კი "ლოკომოტივში" იყო და პირველივე შეხვედრა ძალიან კარგად ჩაატარა.

საერთოდაც, ვფიქრობ, რომ მალე დღევანდელი შემადგენლობით ურიგო გუნდი არ გამოვა. უბრალოდ, დრო, ბევრი შრომა და მოთმინება გვჭირდება.

მერაბ მამულაშვილი

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

# ზურაბ მენთეშაშვილს ბავშვობაში ბურთით ეძინა

## რა აწყენინეს ნაკრების ნახევარმცველს ლატვიელებმა

ახალი სეზონისთვის ემზადება ზურაბ მენთეშაშვილის "ვენტსპილსი". ლატვიის ორგზის ჩემპიონს მესამედ სურს ოქროს მოპოვება. ვენტსპილსელთა მიერ ბოლოს გამართულ მატჩებში მენთეშაშვილს არ უთამაშია. საქმე ის გახლავთ, რომ ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსი ჯერ კიდევ არ დაუსრულებია და კვლავაც ინდივიდუალური პროგრამით განაგრძობს ვარჯიშს. ლატვიურმა ვებგვერდებმა ზურაბ მენთეშაშვილთან ინტერვიუ გაავრცელეს. საუბრის დიდი ნაწილი "ვენტსპილსის" თემას ეხება და ჩვენც შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ.

**- ზურაბ, პირველად როდის გითხრეს, რომ ტექნიკური ფეხბურთელი ხარ?**

- ეს ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში იყო. ტექნიკურობის გამოისობით არაერთი პრიზი მაქვს მოპოვებული როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში ჩატარებულ ტურნირებზე. შემიძლია ერთ პრიზზე ისტორიაც კი გიამბოთ... ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა ფინეთში საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზეთ და მეორე ადგილი დავიკავეთ, მხოლოდ ბრაზილიამ გვაჯობა. ტურნირის მსვლელობისას ფინეთში მაშინ პირველად ვნახე სათამაშო – მაგიდის ფეხბურთი. ძალიან მომეწონა და მინდოდა მეყიდა, მაგრამ ფული არ მქონდა მის შესაძენად. თუმცა ყველაფერი ჩემთვის სასიკეთოდ აეწყო. გათამაშების ბოლოს, დაჯილდოების ცერემონიალზე, ჩემთვის მოულოდნელად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, პრიზად სწორედ ის სათამაშო გადმომცეს. ის პრიზი ჩემთვის ახლაც რელიკვიაა და თბილისში სახლში საპატიო ადგილზე მაქვს შენახული.

**- როგორ ფიქრობ, ტექნიკურობა ბუნების საჩუქარია?**

- ვფიქრობ, ასეა. ბურთი ბავშვობიდანვე მიყვარდა. მეტსაც გეტყვით, ხშირად ბურთთან ერთადაც კი დამიძინია. სახლშიც ხშირად მითამაშია, რასაც არაერთი ბროლის ნივთი შეეწირა. ამის გამო დედა ხშირად მიბრაზდებოდა...

**- რომელი ფეხბურთელის ტექნიკაა შენთვის ეტალონი?**

- მარადონასი და ზიდანის.

**- ყველაზე მეტად რომელი გოლი დაგამახსოვრდა?**

- "სკონტოში" ასპარეზობისას "მეტალურგსის" კარში გატანილი ბურთი. ფლანგზე გაჭრილმა სემიონოვსმა საჯარიმოში ჩამოაწოდა, შეუჩერებლივ "მაკრატელათი" დავარტყი და "ცხრიანში" გავიტანე.

**- "ვენტსპილსში" არანაკლებ ჩინებული გოლი გაიტანე, ყოფილი გუნდის, "სკონტოს" კარში...**

- დიახ, გამახსენდა. მართლაც ლამაზი გოლი იყო. თუმცა მთავარია, რომ ჩვენ ის მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. იმ შეტევის დასაწყისში, ჩემს მეგობარს, ზაალ ელიავას ავართვი ბურთი და გავიტანე. თუმცა არაფერია, ელიავა აიტანს (იცინის)...

**- როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ლატვიის ჩემპიონატში პროგრესირებს?**

- კი და ამაზე საქართველოს ნაკრებში ჩემი გამოძახებებიც მეტყველებს. თუმცა ყველაფერი მაინც თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ფეხბურთელი ლატვიაზე უკეთესი დონის ჩემპიონატში ასპარეზობს, მაგრამ ნაკრებში მას არაფერი გამოსდის. მწვრთნელზეც ბევრია დამოკიდებული. კლაუს ტოპმიოლერი მენდობა, მწვრთნელის ნდობა კი ყველა ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია.

**- 6 თებერვალს ლატვიამ საქართველოს თბილისში დამაჯერებლად მოუგო. გეწყინა?**

- რა თქმა უნდა, მეწყინა. თბილისში ლატვიელებმა კარგად ითამაშეს. ჩვენს ნაკრებში კი ბევრი დებიუტანტი და ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო. ესეც არ უნდა დაგვავიწყდეს.

**- "ვენტსპილსი" ახალ სეზონში მესამე ოქროსთვის იბრძოლებს?**

- რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი კვლავ ჩემპიონობაა. ამ მიზნისთვის ყველაფერს გავილებთ და ქომაგებს გავახარებთ.



ზურაბ მენთეშაშვილი

მოამზადა
დავით ცაბაძემ

## რევიშვილი დაშავდა


ნუკრი რევიშვილი

**ნუკრი რევიშვილს** შარშანდელი სეზონი ტრავმის გამო ხომ გაუცდა, წლის ბოლოს კი ავარიაში მოყვა და ბედზე გადარჩა - მხოლოდ ტვინის შერყევით შემოიფარგლა.

ნუკრისთვის სასურველად სეზონისთვის მოსამზადებელი ეტაპიც არ დაწყებულა. იანვარის დასაწყისში ორიოდე დღე თავბრუსხვევები აწუხებდა და ერთი კვირა დაისვენა.

მერე ნაკრებშიც ლატვიის წინააღმდეგ ითამაშა, გუნდის ძირითადშიც გამოჩნდა, მაგრამ ყაზანის "რუბინის" ვარჯიშზე ორი დღის წინათ მძიმედ დაშავდა.

ექიმების დიაგნოზი დამაიმედებელი არაა - 20 წლის მეკარეს მენისკის ტრავმა დაუდგინეს. თუმცა ახალგაზრდა ქართველი მეკარეს შვება იმით მაინც მოჰგვარეს, რომ ტრავმა მოსალოდნელზე იოლად სამკურნალო აღმოჩნდა და "რუბინის" ექიმი ერთ თვეში მოედანზე დაბრუნებას შეპირდა.

## კვარაცხელია მომჯობინდა

**გია კვარაცხელიამ** მოსამზადებელ ეტაპზე თურქეთში დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან" შეხვედრისას ფეხი იტკინა და მას შემდეგ ორი კვირა ისვენებდა.

გუშინ გიას დავუკავშირდით და გვითხრა, რომ სრულიად მომჯობინდა:

*"ტრავმა აღარ მაწუხებს, რაც ძალიან მიკვირს. გაცილებით მძიმე დიაგნოზს ველოდებოდი. "დნეპრის" ნახევარმცველმა როლან გუსევმა ისე მაგრად მომარტყა ფეხი, ორი კვირა ვერ ვვარჯიშობდი. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ვარჯიშს ასე მალე დავიწყებდი.*

*ახლა "კაუნასი" პოლონეთშია, შეკრებაზე ძალიან კარგ პირობებია, ვარჯიშები შეგვიმსუბუქდა, დღეში მოედანზე მხოლოდ ორჯერ გავდივართ. ასე რომ, უკვე ჯანზე ვარ.. ათი დღეა, რაც მოედანს დავუბრუნდი, მაგრამ ჯერ საკონტროლო შეხვედრები არ ჩამიტარებია. ტრავმის შემდეგ პირველ თამაშს კვირას, პოლონეთის მესამე ლიგის გუნდთან ვითამაშებ."*

მერაბ მამულაშვილი

## ზაპოროჟიეში კვირკველია მოენატრათ

**დავით კვირკველიას** გადასვლა ზაპოროჟიეს "მეტალურგს" დღემდე ვერ მოუნელებია. კლუბის ერთ-ერთი ლიდერი **ალექსეი გოდინი** უკრაინულ "სპორტ-ექსპრესს" ზაპოროჟიელთა სამომავლო შანსებზე ესაუბრა. ერთ-ერთი კითხვა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს შეეხებოდა.

გოდინმა კვირკველიას ყაზანის "რუბინში" გადასვლასა და ამით კლუბის დანაკლისზე ისაუბრა:

*"დათოს წასვლა დიდი დანაკლისი იყო. ის კარგი ფეხბურთელია, საქართველოს ნაკრებში თამაშობს. პირადად მსურდა, რომ დარჩენილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. კვირკველიამ გუნდი შეკრების დროს დატოვა. რაღა გაეწყობა, წარმატებები ვუსურვეთ"..*

დათო მეფარიშვილი

## სკონტომ წააგო... პერტია კმაყოფილია

ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფმა რიგის "სკონტომ" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ლატვიელები რუსეთის ქვედალიგოსან ნოვოტროიცკის "ნოსტასთან" 1:2 დამარცხდნენ. ამ შეხვედრაში ორმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. **დავით გამეზარდაშვილი** და **ლადო დვალიშვილი** ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. გამეზარდაშვილმა თამაში ჩაამთავრა, დვალიშვილი კი მეორე ტაიმში **იგორ კოზლოვსმა** შეცვალა.

რაც შეეხება **ზაალ ელიავას**, ის რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე პერმის "ამკარში" ტესტირებაზე იმყოფებოდა. "ამკარმა" ელიავას დამატება იუარა. თუმცა ელიავას მას მერე "სკონტო" ტესტმატჩებში აღარ უთამაშია. რიგელები მომდევნო ამხანაგურ მატჩს 12 მარტს, ტალინის "ლევადიასთან" გამართავენ.

ლატვიის ქართულ ლეგიონთან დაკავშირებით ერთსაც გაცნობებთ. **თამაზ პერტიას** "დინაბურგმა" ანთალიური შეკრება დაასრულა და მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. "დინაბურგის" ოფიციალურმა ვებგვერდმა კი მოსამზადებელი ეტაპის მწვრთნელისეული შეფასება გამოაქვეყნა. როგორც ირკვევა დინაბურგელთა თავკაცი გუნდის მომზადებით კმაყოფილია: *"თურქეთში ყველა პირობა გვქონდა სათანადოდ მომზადებისთვის. რამდენიმე ამხანაგური მატჩი გავმართეთ და არაერთი ტაქტიკური ვარიანტი მოვსინჯეთ და დავამუშავეთ. საკონტროლო მატჩებში გამოჩნდა ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები.*

*მოხარული ვარ, რომ მზადების დასკვნითი შეხვედრა მოვიგეთ და შეკრება მაჟორულ ნოტაზე დავამთავრეთ. ჩვენ "ზენიტის" დუბლები დავამარცხეთ, თუმცა მეტოქემ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა. სანკტპეტერბურგელებს ძირითადი შემადგენლობის 4 და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების 2 ფეხბურთელი ჰყავდათ"*, - აცხადებს "დინაბურგის" მთავარი მწვრთნელი თამაზ პერტია.

დავით ცაბაძე


## დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

### დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში იწვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზლატან იბრაჰიმოვიჩი ტრავმისგან განიკურნა და ყველაფრისთვის მზადაა

 იტალია. სერია A. XXVII ტურის წინ

# იღბალიც ამას ჰქვია...

## შეინახავს მანჩინი იბრაჰიმოვიჩს?

რაც შეეხება საკადრო ამბებს. მანჩინი **ოლივიე დაკურს**, **ივან კორდობას**, **მაქსველსა** და **კრისტიან კივუს** ვერ დაიხმარს. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და თუ მწვრთნელმა "ლივერპულისთვის" არ შემოინახა, მოედანზე გასვლა დღესვე შეუძლია. "რეჯინას" კი ტრავმირებული ჰყავს ძირითადი მეკარე **ანდრეა კამპანიოლო** და გამთამაშებელი **ლუკა ვიჯანი**.

ხვალვე, "პალერმო" "უდინეზეს" უმასპინძლებს. სიცილიელებს მარჯვენა მცველი **ფედერიკო ბალცარეტი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული. გაცილებით დიდია ფრიულელთა დანაკლისი. **პასკუალე მარინოს** დაცვის 3 მთავარი ფიგურა არ ეყოლება, **ტომაშ ზაპოტოჩნის**, **ანდრეა დოსენასა** და **კრისტიან საპატას** სახით.

კვირის ყველაზე საინტერესო მატჩი, ალბათ, "ნაპოლი"-"რომაა". თუ გახსოვთ, პირველი წრის რომაული თრილერი 4:4 დასრულდა. ხვალინდელ მატჩს ორივე გუნდი ამაღლებული განწყობით ხვდება. წინა ტურში ნეაპოლელებმა "ინტერს" მიმდინარე სერია A-ში პირველი მარცხი (1:0) აგემეს. უფრო მეტადაა ამაყი "ჯალოროსი", რომელმაც ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგიდან თვით "რეალი" გამოთიშა. **ლუჩანო სპალეტის** ერთადერთი მინუსი მარჯვენა მცველ **მარკო კასეტის** ტრავმაა. მცირედი დანაკლისი აქვს **ედოარდო რეიასაც**. ტრავმირებულია ნახევარმცველი **მიკელე პაციენცა**.

"მილანს" "ემპოლისთან" გასვლით მატჩში რეაბილიტაციაზე მოუწევს ზრუნვა. "როსონერი" უსახელოდ გავარდა ჩემპიონთა ლიგიდან და ახლა, ერთადერთი საფიქრალი ოთხეულში მოხვედრაა. რამდენიმე დღის წინ, **ადრიანო გალიანიმ** თქვა - ჩემპიონატში დარჩენილი 12 მატჩი ჩვენთვის 12 ფინალიაო. "ემპოლისთან" პირველ "ფინალს" **კარლო ანჩელოტი მარეკ იანკულოვსკის**, **ალესანდრო ნესტასა** და დისკვალიფიცირებული **ჯენარო გატუზოს** გარეშე ხვდება. მასპინძლებს არ ეყოლებათ ფორვარდი **ნიკოლა პოცი**.

ტოსკანურ დერბიში "ფიორენტინა" "სიენას" სტუმრობს. ორივე გუნდს ბევრი საკადრო პრობლემა აქვთ. ფლორენციელებს ტრავმირებული ჰყავთ ფორვარდი **ადრიან მუტუ** და ორი ნახევარმცველი - **ფაბიო ლივერანი** და **ფრანკო სემიოლი**. წინა ტურში თავგამოჩენილი ფორვარდი **პაპა ვაიგო** ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება. სენეგალელი **ჯანპაოლო პაცინის** შეუწყვილდება. ამასთან, **ჩეზარე პრანდელის** "მარაგში" **კრისტიან ვიერიც** ჰყავს. "იუვენტუსთან" მატჩის ერთ-ერთი გმირი **პაბლო ოსვალდო** კი დისკვალიფიცირებულია. "სიენასაც" ყველა რგოლში უჭირს. **ვალერიო ბერტოტო** დასჯილია, **ლუკაშ იაროლიმი, სიმონე ვერგასოლა** და **ენრიკო კიეზა** კი ტრავმებს იშუშებენ.

სარეაბილიტაციოდ აქვს საქმე "იუვენტუსსაც", რომელიც გასვლაზე "ჯენოას" ხვდება. **კლაუდიო რანიერის** სკამი უკვე საგრძნობლად მოირყა. ახლა ყოველი დაკარგული ქულა მის საწინააღმდეგოდ მუშაობს. "ქალბატონი" "მარასიზე" **პაველ ნედვედისა** და **კრისტიან მოლინაროს** გარეშე ითამაშებს. "ჯენოა", ძირითადად, საბრძოლო შემადგენლობითაა.

საინტერესო დაპირისპირება იქნება "პარმა"-"სამპდორია". მასპინძლებს პრობლემები არ აქვთ, სამაგიეროდ, **ვალტერ მაძარის** აქვს ბლომად თავსატეხი. წარმოდგინეთ, სხვადასხვა მიზეზით გეწუელებს სამი ფორვარდი - **კლაუდიო ბელუჩი, ანტონიო კასანო** და **ვინჩენცო მონტელა** არ ეყოლებათ, ხოლო დაცვის ცენტრში ვერ ითამაშებს **ლუიჯი სალა**.

"ტორინო", რომელსაც ზედიზედ 4 ფრე აქვს ნათამაშები, "ატალანტას" ოპტიმალური შემადგენლობით უმასპინძლებს. სხვათა შორის, ამ გუნდებს შორის ტურინში გამართული წინა 26 შეხვედრიდან 16-ში ყაიმი აღინიშნა. ასე რომ, "ტოროს" ამ საქმეში ნამდვილად არაფერი "ეშლება". შარშანდელი შეხვედრა კი "ატალანტამ" 2:1 მოიგო. დღეს ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობითაა.

"კატანია"-"კალიარის" კუნძულურ დერბიში მასპინძლებს ცენტრალური მცველი **კრისტიან ტერლიცი** დააკლდებათ. "ლაციო" "ლივორნოს" ლამის განახევრებული შემადგენლობით დაუხვდება. **ლუჩანო ძაურის, მასიმო მუტარელის, სიმონე დელ ნეროს, გაბი მუდინგაისა** და **ლორენცო დე სილვესტრის** გარეშე რომაელებს ტოსკანელთა ძლევა ძალიან გაუჭირდებათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 26 | 18 | 7 | 1 | 50-16 | 61 |
| 2. რომა | 26 | 16 | 7 | 3 | 46-24 | 55 |
| 3. იუვენტუსი | 26 | 13 | 9 | 4 | 46-24 | 48 |
| 4. ფიორენტინა | 26 | 13 | 8 | 5 | 40-25 | 47 |
| 5. მილანი | 26 | 11 | 10 | 5 | 38-20 | 43 |
| 6. უდინეზე | 26 | 11 | 6 | 9 | 33-35 | 39 |
| 7. სამპდორია | 26 | 10 | 6 | 10 | 34-33 | 36 |
| 8. ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 31-35 | 35 |
| 9. პალერმო | 26 | 9 | 8 | 9 | 34-40 | 35 |
| 10. ატალანტა | 26 | 8 | 10 | 8 | 40-40 | 34 |
| 11. ნაპოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 37-40 | 33 |
| 12. ლაციო | 26 | 7 | 9 | 10 | 29-33 | 30 |
| 13. ტორინო | 26 | 4 | 16 | 6 | 29-32 | 28 |
| 14. სიენა | 26 | 6 | 10 | 10 | 30-34 | 28 |
| 15. ლივორნო | 26 | 6 | 8 | 12 | 27-39 | 26 |
| 16. პარმა | 26 | 5 | 10 | 11 | 31-41 | 25 |
| 17. ემპოლი | 26 | 6 | 7 | 13 | 21-34 | 25 |
| 18. კატანია | 26 | 5 | 9 | 12 | 21-32 | 24 |
| 19. რეჯინა | 26 | 4 | 10 | 12 | 21-39 | 22 |
| 20. კალიარი | 26 | 5 | 6 | 15 | 21-43 | 18* |

** - კალიარის დაკლებული აქვს 3 ქულა*

**დღეს**

**ინტერი-რეჯინა**
**პალერმო-უდინეზე**

**ხვალ**

**კატანია-კალიარი**
**ემპოლი-მილანი**
**ლაციო-ლივორნო**
**ნაპოლი-რომა**
**პარმა-სამპდორია**
**სიენა-ფიორენტინა**
**ტორინო-ატალანტა**
**ჯენოა-იუვენტუსი**

11 მარტს "ინტერს" "ლივერპულთან" საჩემპიონთალიგო მერვედფინალის საპასუხო მატჩი ელის და "რეჯინასთან" დღევანდელ შეხვედრაში, რომლითაც მორიგი ტური იხსნება, **რობერტო მანჩინი**, სავარაუდოდ, წამყვან მოთამაშეებს დაასვენებს. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, მეორე მხარეა ის, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა დაიძაბა და თვით გაჭირვებულ "რეჯინასთან" მატჩშიც კი, "ნერაძურის" თავკაცმა, შეიძლება, ექსპერიმენტებისგან შორს დაიჭიროს თავი. კალაბრიული კრებული ცუდ დღეშია. ბოლო ორ შეხვედრაში გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო და გოლიც ვერ გაიტანა. ამის გამო, **რენცო ულივიერიმ** პოსტი დატოვა და საქმე ვინმე **ნევიო ორლანდის** გადააბარა. "რეჯინის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელს მძიმე დებიუტი ელის. იღბალიც ამას ჰქვია - ელიტაში დიდ სამწვრთნელო კარიერას იწყებდე და ისიც "ინტერთან"...

უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# განმეორდება ოცი წლის წინანდელი ისტორია?

**ხუთშაბათს გამართულმა პირველ შეხვედრათა უმრავლესობამ, ბუნებრივია, საბოლოო გამარჯვებულები ვერ დაასახელა. ზოგს მეტი შანსი აქვს, ზოგს ნაკლები, მხოლოდ "ბაიერნია", რომელსაც შეუძლია, თავი ქუდში ჰქონდეს...**

"მარსელთან" შეხვედრაში პიტერის "ზენიტს" სერიოზული პრობლემები ჰქონდა დაცვაში, რაც მარცხის ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს. თუმცა რუსულ კლუბს მაინც გაუმართლა ბოლო წუთებში, როცა შეცვლაზე შესული **რადიმოვის** პასით **არშავინმა** ჯერ მცველი ჩამოიცილა, მერე მეკარეც მიაყოლა და გაიტანა გოლი, რომელიც საპასუხო მატჩის წინ ერთობ მნიშვნელოვანი იარაღია. **დიკ ადვოკაატის** "ზენიტს" აქვს შანსი, ჯავრი იყაროს "მარსელზე", რომელმაც წინა რაუნდში რუსული "სპარტაკი" დაამარცხა.

უეფას თასის დებიუტანტმა "ხეტაფემ" ლისაბონში გამარჯვებით სიურპრიზი შემოგვთავაზა. საშუალო რანგის ესპანურმა კლუბმა სახელგანთქმული "ბენფიკა" მისსავე მოედანზე განაიარაღა და დიდია შანსი, მეოთხედფინალში გავიდეს და ღარიბი საკლუბო ისტორიის ახალი ფურცელი დაწეროს. მასპინძლები დაალალატა ფორვარდმა **კარდოსომ**, რომელმაც სრულიად უწყინარ სიტუაციაში, უკვე მე-9 წუთზე, წითელი ბარათი აიკრა. ამან თამაშის სურათი მკვეთრად შეცვალა. ბუნებრივია, კაცნაკლულ "ბენფიკას" დაცვაზე მოუწია აქცენტის გადატანა. და მაინც, "არწივებს" შანსი რჩებათ...

"ბენფიკას" გულის გასახეთქად, მეორე ლისაბონურ კლუბ "სპორტინგს" გაცილებით უკეთ აქვს საქმე. ამ გუნდმა ბოლტონში ფრე (1:1) გაახერხა და შინ შედარებით მშვიდად იქნება. ის, რომ ინგლისურ კლუბს ამ ტურნირში წაგება არ აქვს, მწვრთნელ **გარი მეგსონს** სატრაბახოდ, მაინც და მაინც, ვერ გამოადგება, რადგან გამარჯვებულის ბედს ორი მატჩი წყვეტს. ისე, "ბოლტონი" სტუმრადაც არ თამაშობს ურიგოდ. მიმდინარე გათამაშებაში მათ "ცრვენა ზვეზდასთან" გაიმარჯვეს, "ბაიერნთან" და "ატლეტიკოსთან" კი ფრეს გამორჩნენ. არადა, პრემიერლიგის წარმომადგენელს მოგებაც შეეძლო, **ჰელგუსონს** ძელისთვის რომ არ გაერტყა ბურთი.

გერმანულ დერბიში "ლევერკუზენმა" "ჰამბურგი" მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა. მიმდინარე ბუნდესლიგის ორ შეხვედრაში "ფარმაცევტებს" ჩრდილოელთა კარში გოლი არ გაუტანიათ. ამ უსიამოვნო ტრადიციას წერტილი დაუსვა ბერძენმა **გეკასმა**, რომელმაც **ბარნეტას** კუთხურის შემდეგ **როსტს** შანსი არ დაუტოვა. საინტერესოა, რომ 1987/88 წლების საუეფასთასო სეზონში "ლევერკუზენმა" მეოთხედფინალის პირველ მატჩში "ვერდერს" 1:0 მოუგო და მერე უეფას თასიც დაისაკუთრა. განმეორდება 20 წლის წინანდელი ისტორია?

მეკარე **ვიზეს** ორი შეცდომა "ვერდერს" გლაზგოში წაგებად დაუჯდა. "რეინჯერსი" არ არის ის გუნდი, ორბურთიანი მარაგი იოლად რომ გაანიავოს, შესაბამისად, ბრემენელებს ბეწვის ხიდზე მოუწევთ გავლა. თუმცა მარტო ვიზეზეც ნუ გადავტეხთ ჯოხს. ისიც ვთქვათ, რომ უჩვეულოდ პასიური იყო **დიეგო**, რომელიც იშვიათად ამწვავებდა თამაშს. და კიდევ ერთი: "რეინჯერსის" კაპიტანმა **ბარი ფერგიუსონმა** 77-ე საევროტურნირო მატჩი ითამაშა და შოტლანდიის რეკორდიც დაამყარა.

მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი უპირატესობა ჰქონდა, "ფიორენტინამ" მხოლოდ თამაშის ბოლოს გადაწყვიტა "ევერტონის" პრობლემა. 70-ე წუთამდე, ვიდრე **კუჟმანოვიჩი უიფალუშის** პასით გახსნიდა ანგარიშს, ლივერპულელთა მეკარე **ჰოვარდმა** არაერთი რთული ბურთი მოიგერია. მაგრამ ის უძლური იყო ასევე **მონტოლივოს** გოლის დროს, როცა **იორგენსენის** ფანტასტიკური გადაცემის წყალობით, ანგარიში 2:0 გახდა. სულ ბოლო წუთზე კი "იებს" შეეძლოთ, მეოთხედფინალის ბილეთიც დაეჯავშნათ, რომ არა **სანტანას** ოდნავ უზუსტო დარტყმა.

"ტოტენჰემი" ოცნებობს, უეფას თასის ისტორიაში გახდეს მეოთხე კლუბი, რომელიც საპატიო ჯილდოს მესამედ მოიპოვებს. მაგრამ ამ ოცნების ასრულებას სერიოზული კითხვის ნიშანი დაუსვა "ეინდჰოვენის" ფორვარდმა **ფარფანმა**, რომელმაც **ჟილბერტოს** აართვა ბურთი და მშვიდად გაიტანა მატჩის ერთადერთი გოლი. წაგება წაგებად და, "მამლებს" წამყვანი ნახევარმცველი **ჯენასიც** დაუშავდათ.

დაბოლოს, "ბაიერნი", რომელმაც ბრიუსელში ნამდვილი ფოიერვერკი მოაწყო. ძნელია, გუნდი 5:0-ს იგებდეს და ამას გამართლება უწოდო, მაგრამ ფაქტია: "ანდერლეხტის" რიგები აირია პირველი ტაიმის მიწურულს, როცა **ვასილევსკი** ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს. მანამდე, მიუნხენური გრანდი **ალტინთოფის** გოლით იგებდა. და საკმარისი იყო ვასილევსკის ინციდენტი, რომ **ტონიმ** იქვე ანგარიში გაზარდა (მეშვიდე გოლით იტალიელი სათავეში უდგას ტურნირის ბომბარდირთა სიას). შესვენების შემდეგ, **ოტმარ ჰიტცფელდმა** მოედანზე შეუშვა **რიბერი** და ბელგიური გრანდიც იქვე დაიმარხა. ფრანგმა ჯერ **პოდოლსკის** გაატანინა, მერე **კლოზეს** გაუმართა ხელი, ბოლოს კი თავისთვისაც მოიცალა...



ფიორენტინა-ევერტონი. ფილ ნევილი პაბლო ოსვალდოს მჭიდროდ მეურვეობდა

### ანდერლეხტი-ბაიერნი 0:5

**ანდერლეხტი:** ზიტკა, ვან დამი, ვასილევსკი, იუპაში, პარეჯა, შატელი (62. ჰასანი), ბუსუფა, პოლაკი, ბილია, ჟილე, სერჰათი (70. გოორი).

**ბაიერნი:** რენზინგი, ვან ბუიტენი, სანიოლი, ლამი, ჰამით ალთინთოფი (58. სოსა), ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (46. რიბერი), დემიკელისი, ოტლი, ტონი (46. კლოზე), პოდოლსკი.

**გოლები:** 0:1 ჰამით ალთინთოფი (9), 0:2 ტონი (45), 0:3 პოდოლსკი (57), 0:4 კლოზე (67), 0:5 რიბერი (86)

**გაძევება:** ვასილევსკი (44. ანდერლეხტი)

**მაყურებელი:** 21 750

### ფიორენტინა-ევერტონი 2:0

**ფიორენტინა:** ფრეი, გამბერინი, უიფალუში, დაინელი, პასკუალი, იორგენსენი, დონადელი, მონტოლივო, კუჟმანოვიჩი (76. გობი), ვიერი (67. პაცინი), ოსვალდო (74. სანტანა).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჰიბერტი (73. ჯონსონი), ნევილი, იობო, ჟაგიელკა, კაჰილი, კარსლი, ოსმანი (56. არტეტა), პიენაარი, იაკუბუ.

**გოლები:** 1:0 კუჟმანოვიჩი (70), 2:0 მონტოლივო (81)

**მაყურებელი:** 32 934

### მარსელი-ზენიტი 3:1

**მარსელი:** მატე, ჟივე, ბონარი, ფატი (44. ზუბარი), ტაივო, ბ. შეირუ, მ'ბამი, ნასრი (88. კაბორე), ვალბუენა, ნიანგი (62. ზენდენი), ჯ. სისე.

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, კიმი, რიკსენი (70. დენისოვი), ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, გორშკოვი, ფაიზულინი (81. რადიმოვი), არშავინი, პოგრებნიაკი.

**გოლები:** 1:0 ჯ. სისე (36), 2:0 ნიანგი (47), 3:0 ჯ. სისე (54), 3:1 არშავინი (82)

**მაყურებელი:** 24 327

### ბოლტონი-სპორტინგი 1:1

**ბოლტონი:** ალ ჰაბსი, ჰანტი, ე. ო'ბრაიენი, კაჰილი, ჯ. ო'ბრაიენი (67. გუტრი), ტეილორი, გარდნერი, მაკკანი, ივან კამპო (84. თეიმურიანი), ჰელგუსონი (55. იანაკოპულოსი), დეივისი.

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, ტონელი, აბელი (46. რომანიოლი), ანდერსონ პოლგა, გრიმი, იზმაილოვი (85. პერეირა), ვუკჩევიჩი, მუტინიო, ველოზუ, ბრუნო, და როშა (79. სილვა).

**გოლები:** 1:0 მაკკანი (26), 1:1 ვუკჩევიჩი (69)

**მაყურებელი:** 25 664

### რეინჯერსი-ვერდერი 2:0

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, უეირი, დეილი, ბროდფუტი, პაპაჩი, კულიარი, ფერგიუსონი, ემდანი, დევისი, ადამი, კუზენი (75. მაკკალოხი).

**ვერდერი:** ვიზე, პასანენი (64. ბიონიში), მერტეზაკერი, ნალდო, ბაუმანი, დ. იენსენი, ვრანიეში (60. უგო ალმეიდა), ფრიტცი, დიეგო, ჰანტი, როზენბერგი.

**გოლები:** 1:0 კუზენი (45), 2:0 დევისი (48)

**მაყურებელი:** 45 959

### ლევერკუზენი-ჰამბურგი 1:0

**ლევერკუზენი:** ადლერი, ჰაგი, ფრიდრიხი, ბარბარესი (67. ფრაიერი), შნაიდერი (75. ვიდალი), შარპეი, როლფესი, ბარნეტა, კასტრო, გეკასი (87. კალსენ-ბრაკერი), კისლინგი.

**ჰამბურგი:** როსტი, დემელი (56. ბოატენგი), მატიისენი, რაინჰარდტი, კომპანი, იაროლიმი, ვან დერ ვაარტი, ბენჯამინი, დე იონგი, ოლიჩი (76. ტროხოვსკი), გერერო (79. ზიდანი).

**გოლი:** 1:0 გეკასი (77)

**მაყურებელი:** 22 500

### ტოტენჰემი-ეინდჰოვენი 0:1

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ვუდგეიტი, კინგი (73. ტაარაბტი), ზიმბონდა, ჯენასი (64. ჰადლსტოუნი), მალბრანკი, სოკორა, ლენონი, ჟილბერტო (46. ო'ჰარა), კინი, ბერბატოვი.

**ეინდჰოვენი:** გომეში, კრომკამპი, ალსიდესი, სალსიდო, მარსელისი, სიმონსი, მენდესი, აფელაი (90. ბაკაი), კუვერმანსი (77. ლაზოვიჩი), კულინა, ფარფანი (85. ჯუჯაკი).

**გოლი:** 0:1 ფარფანი (34)

**მაყურებელი:** 33 259

### ბენფიკა-ხეტაფე 1:2

**ბენფიკა:** კუიმი, ლუიზაო (29. ზორო), ნელსონი, ლეო, სეპსი, ედკარლოსი, რუი კოშტა, კაცურანისი, როდრიგესი, კარდოზო, დი მარია (62. მანტორაში).

**ხეტაფე:** უსტარი, კონტრა, ბელენგერი, დიასი, ლიხტი, კასკერო, ალბინი, გრანერო (46. კოტელო), ბრაულიო (61. მანუ), დე ლა რედი (73. სელესტინი), ერნანდეს პაბლო.

**გოლები:** 0:1 დე ლა რედი (25), 0:2 ერნანდეს პაბლო (67), 1:2 მანტორაში (76)

**მაყურებელი:** 25 000



არმინიის თავკაც მიხაელ ფრონტცეკს შალკესთან მძიმე თამაში ელის

გერმანია. ბუნდესლიგა. 23-ე ტურის წინ

# ლიდერთა რთული ბარიერები

**გუშინ**

დორტმუნდი-ჰერტა

**დღეს**

ვოლფსბურგი-კოტბუსი
არმინია-შალკე
დუისბურგი-როსტოკი
შტუტგარტი-ვერდერი
ბაიერნი-კარლსრუე
აინტრახტი-ბოხუმი

**ხვალ**

ნიურნბერგი-ჰამბურგი
ლევერკუზენი-ჰანოვერი

ამ ტურში განსაკუთრებულ ყურადღებას დღევანდელი მატჩები იპყრობს. ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად გერმანელი მიმომხილველები მოქმედი ჩემპიონის, "შტუტგარტისა" და მეორე ადგილზე მყოფი "ვერდერის" შეხვედრას მიიჩნევენ. საერთო შეფასებით, წყვილს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს, ნებისმიერი შედეგი მოსალოდნელია. შვაბები მიმდინარე სეზონში არასტაბილურად ასპარეზობენ. ბრემენელებს შედეგები უკეთესი აქვთ, მაგრამ გარკვეული პრობლემები მათაც გააჩნიათ. ეს ხუთშაბათსაც დადასტურდა, როცა **შააფის** გუნდმა უეფას თასის მატჩი გლაზგოში "რეინჯერსთან" უშანსოდ დათმო.

დანაკლისი ორივე გუნდს აქვს, თუმცა ამ მხრივ, უფრო რთულ სიტუაციაში სტუმრები არიან - "შტუტგარტს" მხოლოდ დიდი ხნის ტრავმირებული **ხედირა** აკლია, "ვერდერს" კი აქამდე დაშავებულ **ფრინგსსა** და **ვომესთან** ერთად, დღეს სიცხიანი **სანოგო** და დისკვალიფიცირებული ლიდერი **დიეგო** ვერ დაეხმარება.

ქართველ გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს მიუნხენური შეხვედრა უნდა იწვევდეს. **ალექსანდრე იაშვილი** და მისი თანაგუნდელები ერთპიროვნულ ლიდერ "ბაიერნს" ესტუმრებიან. უეფაზე "ანდერლეხტის" 5:0 განადგურებით **ჰიტცფელდის** გუნდმა დაამტკიცა, რომ მინი-კრიზისი უკან მოიტოვა. უშანსოდ არც "კარლსრუე" უნდა იყოს, რომლის ნევრებიც "ალიანც არენაზე" ფრის გახერხებას წარმოუდგენელ ამოცანად სულად არ მიიჩნევენ.

იაშვილმა, წესით, ძირითად შემადგენლობაში უნდა ითამაშოს. "ბაიერნს" **ვან ბომელი** და **ზე რობერტო** არ ეყოლება, სამაგიეროდ, მოედანს უბრუნდება **ოლივერ კანი**, რომელმაც ბრიუსელში ვერ ითამაშა.

პორტუში გადატანილი მძიმე ბრძოლის შემდეგ "შალკე" ბილეფელდს ეწვევა. გამარჯვება "არმინიასაც" ჰაერივით ესაჭიროება. **მიხაელ ფრონტცეკის** გუნდი გააფთრებით იბრძვის ბუნდესლიგაში დასარჩენად, ხუმარები კი დღესდღეობით, უეფას თასის ზონაშიც კი არ არიან.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გალწევის მიუხედავად, **მირკო სლომკა** თავის სავარძელში მაინც ვერ გრძნობს თავს კომფორტულად. თუკი "შალკე" სეზონის ბოლოს ევროზონის მიღმა დარჩა, მას ალბათ, კარისკენ მიუთითებენ. "არმინიას" სერიოზული დანაკლისი აქვს, "შალკეს" კი დისკვალიფიკაციის გამო ძირითადი შემადგენლობის ორი წევრი, **ფაბიან ერნსტი** და **რაფინია** ვერ დაეხმარება. სამაგიეროდ, უკვე მწყობრშია **კრისტიან პანდერი**, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო რამდენიმე თვე გაუცდა. **ლევან კობიაშვილი** სავარაუდოდ, ძირითადში იქნება.

აუტსაიდერებსაც არანაკლებ პრინციპული ბრძოლები ელით. გასავარდნ ზონაში მყოფი "კოტბუსი" სტუმრად შეეცდება "ოქროს შუალედში" გამაგრებულ "ვოლფსბურგთან" წარმატებით თამაშს, "კოტბუსის" მეზობელ "დუისბურგს" ჰინ. "ჰანზასთან" მხოლოდ სამი ქულა სჭირდება.

საკვირაო მატჩებში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ გუნდებს მიეცემათ პოზიციების გამტკიცების შანსი. "ნიურნბერგი" "ჰამბურგთან" საშინაო დაპირისპირებაში სახიფათო ზონიდან ამოსასვლელად იბრძოლებს, "ლევერკუზენს" შედარებით იოლი ამოცანა აქვს და ვინძლო, კვირას "ჰამბურგს" გაუტოლდეს კიდეც. შეგახსენებთ, ხუთშაბათს უეფას თასზე ამ გუნდების ურთიერთშეხვედრა "ფარმაცევტთა" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

მწვრთნელი

# მოურინიო ჩელსის ლიგაში შეხვდება

## ჟოზემ გაძეტა დელო სპორტს გაუმხილა: რომ იტალიაში ან ესპანეთში მუშაობას აპირებს...

**ჟოზე მოურინიოს** სურს, თავის ყოფილ კლუბ "ჩელსის" ჩემპიონთა ლიგაში შეხვდეს. პორტუგალიელი მწვრთნელი ლონდონელთა მოშთობას აპირებს. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. ლონდონურმა გრანდმა მოურინიო გასული წლის სექტემბერში დაითხოვა. ჟოზე სამუშაოზე დაბრუნებას მომავალი სეზონიდან აპირებს. უცნობია, რომელ კლუბთან გააფორმებს ის სარფიან კონტრაქტს, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს კლუბი ევროპული გრანდი იქნება და რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. მიმომხილველთა ვარაუდით, მოურინიოს "ბარსელონაში", ან ერთ-ერთ მილანურ გრანდში ვიხილავთ. მილანელები **კარლო ანჩელოტის** გათავისუფლებას არ აპირებენ. "ინტერის" თავკაცი **რობერტო მანჩინი** კი იმ შემთხვევაშიც შეიძლება გაათავისუფლონ, თუ მისი გუნდი სკუდეტოს დაეუფლება. მანჩინის ბედს "ლივერპულთან" განმეორებითი მერვედფინალი გადაწყვეტს. მატჩი ოთხშაბათს მილანში გაიმართება. ორი დღის წინ "გაძეტა დელო სპორტმა" მოურინიოს კომენტარი გამოაქვეყნა. მწვრთნელმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალი სეზონიდან რომელიმე ესპანურ ან იტალიურ კლუბში იმუშავებს.

მოურინიო არ მალავს, რომ "ჩელსის" მის გულში განსაკუთრებული ადგილი უკავია, მაგრამ ის მოვლენებს პროფესიონალი მწვრთნელის პოზიციიდან აფასებს. თუ მას ჩემპიონთა ლიგაში შევხვდები, სენტიმენტების დრო არ იქნება. ვალდებული ვიქნები, ის ისევე დავამარცხო, როგორც ნებისმიერი სხვა მოწინააღმდეგეო: *"იმედია, შევხვდებით. და თუ შევხვდებით, მინდა, ის მოვაშთო. ესაა ჩემი შეტყობინება, რომელსაც ლონდონში ვგზავნი."* ჟოზეს მისი შემცვლელის, **ავრამ გრანტის** შესახებაც ჰკითხეს. მოურინიომ მიუგო: *"მის მიმართ არავითარი გრძნობა არ გამაჩნია. კლუბთან, რა თქმა უნდა, ბევრი მოგონება მაკავშირებს, მაგრამ მასთან - არაფერი. "ჩელსი" ყოველთვის მეყვარება. ჩემგან მის გაკრიტიკებას ნუ ელოდებით. ლონდონელებს ერთი კვირის წინ ველაპარაკე. მისტერ აბრამოვიჩსა და პიტერ კენიონთან სატელეფონო საუბარი მქონდა. დრო და დრო, ჩვენ ისევ ვეხმიანებით ხოლმე ერთმანეთს. მათ ვუთხარი, რომ გუნდს წარმატებას ვუსურვებ. მინდა, "ჩელსიმ" ყველა მატჩი მოიგოს."*



ჟოზე მოურინიო არისტოკრატებთან შესახვედრად ემზადება

მკვეხარა ბრაზილიელი

# აილტონის ბოლო გაჩერება: დონეცკი

## მეტალურგში ხორდი კრუიფთან ერთად

გუშინწინ, 34 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **აილტონმა**, რომელიც 2004 წელს გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, აქტიურ სპორტულ კარიერაში სავარაუდოდ, თავისი უკანასკნელი თავგადასავალი დაიწყო. პუტკუნა ტონი კიევის გავლით დონეცკში გადაფრინდა, სადაც ადგილობრივ "მეტალურგში" ჩაირიცხა. როგორც იცით, მიმდინარე სეზონი აილტონმა ბუნდესლიგურ "დუისბურგში" დაიწყო, მაგრამ მისი კიდევ ერთი მცდელობა, გერმანიაში სრულფასოვნად დაბრუნებულიყო, კიდევ ერთი და უკვე საბოლოო კრახით დასრულდა. ამრიგად, დონეცკის "მეტალურგი" მკვეხარა ბრაზილიელისთვის აქტიურ ფეხბურთში სავარაუდოდ უკანასკნელი გაჩერება იქნება.

მიუხედავად მიმდინარე სეზონში შექმნილი სიძნელეებისა ("დუისბურგის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, რის გამოც იძულებული გახდა, "ზებრებთან" კონტრაქტი ნაადრევად გაეწყვიტა), ბრაზილიელი, ჩვეულებისამებრ, მაინც ჩინებულ ხასიათზეა და ახალ გუნდში მიუხარია. *"ბედნიერი ვარ, რომ ახალი გუნდი ვიპოვე. როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მაფასებენ და მენდობიან. შესანიშნავ ფორმაში ვარ, რასაც ძალიან მალე დავამტკიცებ. ფეხბურთის თამაშის შეწყვეტას ჯერ არ ვაპირებ. მინდა, რომ კიდევ 2-3 წელი ვითამაშო,"* - განუცხადა აილტონმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ტონიმ "მეტალურგთან" კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა (18 მაისი), მაგრამ მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ მხარეები თანახმა იქნებიან, ხელშეკრულება ავტომატურად 2009 წლამდე გაგრძელდება. აილტონი: *"თუკი აქაურობა მომეწონება და კოლებსაც გავიტან, სიამოვნებით დავრჩები."*

ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ ფინანსური თვალსაზრისით, ბრაზილიელი უკმაყოფილო ნამდვილად ვერ იქნება, რასაც არც მალავს. წელიწადში 800 ათასი ევრო დაუნიშნეს, რაც 34 წლის ფეხბურთელისთვის, რომელსაც ბოლო წლებში წარმატებული სეზონი აღარ ჰქონია, დაგვეთანხმებით, რომ ზედმეტად კარგი პირობებია. მეუღლე **როზალი** და სამი შვილი ტონის უკრაინაში სამ კვირაში შეუერთდებიან.

დონეცკური კლუბი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და როგორც გუნდის შეფები ამბობენ, აილტონი "მეტალურგისთვის" მისწრებაა. აქვე შეგახსენებთ, რომ "მეტალურგში" **ხორდი კრუიფიც** ირიცხება. მომავალ უქმეებზე აილტონს ახალ კლუბში დებიუტი ექნება - დონეცკელები ლვოვის "კარპატის" ხვდებიან. გაქაჩავს კი ბრაზილიელი თუნდაც უკრაინაში? ამას დრო გვიჩვენებს...

ჩაშლილი შეთანხმება

# კრუიფი აიაქსში არ იმუშავებს

**იოჰან კრუიფმა** "აიაქსში" მუშაობაზე უარი თქვა. ლეგენდარული ჰოლანდიელი კლუბის რეორგანიზაციის აქტიური მონაწილე უნდა ყოფილიყო. მას სპორტულ დირექტორობას უწინასწარმეტყველებდნენ. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, ეს იქნებოდა პირველი თანამდებობა, რომელსაც კრუიფი მშობლიურ კლუბში ბოლო ოცი წლის განმავლობაში დაიკავებდა. იოჰანი ამსტერდამელებს შორეულ 1988 წელს გამოეთხოვა, როცა ის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. 60 წლის ლეგენდა მუშაობაზე თანახმა იყო. **მარკო ვან ბასტენთან** კონტრაქტის გაფორმებაც მის სახელს დაუკავშირეს, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. კრუიფმა მიზეზად „აიაქსის" ხელმძღვანელობასთან აზრთან სხვადასხვაობა დაასახელა. მან კატეგორიულად უარჰყო ჰოლანდიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია დირექტორებთან კონფლიქტის შესახებ. კრუიფმა აღნიშნა, რომ გუნდს განვითარების მისეული გეგმა წარუდგინა, თუმცა ვერ მოიპოვა იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომელთაც გეგმის განხორციელება ხელეწიფებათ. ამიტომ იოჰანმა "აიაქსს" საუკეთესო სურვილებით დაშორდა.

## არსენალი ზაფხულში 100 მილიონს დახარჯავს?

"ნიუს ოფ ზეუორლდს" თუ დავუჯერებთ, ზაფხულის ფანჯრისას „არსენალის" სატრანსფერო ბიუჯეტი 100 მილიონ ევროს მიაღწევს. არსენ ვენგერის ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე „ვესტ ჰემის" ცენტრალური ნახევარმცველი **მარკ ნობლი** იქნება. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი 11 მილიონი ევრო ღირს. მას **ჟილბერტო სილვას** შემცვლელად განიხილავენ. ნობლს „ვესტ ჰემში" კვირაში 35 ათას გირვანქას უხდიან. „არსენალი" მზადაა, მას 50 ათასი მიუთვალოს. ვენგერმა კაპიტან **ვილიამ გალასს** ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. 30 წლის ცენტრალურ მცველს ხელშეკრულებას 2012 წლამდე გაუგრძელებენ და კვირაში 90 ათას გირვანქას გადაუხდიან. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ფეხბურთელი 18 მილიონ გირვანქას გააკეთებს.

## დიეგო ლოპესი მანჩესტერში

"დეილი სტარის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ვილიარეალის" მეკარეს, **დიეგო ლოპესს** დაადგა თვალი. 26 წლის ფეხბურთელს "მილანი" და "ატლეტიკოც" აკვირდებიან. ლოპესი მადრიდის "რეალის" აღზრდილია. 2005-07 წლებში ის სამეფო კლუბის მეორე მეკარე იყო **იკერ კასილიასის** შემდეგ. 2007 წლის ზაფხულში ლოპესმა "ვილიარეალს" მიაშურა. მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაიხადეს. დიეგომ სულ შვიდი მატჩი ჩაატარა. ის ინგლისში თამაშზე ოცნებობს. "ეშმაკები" ფეხბურთელს **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელად მოიაზრებენ. ჰოლანდიელ გოლკიპერს კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება. "იუნაიტედი" მას კიდევ ერთი წლით გაუგრძელებს კონტრაქტს.

## ტოტენჰემი: კარსონი თუ კამენი?

"ტოტენჰემს" "ასტონ ვილის" მეკარის, **სკოტ კარსონის** შეძენა უნდა. ფეხბურთელი ლივერპულის საკუთრებაა. ის ბირმინგემში ერთწლიანი იჯარით ასპარეზობს. "ვილა" 22 გოლკიპერის გამოსყიდვას აპირებს. ტოტენჰემს კი გადაწყვეტილი აქვს, ლივერპულს უკეთესი პირობები შესთავაზოს. სკოტი ინგლისის ნაკრების კანდიდატია. მამლების სამიზნეშია "ესპანიოლის" კარის დარაჯი **კარლოს კამენიც**. "ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, კამერუნელი ლეგიონერის აგენტები ლონდონელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ფეხბურთელი 4 მილიონ ევროდაა შეფასებული. კარსონი მასზე 10 მილიონით მეტი ღირს.

იტალიის ნაკრები. ინტერვიუ რობერტო დონადონისთან

# დელ პიეროს ისეთივე შანსი აქვს, როგორიც ნებისმიერ სხვას

## აძურის მწვრთნელი ამბობს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის შემადგენლობის შერჩევა ადვილი არ იქნება...



რობერტო დონადონი

მან რთული გამოცდა ჩააბარა. ახალგაზრდა მწვრთნელი იტალიის ნაკრებში მარჩელო ლიპის შემცვლელად მივიდა. რობერტო დონადონის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები ჩააბარეს. "მილანის" ყოფილმა ვარსკვლავმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. "აძური" ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. დონადონი ნამდვილი ბერგამოელია: მშვიდი და გაწონასწორებული. საქმესაც ასე მშვიდად უძღვება. იტალიელთა თავკაცს ერთი ოცნება აქვს. ამ ოცნებას ევროპის ჩემპიონობა ჰქვია. მას სურს, ტიტული ნებისმიერ ფასად დაისაკუთროს, თუმცა თვითონვე აღიარებს, რომ ეს ადვილი არ იქნება. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ტელეკომპანია ESPN-მა მოამზადა.

**- დონადონი, თქვენი კონტრაქტით დავიწყოთ. მის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- ჯერ არა. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს თებერვლის შუა რიცხვებში შევხვდი. მომავალი თანამშრომლობის პირობები ზოგადად განვიხილეთ. ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიმიღია. გადაწყვეტილებას აუჩქარებლად მივიღებთ. დრო საკმარისზე მეტი გვაქვს. ჩემი კონტრაქტი პირველი რიგის ამოცანა სულაც არ არის.

**- ამას წინათ ბრძანეთ, ევროპის ჩემპიონატის შემადგენლობა თითქმის შერჩეული მყავსო. მაშ, ყველაფერი გადაწყვეტილია?**

- არავითარ შემთხვევაში. მსგავსი რამ არ მითქვამს. როგორც ჩანს, ჩემი სიტყვების თავისუფალ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე. როგორ შეიძლება, ყველაფერი გადაწყვეტილი მქონდეს? იტალიის ჩემპიონატის დასრულებამდე თითქმის სამი თვეა დარჩენილი. აბსურდი იქნებოდა, ამ ეტაპზე რაიმე გადაწყვეტილებაზე მესაუბრა. მოუთმენლად ველი სეზონის დამთავრებას. შემადგენლობას მხოლოდ ამის შემდეგ დავაკომპლექტებთ.

**- დელ პიეროზე რას გვეტყვით? ამას წინათ, "იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ საჯაროდ მოგიწოდათ, მათი კაპიტანი ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანოთ...**

- ყველას მოსაზრებას პატივს ვცემ, თუმცა უნდა გავიმეორო ის, რაც არა ერთგზის მითქვამს. გადაწყვეტილებას ავტონომიურად მივიღებ. ფეხბურთელებს იმის მიხედვით შევაფასებ, თუ რას გააკეთებენ მინდორზე. დელ პიეროს ნაკრებში მოხვედრის ისეთივე შანსი აქვს, როგორიც ყველა სხვას. ვნახოთ, ვინ როგორ წარმოაჩენს თავს ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში. ყველაფერი მინდორზე გამოჩნდება. ამავე დროს, მინდა, მივმართო მათ, ვინც ამა თუ იმ ფეხბურთელს რეკომენდაციას უწევს. თუ შეუძლიათ, მითხრან, ვინ არ იმსახურებს ნაკრებში თამაშს. თუ დაფიქრდებიან, აღმოაჩენენ, რომ არჩევანის გაკეთება არც ისე ადვილია. შეუძლებელია, ჩემი გადაწყვეტილებით ყველა კმაყოფილი დარჩეს. ნათელია, რომ ვიღაცას გული ეტკინება. მაგრამ ნაკრების მწვრთნელი ვარ და საუკეთესო შემადგენლობის შერჩევა ჩემი მოვალეობაა. ალბათ, კასანოზეც მკითხავთ. ანტონიო თამაშიდან თამაშამდე უმატებს. მან "ინტერთანაც" ჩინებულად ითამაშა. მაგრამ შეღავათები არც მასზე გავრცელდება. დელ პიეროს დარად, მასაც საკუთარი უპირატესობის დამტკიცება მოუწევს. მან სტაბილურად უნდა ისპარეზოს. სტაბილურობას დიდ ყურადღებას ვაქცევ. ერთი და ორი თამაშის კარგად ჩატარება საკმარისი არ არის.

**- სხვა ფეხბურთელებზეც მოგვახსენეთ თქვენი აზრი. აკვირდებით თუ არა ჯილარდინოს, ბორიელოს, პალადინოს?**

- ისინი ნაკრების კანდიდატები არიან. მინდა, მათ გასაგონად გავიმეორო. სეზონის ბოლო თვეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ დროს ჩანს ყველაზე უკეთ, თუ როგორია ამა თუ იმ ფეხბურთელის ფიზიკური მომზადება. ერთია ტექნიკური მხარე, რომელსაც მოთამაშეს ვერავინ წაართმევს, მაგრამ მეორეა ფიზიკური კონდიციები. უნდა დავრწმუნდე, რომ ხანგრძლივი სეზონის შემდეგ ფეხბურთელს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება შეუძლია.

**- თებერვლის მიწურულს ჩემპიონთა ლიგა განახლდა. თავი იჩინა პრობლემამ, რომელზეც არაერთხელ გაგიმახვილებიათ ყურადღება: ფეხბურთელებს ძალიან ბევრი მატჩის ჩატარება უწევთ. "არსენალთან" შეხვედრისას ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები - პირლო, გატუზო და ამბროზინი გადაღლილები ჩანდნენ. მდგომარეობა საგანგაშოდ ხომ არ გესახებათ?**

- სანამ თქვენს კითხვას ვუპასუხებდე, გეტყვით, რომ ეს ფეხბურთელები ნაკრებისათვის მნიშვნელოვანნი არიან. მაგრამ ნახევარდაცვაში სხვა ღირსეული კანდიდატებიც გვყავს. დიახ, მათ ძალიან ბევრი მატჩის ჩატარება უწევთ, როგორც ნაკრების მწვრთნელი, ვერაფერს შევცვლი. მხოლოდ ის შემიძლია, რომ არსებული მდგომარეობის გამო უკმაყოფილება გამოვხატო. იმედია, როცა სეზონი დასრულდება, ფეხბურთელები ჯანმრთელად იქნებიან. არ მინდა, ვიფიქრო, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ გაუთვალისწინებელი საკადრო პრობლემები შეგვექმნება.

**- თქვენ ფაბიო კაპელოს "მილანში" თამაშობდით. დონ ფაბიოს კარგად იცნობთ. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს მისი დანიშვნა ინგლისის ნაკრებზე?**

- კაპელო დიდი მწვრთნელია. ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ მან ინგლისში წარმატებას მიაღწიოს. მიხარია, რომ იტალიელ სპეციალისტს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჩააბარეს. ეს მის აღიარებაზე მეტყველებს. კაპელომ დაიმსახურა, რომ ინგლისელთა თავკაცი იყოს. მას დიდ წარმატებას ვუსურვებ.

**- აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ჯოვანი ტრაპატონიც, რომელიც ირლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მასზე რას გვეტყვით?**

- ტრაპატონის დანიშვნა კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ იტალიელი მწვრთნელები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. ხანდახან მეჩვენება, რომ მათ უცხოეთში უფრო აფასებენ, ვიდრე საკუთარ სამშობლოში.

**- რას ფიქრობთ იტალიურ კლუბებზე, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთ იტალიელ ფეხბურთელს ათამაშებენ? დავაზუსტებ, "ინტერზე" მოგახსენებთ, რომელსაც ძირითადში მხოლოდ მარკო მატერაცი ჰყავს...**

- რადგან ნაკრების მწვრთნელი ვარ, ეგოისტურად გეტყვით, რომ გამიხარდებოდა, თუკი დღევანდელ "ინტერში" უფრო მეტ იტალიელს ვნახავდი. მაგრამ მოდით, ვითარება სალად შევაფასოთ. თანამედროვე კანონმდებლობა ფეხბურთელებს ეროვნების მიხედვით არ ანსხვავებს. ასეთი რამ მარტო იტალიაში არ ხდება. "არსენალის" მაგალითი გავიხსენოთ. თეო უოლკოტის გარდა, მას ინგლისელი ფეხბურთელი, ფაქტობრივად, არ ჰყავს. ასე რომ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და მას მოვერგოთ.

**- ემხრობით თუ არა ზეპ ბლატერის იდეას, რომ საერთაშორისო ტურნირებში კლუბებს ძირითად შემადგენლობაში მინიმუმ ხუთი ადგილობრივი ფეხბურთელი ჰყავდეთ?**

- დიახ, საინტერესო იდეაა, მაგრამ არა მგონია, მდიდარი კლუბები მას სიამოვნებით დათანხმდნენ. მათ სხვა ინტერესები აქვთ და როგორც წესი, ყოველთვის აღწევენ მიზანს.

**- მოდით, საუბრის თემა შევცვალოთ. თქვენი ძველი მეგობარი პაოლო მალდინი ბოლო სეზონს ატარებს. ის ფეხბურთიდან მიდის. ვინ მიგაჩნიათ მალდინის მემკვიდრედ?**

- პაოლო განსაკუთრებული მოვლენად დარჩება. ასეთი ფეხბურთელები იშვიათად იბადებიან. არა მგონია, ვინმე მას გვერდით დაუდგეს. გული მწყდება, რომ პენსიაში გადის. "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალში მას საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. პაოლოსთვის ასაკი მეორეხარისხოვანია. ის ბევრ ახალგაზრდაზე უკეთ თამაშობს, მაგრამ რადგან ასე გადაწყვიტა, ესე იგი, ასეა საჭირო.

**- მაშ, გვითხარით, ვინ არის ახალი დონადონი? იტალიურ ფეხბურთს თქვენნაირი ტექნიკური ფეხბურთელი ბევრი არ ჰყოლია.**

- ასეთი შედარებები ყველაზე მეტად ჟურნალისტებს უყვართ. მე კი მათში აზრს ვერ ვხედავ. ასე იყო მაშინ, როცა ფეხბურთს ვთამაშობდი და ასეა ახლაც. ყველა განსაკუთრებულია. ყველას გამორჩეული სათამაშო სტილი და ისტორია აქვს. ისე, თუ ამჩნევთ, ტექნიკური გარემარბები კვლავ მოდაშია. გვარების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ, თორემ იფიქრებთ, რომ ამ ფეხბურთელებს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება გარანტირებული აქვთ.

**- იტალიის ნაკრებში, რა თქმა უნდა, დიდ წარმატებას გისურვებთ, მაგრამ როდესაც საკლუბო ფეხბურთში დაბრუნებას გადაწყვეტთ, სად იმუშავებდით ყველაზე დიდი სიამოვნებით?**

- საოცნებო კლუბი ნამდვილად არ მყავს. ჩემი მოვალეობაა, გუნდს, სადაც ვმუშაობ, წარმატება მოვუტანო იმის მიუხედავად, თუ სად ვიმუშავებ. თუ აძურიში ჩემი მოღვაწეობა წარმატებული იქნება, მომავალში, დიდი კლუბების გაწვრთნის საშუალება მომეცემა. ნებისმიერ ქვეყანაში სიამოვნებით ვიმუშავებდი, მაგრამ იქამდე ვიმედოვნებ, რომ ნაკრებში კიდევ დიდხანს გავატარებ.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXVII ტურის წინ

# რეალმა შუსტერს ნდობა გამოუცხადა

## მურსია და სარაგოსა პრიმერაში დარჩენას ახალი მწვრთნელებით შეეცდებიან...



ბერნდ შუსტერს ჯერჯერობით არაფერი ემუქრება

**დღეს**

**რეალი-ესპანიოლი**
**სარაგოსა-ატლეტიკო**

**ხვალ**

**ბილბაო-ვალიადოლიდი**
**ოსასუნა-ალმერია**
**რასინგი-ბეტისი**
**მალიორკა-რეკრეატივო**
**მურსია-ხეტაფე**
**სევილია-ლევანტე**
**ვალენსია-დეპორტივო**
**ბარსელონა-ვილიარეალი**

"რეალის" ხელმძღვანელობამ **ბერნდ შუსტერს** ნდობა გამოუცხადა. სამეფო კლუბი ჩემპიონთა ლიგას, ზედიზედ მეოთხედ, მერვედფინალში გამოეთხოვა. "რომასთან" წაგება ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო შვიდ შეხვედრაში მეხუთე მარცხი იყო. მთავარი მწვრთნელის პოზიციები საგრძნობლად შეირყა.

მაგრამ მადრიდელები ესპანეთის ჩემპიონატის ფავორიტები არიან. ისინი "ბარსელონას" ხუთი ქულით უსწრებენ. თუ კლუბი მოახერხებს და ეს ტიტულიც ხელიდან დაუსხლტება, გერმანელ სპეციალისტს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. იქამდე კი, შეუძლია, მშვიდად იმუშაოს.

დღეს "რეალი" "ესპანიოლს" მასპინძლობს. მას დისკვალიფიცირებული **სერხიო რამოსი** ვერ დაეხმარება. დაშავებულია **რუუდ ვან ნისტელროი**. ტრავმა მოიშუშა **ვესლი სნეიდერმა**. ის განაცხადში იქნება. ბარსელონელებს **ივან დე ლა პენია** არ ეყოლებათ. კაპიტანი და საუკეთესო ბომბარდირი **რაულ ტამუდო** გამოჯანმრთელდა და უმალ მადრიდში წაიყვანეს.

"ესპანიოლმა" წაგებათა სამმატჩიანი სერია გასულ უქმეებზე, "ვალენსიასთან" (2:0) შეწყვიტა. ოქტომბერში, "ესპანიოლმა" "რეალს" პირველი წრის მატჩი 2:1 მოუგო. ის ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის. სტუმართა თავკაცი **ერნესტო ვალვერდე** მადრიდელთა მეორედ დასამწუხრებლად ემზადება.

"ბარსელონა" შინ "ვილიარეალს" ეთამაშება. ლიონელ მესი დაშავებულია. გუნდის კაპიტანი **კარლეს პუიოლი** სასჯელს იხდის. გუშინ საღამოს მექსიკელი მცველის, **რაფაელ მარკესის** თამაშიც გამოირიცხა. მესამე ადგილოსანი "ვილიარეალი" "ბარსას" შვიდი ქულით ჩამორჩება. **მანუელ პელეგრინის** შეგირდები ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებენ. "კამპ ნოუზე" გამარჯვებას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. გასულ უქმეებზე "ბარსელონა" "ატლეტიკოსთან" შერცხვა. შუა კვირაში მან "სელტიკი" დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა. კატალონიელებს ესპანეთის ჩემპიონატშიც სჭირდებათ რეაბილიტაცია. მაგრამ გავიხსენოთ, რომ პირველ წრეში "ვილიარეალისა" და "ბარსელონის" მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 3:1.

"ატლეტიკოს" ძირითადი მეკარე **ლეო ფრანკო** გამოუჯანმრთელდა. არგენტინელ გოლკიპერს ტრავმის გამო სამი თვე გაუცდა. ის სრული დატვირთვით ვარჯიშობს, მაგრამ დღეს საუკეთესო შემთხვევაში სკამზე იჯდება. მადრიდელთა მეტოქე "სარაგოსას" ისევ ახალი მწვრთნელი ჰყავს. აუტსაიდერებს **მანოლო ვილიანოვა** გაუძღვება. ის მეოთხე სპეციალისტია, რომელიც ამ სეზონში სარაგოსელებს უხელმძღვანელებს. ხუთთვიანი პაუზის შემდეგ მასპინძლებს ბრაზილიელი ნახევარმცველი ფრანსელინო მატუსალემი დაუბრუნდებათ. მან მუხლის მძიმე ტრავმა მოიშუშა. "სარაგოსას" საპრიზო ადგილზე გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ის გადარჩენისთვის იბრძვის. გუნდმა ზედიზედ სამი თამაში წააგო, რის გამოც ორშაბათს **ხავიერ ირურეტამ** თანამდებობა დატოვა.

ახალი მწვრთნელი ჰყავს "მურსიასაც". ხუთშაბათს კლუბმა კარისკენ მიუთითა **ლუკას ალკარასს** და **ხავიერ კლემენტე** მიიწვია. სენიორ კლემენტემ ირანის ფეხბურთის ფედერაციასთან ორჯერ გააფორმა კონტრაქტი და ორჯერ ჩაშალა. საბოლოოდ, მან პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერს მიაშურა. "მურსიას" უსაფრთხო ზონისგან ექვსი ქულა ჰყოფს. მას უმაღლეს დივიზიონში გატარებული ერთი წლის შემდეგ დაქვეითება ემუქრება. მისმა მეტოქემ, "ხეტაფემ" უეფას თასის პირველ 1/16 ფინალურ მატჩში სტუმრად "ბენფიკას" 2:1 სძლია. გუნდის თავკაცი **მიქაელ ლაუდრუპი** მურსიაში დიდ გულზე ჩადის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 26 | 19 | 2 | 5 | 57-23 | 59 |
| 2. ბარსელონა | 26 | 16 | 6 | 4 | 51-21 | 54 |
| 3. ვილიარეალი | 26 | 14 | 5 | 7 | 43-35 | 47 |
| 4. ატლეტიკო | 26 | 13 | 5 | 8 | 44-30 | 44 |
| 5. ესპანიოლი | 26 | 12 | 6 | 8 | 37-32 | 42 |
| 6. რასინგი | 26 | 11 | 8 | 7 | 25-25 | 41 |
| 7. სევილია | 26 | 12 | 3 | 11 | 52-35 | 39 |
| 8. ალმერია | 26 | 10 | 7 | 9 | 22-23 | 37 |
| 9. ვალენსია | 26 | 10 | 5 | 11 | 28-37 | 35 |
| 10. ხეტაფე | 26 | 9 | 6 | 11 | 32-35 | 33 |
| 11. ბეტისი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-36 | 32 |
| 12. მალიორკა | 26 | 6 | 13 | 7 | 37-39 | 31 |
| 13. ვალიადოლ. | 26 | 8 | 7 | 11 | 32-43 | 31 |
| 14. ოსასუნა | 26 | 8 | 6 | 12 | 28-31 | 30 |
| 15. ბილბაო | 26 | 7 | 9 | 10 | 24-27 | 30 |
| 16. დეპორტივო | 26 | 8 | 6 | 12 | 30-38 | 30 |
| 17. სარაგოსა | 26 | 7 | 8 | 11 | 37-45 | 29 |
| 18. რეკრეატივო | 26 | 7 | 8 | 11 | 26-37 | 29 |
| 19. მურსია | 26 | 5 | 8 | 13 | 20-38 | 23 |
| 20. ლევანტე | 26 | 5 | 4 | 17 | 22-48 | 19 |

ინგლისის ნაკრები

# კაპელო ბექჰემს ესტუმრება

## დევიდი მეასე მატჩს მაისის მიწურულს აუცილებლად ჩაატარებს

26 მარტს, პარიზში, ინგლისი საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ითამაშებს თუ არა **დევიდ ბექჰემი? ფაბიო კაპელომ** გულშემატკივრებს დამაიმედებელი ინფორმაცია მიაწოდა: „დევიდის უკანასკნელი ინტერვიუ ყურადღებით გადავიკითხე. როგორც მივხვდი, ის ოპტიმალურ ფორმაში არ არის. მინდა, მის შესახებ უფრო მეტი ვიცოდე. უახლოეს დღეებში დავუკავშირდები და პირადად დაველაპარაკები. 14 მარტს, მე ან ჩემი ასისტენტი ფრანკო ბალდინი დალასში წავალთ. „ლოს ანჯელეს გალაქსი" იქ ამხანაგურ მატჩს მართავს. მას დავესწრებით და დევიდის თამაშს ვნახავთ. თუ ის სასურველ ფორმაშია, მე-100 სანაკრებო მატჩს წინ ვერაფერი დაუდგება."

ბექჰემი იმედიანადაა განწყობილი. ის ამბობს, რომ ფიზიკურად ჩინებულადაა მომზადებული. მან ჰავაიში, კორეასა და ჩინეთში სამი მატჩში სრულად ითამაშა. შანხაისთან ოთხშაბათის შეხვედრაში მსუბუქად დაშავდა, რის გამოც თამაშის ჩამთავრება ვერ შეძლო. პარასკევს კი სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა. ფეხბურთელი ამბობს, რომ ტრავმა ძალიან უმნიშვნელოა და მასზე ყურადღების გამახვილებაც კი არ ღირს.

მიმომხილველთა ვარაუდით, თუ დევიდი საფრანგეთთან მატჩის განაცხადში ვერ მოხვდება, მე-100 სანაკრებო შეხვედრას მაისის მიწურულს ჩაატარებს. ინგლისი ტრინიდადსა და ტობაგოსთან, ან ამერიკის შეერთებულ შტატებთან ამხანაგურ მატჩს გეგმავს. იმ დროისათვის „გალაქსი" ამერიკის ჩემპიონატში ჩაებმება და ბექზს უფრო ინტენსიური სათამაშო პრაქტიკა ექნება.

გულშემატკივრებთან შეხვედრისას, კაპელოს ჰკითხეს, ვინ იქნება ინგლისელთა კაპიტანი. შვეიცარიასთან სადებიუტო შეხვედრაში კაპელომ სამკლაური "ლივერპულის" ლეგენდა **სტივ ჯერარდს** ჩააბარა. იმ შეხვედრისას, „ჩელსის" ცენტრალური მცველი **ჯონ ტერი** დაშავებული იყო. კაპელოს წინამორბედის, **სტივ მაკლარენის** მწვრთნელობისას კაპიტანი სწორედ ტერი იყო. დონ ფაბიოს თქმით, კაპიტნობა ძალიან საპასუხისმგებლო ტვირთია. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველა კანდიდატი კარგად უნდა გაიცნოს და დარწმუნდეს, რომ ისინი არა მხოლოდ კარგი ფეხბურთელები, არამედ კარგი პიროვნებები არიან.



დევიდ ბექჰემი


ანდრეი შევჩენკომ, შეიძლება, ისევ იტალიას მიაშუროს

საზაფხულო ტრანსფერების მოლოდინში

# დიდი ფეხბურთელები ჩემოდნებზე სხედან

## შევჩენკოს მილანში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ...

**ერთი თვის წინათ, 31 იანვარს, ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა. ამან რამდენიმე, საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელის ბედი საკმაოდ დაამძიმა. მოდით, გადავხედოთ იმ მოთამაშეთა სიას, რომელთა შენახვა მათს კლუბებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ, მათ რიგიანად გამოყენებას კი ვერ ახერხებენ, მაგრამ ზემოხსენებული ფანჯრის ხელახალ გახსნამდე (ივლისში) ამ ვარსკვლავების გაყიდვაც შეუძლებელია.**

### დავიდ ალბელდა

*30 წლის, ვალენსია,*
*საყრდენი ნახევარმცველი*
*სავარაუდო სატრანსფერო*
*ღირებულება 9 მილიონი ევრო*

შუა სეზონში **ხუან სოლერს** მოეჩვენა, რომ "ვალენსიაში" **კიკე სანჩეს ფლორესის** პოტენციალი ამოწურული იყო და მდიდარი ტრადიციების კლუბი მისგან მეტ სარგებელს მაინც ვერ ნახავდა. რაკი ეს იდეა მან ჭეშმარიტებად აღიარა, მწვრთნელს უმალ კარისკენ მიუთითა და მწვრთნელის პოსტი **რონალდ კუმანს** ჩააბარა. ჰოლანდიელმა თავისი მუშაობა კატასტროფული შედეგებით დაიწყო განადგურება "მურსიასთან" და 4 უგოლო მატჩი. თავის მხრივ კუმანს მოეჩვენა, რომ ამ კოშმარში მთავარი დამნაშავეები გუნდის ვეტერანები იყვნენ. ის არ ჩაუღრმავდა გუნდში შექმნილ პრობლემებს და მარტივად გადაწყვიტა ქარის წისქვილებთან შებრძოლება. ჰოლანდიელი ინკვიზიტორის სიაში მოხვდნენ **მიგელ ანხელ ანგულო, სანტიაგო კანისარესი** და გუნდის კაპიტანი **დავიდ ალბელდა**. "ვალენსიამ" განმენდის შემდგომი 5 თამაშიც არანაკლებ "ეფექტურად" ჩაატარა - ფრე "სარაგოსასთან" (2:2) და 4 მშრალი მატჩი. ამ სტატისტიკის გათვალისწინებით, ძალიან ადვილია დასკვნის გამოტანა, რომ აქ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელის პირად ზიზღზე კონკრეტული ფეხბურთელის (ზოგადად მოკვეთილი ფეხბურთელების) მიმართ და არა მის სისუსტეზე.

ალბელდას შემთხვევაში ლაპარაკი იმაზე, რომ შეიძლება კუმანის წასვლის შემთხვევაში ექსკაპიტანი გუნდს შეურიგდეს, ზედმეტია, რადგან ცნობილი სასამართლო განხილვების შემდეგ, გარდა დამრიგებლისა, ალბელდას ურთიერთობები გაუფუჭდა ძალიან ბევრთან ამ კლუბში.

### ტიაგო მენდეში

*26 წლის, იუვენტუსი,*
*ცენტრალური ნახევარმცველი*
*სავარაუდო სატრანსფერო*
*ღირებულება 9 მილიონი ევრო*

ის მდგომარეობა, რაშიც ახლა ფეხბურთელი იმყოფება, აშკარად არაკომფორტულია მისი სულიერი მდგრადობისთვის. როგორც ჩანს, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მოხვდეს ისეთ გუნდში, სადაც ის უყვართ და აფასებენ. ამიტომაცაა, რომ მისი კარიერა გვირილის ფურცლებზე თამაშს ჰგავს - ვუყვარვარ-არ ვუყვარვარ. "ლიონსა" და "ბენფიკაში" მას პატივს სცემდნენ, სამაგიეროდ, ის ვერ შეითვისეს "ჩელსიში" და თითქმის შეიჯავრეს "იუვენტუსში". არადა, იმაზე კამათი, რომ ტიაგო ევროპული მასშტაბით საკმაოდ კარგ ფეხბურთელია თუ არა, თითქმის უადგილოა. ეჭვს ეს ალბათ ნაკლებად თუ იწვევს. ის, როგორც ფეხბურთელი, მაშინ იზრდება, როცა მას უსიტყვოდ ანდობენ ადგილს ძირითადში და არა მაშინ, როცა მძაფრი კონკურენციაა. ამის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ, რომ 2002-03 წლებში მან "ბენფიკაში" 31 თამაშში 13 გოლი გაიტანა, შემდეგ "ლიონში" ამდენი ვერ გაჰქონდა, მაგრამ "ფრანს ფუტბოლის" ვერსიით ის წლის საუკეთესო ფეხბურთელთა ნომინანტებში მოხვდა. ხოლო მაშინ, როცა "ჩელსიში" მის კონკურენტად **მიკაელ ესიენი** იყიდეს, მისი თამაში მთლიანად ჩაქრა.

შემდეგ მან ხელახლა ვერ გათვალა, თუ სად უნდა წასულიყო და ამიტომ "იუვენტუსი" აირჩია, სადაც მისი უმთავრესი დადებითი თვისებები ნაკლებად შეიძლებოდა, რომ ვინმეს გამოსდგომოდა. მას აქვს შესანიშნავი პასი, მაგრამ "იუვეს" უკვე ჰყავდა **ნედვედი** და **დელ პიერო**, მას შეუძლია გოლების გატანა, მაგრამ "ქალბატონში" სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი **დავიდ ტრეზეგე** თამაშობს, გარდა ამისა, ამ გუნდს ჰყავს დელ პიერო, **იაკუინტა** და **პალადინო**. მოედნის შუა ხაზში კი მისი უშუალო კონკურენტებიდან აღსანიშნავნი არიან **ძანეტი, ნოჩერინო** და **სისოკო**. ის, რომ "ქალბატონის" ბოსები ტიაგოს არად დაგიდევენ, იმითიც დასტურდება, რომ ზამთარში გუნდმა "ლივერპულიდან" სისოკო შეიძინა. სავარაუდოდ, ფეხბურთელს ზაფხულზე რომელიმე ესპანურ გუნდში გაყიდიან.

### დარენ ბენტი

*24 წლის, ტოტენჰემი,*
*ცენტრალური თავდამსხმელი*
*სავარაუდო სატრანსფერო*
*ღირებულება 14 მილიონი ევრო*

დარენ ბენტის ბედი ძალიან ჰგავს უამრავი ინგლისელი თავდამსხმელის ისტორიას, რომლებსაც პრემიერლიგის კლუბების პოლიტიკის წყალობით, მზის ქვეშ საკუთარი ადგილის ძებნა ათასი წინალობის გადალახვით უწევთ. დღეს თუკი არ ხარ **უეინ რუნი** ან **კრაუჩივით** სიმაღლეში 2 მეტრამდე არ აღწევ, და ხარ ინგლისელი, არცერთი ინგლისური გრანდი ყურადღებას არ მოგაქცევს. ასეთ შემთხვევაში, იძულებული ხარ, რომ ქვედა ლიგის ლიდერებში ან პრემიერლიგის აუტსაიდერებში ეძებო შენი მზე. ასე მოიქცა ბენტიც, რომელიც ჯერ ქვედადივიზიონელ "იფსვიჩში" შემდეგ კი პრემიერლიგურ "ჩარლტონში" 4 წლის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ მან გოლების გატანა იცის. საკმარისი გახდა, რომ მას "ტოტენჰემის" მაისურა მოერგო, რომ გუნდის თითქმის მე-4 ფორვარდის რანგში ჩამოქვეითდა. ანალოგიური ბედი გაიზიარა **ენდი ჯონსონმაც**, რომელიც "კრისტალ პალასის" ლიდერიდან "ევერტონის" რეზერვისტად იქცა. დარენის სასარგებლოდ ის ლაპარაკობს, რომ მის ანგარიშზე 15 ჩატარებული მატჩია, ასევე ის, რომ **დეფოს** "პორტსმუთში" გადაბარგების შემდეგ გუნდში მას ერთი კონკურენტით ნაკლები დარჩა, მაგრამ სიტუაციას ამძაფრებს 3 გატანილი გოლი, მოედანზე **რობი კინისა** და **ბერბატოვის** შესანიშნავი ურთიერთქმედება და მუდმივი ჭორები, რომ "მამლები" დამატებით **კერჟაკოვს** ან **კანუტეს** ყიდულობენ. ლაპარაკი არ წყდება დიმიტარ ბერბატოვის აბარგებასთან დაკავშირებითაც. თუკი ბულგარელი მომავალ წელსაც დარჩა "ტოტენჰემში", მაშინ ბენტს გუდანაბადის აკრეფა მოუწევს.

### გონსალო იგუაინი

*20 წლის, რეალი,*
*ცენტრალური/განაპირა*
*თავდამსხმელი*
*სავარაუდო სატრანსფერო*
*ღირებულება 11 მილიონი ევრო*

გონსალო საფეხბურთო ტალანტების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალპროდუქტიული ქვეყნიდანაა. მისი ყოფილი კლუბი "რივერ პლეიტიც" განთქმულია მაღალი დონის ფეხბურთელების ევროპაში ექსპორტით. ტრადიცია მას ხელს უწყობდა, რომ კარგი რეკლამა ჰქონოდა, როგორც პერსპექტიულ ახალგაზრდას. "რეალმა" გონსალო მართლა დიდი იმედებით შეიძინა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ მან უპრეცედენტოდ ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა 6,5 წლით. მან ადვილად მოახერხა ცენტრფორვარდიდან განაპირა თავდამსხმელად გარდაქმნა, რაც მისგან სწორედ მადრიდში მოითხოვეს. გონსალოს თავიდანვე, გამარჯვების უთქმელად, თავი ძირითადში უკრეს. არგენტინელი არ დაბნეულა და 15 თამაშში 2 გოლის გარდა 5 საგოლე პასიც გააკეთა, რაც მისი ახალი პოზიციიდან გამომდინარე არ იყო ურიგო შედეგი. მას არავითარი პრობლემა მინდორზე არ შექმნია, მაგრამ ის, რომ ახლა მოედანზე საშუალოდ ყოფნა 30 წუთით თუ უწევს, ძირითადად "რეალის" ხელმძღვანელობის ბრალია. წარმოიდგინეთ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე გუნდს 4 ფორვარდი ჰყავს, ხოლო ფლანგებზე **არიენ რობენი** და **როისტონ დრენტე**. გონსალოს ასეთ პირობებში მუშაობა და ზრდა პროფესიული თვალსაზრისით ნამდვილად არ შეუძლია. თუნდაც იმიტომ, რომ თავის დროზე ამ ფეხბურთელმა არგენტინულ სუპერკლასიკოში (რივერპლეიტი-ბოკა ხუნიორსი) 2 გოლის გატანით გადავსებული "მონუმენტალი" მოაჯადოვა და ძნელია შეეგუოს, რომ **ბერნდ შუსტერი** მას მოედანზე ხანდახან მხოლოდ იმიტომ უშვებს ხოლმე, რომ დრო გაიყვანოს. გერმანელის ნაცვლად მისთვის მადლი იქნებოდა მწვრთნელ-პედაგოგის ხელში მოხვედრა, ისეთების, როგორებიც **სერ ალექს ფერგიუსონი, არსენ ვენგერი** ან **ფრანკ რაიკაარდი** არიან.

### ანდრეი შევჩენკო

*31 წლის, ჩელსი,*
*ცენტრალური თავდამსხმელი*
*სავარაუდო სატრანსფერო*
*ღირებულება 23 მილიონი ევრო*

შევჩენკოს ინგლისში გადაბარგებამ მისი გულშემატკივრები ორ ბანაკად გაყო. ერთ მხარეს ბრმად სჯეროდა, რომ მას შეეძლო ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ლიგაში გაეტანა 15-20 გოლი სეზონის განმავლობაში, მეორე ამტკიცებდა, რომ სისწრაფედაკარგულ ფორვარდს პრემიერლიგის ტემპის გაძლება, თანაც იმ პირობებში, როცა მის გვერდით **დიდიე დროგბას** უნდა ეთამაშა, შეუძლებელს ხდიდა უკრაინელის ლოკალურ ამოცანას. ერთმნიშვნელოვანი იყო, რომ ლონდონში უკრაინელს "მილანივით" არავინ გაანებივრებდა და თამაშს მასზე არ ააწყობდა. პირველი კატეგორია ახლაც ამბობს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, შევას ჩავარდნას აქვს თავისი მიზეზები - გაუთავებელი ტრავმები, მწვრთნელის უნდობლობა და ასე შემდეგ. მით უფრო, რომ შევჩენკომ შარშანდელ სეზონში 14 გოლი გაიტანა ყველა ტურნირში. მეორე მხარეს კი არგუმენტად ის მოჰყავს, რომ ლონდონში შევას თვალები ისე აღარ უბრწყინავს, აღარც ისეთი მობილური და კონცენტრირებული აღარაა, როგორც ეს "მილანში" იყო და რაც მთავარია, მის ანგარიშზე პრემიერლიგის 41 თამაშში სულ რაღაც 8 გოლია.

ანდრეის ლონდონური კარიერის გაგრძელების სასარგებლოდ ის არგუმენტია, რომ მისმა უმთავრემა კონკურენტმა დროგბამ ლონდონიდან აბარგების სურვილი რამდენჯერმე უკვე გამოთქვა, ხოლო **კალუ, ანელკა** და **პისარო** მისი დონის ფორვარდები ნამდვილად არ არიან. თუმცა უფრო ადვილად შეგვიძლია დავასაბუთოთ, თუ რატომ უნდა წავიდეს შევა ლონდონიდან. არგუმენტებში, უმთავრესი ისაა, რომ "მილანმა" მისი დაბრუნებისთვის მზადყოფნა უკვე მერამდენედ დაადასტურა...





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანოს წიგნი

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41

## ჰოლანდიიდან ესპანეთისკენ... საუბარი იოჰან კრუიფთან

**ხორხე ვალდანო: - ახლა რითი ხარ დაკავებული? (საუბარი 2000 წლის ივლისში შედგა).**

**იოჰან კრუიფი:** - ბავშვების ფეხბურთელებად ჩამოყალიბების პრობლემებით. ჰოლანდიაში "ექვსი ექვსზე" საბავშვო ტურნირებს ვუკეთებ ორგანიზებას. თამაშები 28x42 მეტრი ზომის მოედნებზე იმართება - ასეთი ფორმატი მოზარდებისთვის ყველაზე ოპტიმალურია. ამ პროექტში გაზეთი "ტელეგრაფი" მეხმარება. მოედნებს პირდაპირ ქუჩებში ვხაზავთ, იქ, სადაც ეს შესაძლებელია. შენ მეტყვი, რომ ცემენტზე ან ასფალტზე თამაში საშიშია. სამაგიეროდ, ამ დროს ისეთ ილეთებს სწავლობენ, რომელსაც ბალახის მოედნებზე ვერ გააკეთებ. ამ დროს ცდილობ ითამაშო ისე, რომ შეტაკებები და დაცემა აირიდო თავიდან. ბურთიც უფრო მეტ სიჩქარეს იძენს. ასფალტზე თამაშისას უფრო მეტი ტექნიკა გჭირდება. უფრო სწრაფად იძლევი პასებს, შესაბამისად, უფრო სწრაფად აზროვნებ. მოძრაობა ავტომატიზმამდე დადის.

**- მიგაჩნია, რომ ფეხბურთი ნაკლებად ტექნიკური გახდა?**

- რა თქმა უნდა. მაგრამ მარტო ეს არ მაწუხებს. გამოჩნდა ბევრი ისეთი მწვრთნელი, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ ფეხბურთზე და ცოტანი დარჩნენ ისეთები, რომლებსაც მართლა შეუძლიათ ბავშვს რაღაც ასწავლონ. გატაცებულნი არიან ათასნაირი გამოთვლებით, სავარჯიშოებით, რომლებიც ძირითადად ფიზიკურ მომზადებაში იძლევიან კონკრეტულ შედეგებს. მაგალითად, აიძულო ბიჭი 100 მეტრი 25-ჯერ გაიქცეს. გვარწმუნებდნენ იმაში, რომ ფეხბურთი ზომვადობას ექვემდებარება. ეს არის შეცდომა, განსაკუთრებით მავნე, როცა საქმე ბავშვებს ეხება. ასეთ შემთხვევებში ვამბობ ხოლმე: "ღმერთო, რა მოწყენილობაა!" ადრე, ყოველ რაიონში, ყოველ დასახლებაში თავიანთი ტალანტები ჰყავდათ, რომლებიც შეყვარებულები იყვნენ ფეხბურთზე და ისინი კვირაში რამდენჯერმე დიდი სიამოვნებით ავარჯიშებდნენ ბავშვებსა და თანატოლებს. ეს ლოგიკური სისტემაა იქ, სადაც ყველაფერს ფული არ წყვეტს. ბავშვები ნამდვილ ფეხბურთს სწავლობდნენ. ახლა კი, ისინი მოდიან ვარჯიშზე და ესმით: "დავიწყოთ გახურება". რა გახურება? ადრე ვარჯიშებზე პირდაპირ გახურებულები მიდიოდნენ. მომზადების დღევანდელი სისტემა ძალიან სტანდარტულია და აქედან შედეგი - ტექნიკა ნელ-ნელა ღარიბდება. ამიტომაც, ფეხბურთელები მინდორზე სივრცეს ეძებენ, რათა გაიქცნენ. მოწინააღმდეგის მოტყუება მათ არ შეუძლიათ. ავიღოთ რომარიო ან ზიდანი - მათ არ სჭირდებათ დიდი სივრცე, ერთნახევარ-ორ მეტრზე აკეთებენ იმას, რაც სურთ. ჩემთვის ტექნიკა - ეს არის ნამდვილი ფეხბურთის ბაზა.

## მზერა ევროპისკენ

**- შენ აღნიშნავდი, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე პროგრესი შეიმჩნეოდა.**

- ეს ჩემპიონატი მართლაც სანახაობრივი იყო. თავდაუზოგავობისა და უამრავი საგოლე სიტუაციის გამო. მაგრამ შეცდომები ძალიან ბევრი იყო და ტექნიკის მხრივაც ღარიბი ტურნირი ვიხილეთ. იცი, რამ შემატა ამ ჩემპიონატს სანახაობრივი მხარე? წვიმებმა. სველი მინდვრები უფრო სწრაფი გახდა. ადრე ბურთს ნატურალური ტყავისგან ამზადებდნენ, ახლა კი, პლასტიკატისგან და თუ გაზონი მშრალია, ბურთი არ მიგორავს და თამაში ნელდება. "ნოუ კამპზე" ყოველთვის ვითხოვდი, რომ მატჩის წინ გაზონი ცოტათი მაინც მოერწყათ. ასეთ შემთხვევაში, ბურთი უფრო სწრაფია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როცა მოთამაშეებიც უფრო ოსტატურები არიან, გამარჯვება 90 პროცენტით გარანტირებული აქვთ.

**- ვხედავ შეწუხებული ხარ იმით, თუ საით მიდის ჰოლანდიური ფეხბურთი. არსებობდა სკოლა, რომელიც ტალანტებს ზრდიდა, აქცენტს ტექნიკურ და შემტევ ფეხბურთზე აკეთებდა, მაგრამ ახლა ვიგებ, რომ დღევანდელმა თაობამ ამ კურსს გადაუხვია (შედეგებმაც არ დააყოვნეს: ჰოლანდიის ნაკრები 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდა).**

- კრიზისი ბევრ ქვეყანას ეწვია. შეხედეთ გერმანიას.

**- მაგრამ გერმანიას არასოდეს ჰქონია ისეთი გზა, როგორიც ჰოლანდიას...**

- გეთანხმები, მაგრამ გერმანელებს ყოველთვის ჰყავდათ თავიანთი ნეტცერი, ოვერატი, ბეკენბაუერი... დღეს, მხოლოდ შოლმა თუ იცის რაღაც. ინგლისშიც იგივე ხდება. ეს ქვეყანა გამოირჩეოდა განაპირა თავდამსხმელებით, რომლებიც ფანტასტიკურ ჩაწოდებებს აკეთებდნენ. დღეს კი რა ხდება? ერთადერთი ბექჰემი დარჩათ. ყოველ შემთხვევაში ვხედავ, რომ გერმანიაში უკვე შეშფოთებას გამოთქვამენ. სხვანაირად როგორ იქნება, თუ დღეს თურქეთისა და რუმინეთის ნაკრებები ინგლისსა და გერმანიაზე ძლიერები არიან.

**- შენ უპირატესობას ფრანგებს ანიჭებ?**

- მათ ტექნიკაში ბევრი ვერ შეედრება, მოედნის ცენტრში ფრანგებს ორი-სამი ისეთი ფეხბურთელი ჰყავთ, რომლებიც ბურთთან კარგად არიან. მათ ჩემზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს, რადგან თამაშს ცდილობდნენ. განსაკუთრებული არაფერი უჩვენებიათ, მაგრამ სხვებთან შედარებით...

**- იტალიაზე რას იტყვი?**

- იტალია ყოველთვის თავის თამაშს თამაშობს. მაგრამ თუ მას დელ პიეროს მოვაცილებთ, ძნელი სათქმელია ამ გუნდისგან რა დარჩება. იტალიის ნაკრებზე ასე ვიტყოდი: ათი კაცი მუშაობს და მხოლოდ ერთმა იცის, რას აკეთებს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ იტალია დელ პიეროს გარეშეც ძლიერი გუნდია. ნაკრების არცერთი თამაში არ მომეწონა. მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი იყო გამონაკლისი - მომენტებში იტალიელები ძალიან კარგად გამოიყურებოდნენ.

**- საოცარია, რომ ერთ მოთამაშეს შეუძლია მთელს გუნდში შექმნას ამინდი.**

- დღეს ამბობენ, რომ პირიქით, იტალიელებმა დელ პიეროს გამო წააგეს. თუ გამარჯვებას კარგი მოთამაშეები უნდა შესწირო, ეს ჩემს სტილში არ ჯდება. მეთანხმები? მიმაჩნია, რომ თუ შენი მოთამაშეები საუკეთესონი არიან, მოიგებ კიდეც. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წაგება თამაშის შემადგენელი ნაწილია.

## ესპანური ფეხბურთი

**- მოდით, ესპანურ ფეხბურთზე გადავიდეთ. ჩემი აზრით, ეს გამოსაკვლევად კარგი ლაბორატორიაა. ყოველი ჩემპიონატის წინ მათი ბედი წინასწარ არის ცნობილი. შენ სხვა აზრზე ხარ?**

- დაბეჯითებით პასუხს ნუ ელი. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ რაღაც მიზეზთა გამო, მოთამაშეები გარკვეულ პირობებში ახერხებენ თავის გამოჩენას, სხვა შემთხვევებში - ვერა. მაგალითად ინგლისში, ზოგიერთი ფეხბურთელი თავის კლუბში ძალიან კარგად გამოიყურება, ხოლო, როცა ნაკრების მაისურს იცმევს, გეჩვენება რომ მას ის არ უხდება. მათი თავდაჯერებულობა სადღაც ქრება. ასეთი რამ ჰოლანდიაშიც შეიმჩნეოდა: კარგი საკლუბო ფეხბურთელები ნაკრებში იგივე დონეს ვერ აჩვენებდნენ.

პირველი რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესპანეთი - ფედერალური სახელმწიფოა. ეს ფედერაციის განსაკუთრებული სახეობაა. და როცა მენტალიტეტში ასეთი მკვეთრი განსხვავებაა, დიდი სირთულეები იქმნება. ვინ ამბობს ესპანეთში, რომ ის ესპანელია? არიან გალისიელები, ბასკები, კატალონიელები, ანდალუსიელები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა.

როცა ახალ მოთამაშეს ვყიდულობდი, მაინტერესებდა, რას ფიქრობდა ის "ბარსელონაზე" და ამავდროულად, როგორ მიიღებდნენ ახალწვეულს "ბარსას" თაყვანისმცემლები. სხვადასხვა ტიპის ტურნირებსაც კი, სხვადასხვა ყაიდის ფეხბურთელები სჭირდება. ევროტურნირებზე, პირველ რიგში, ტექნიკურ ფეხბურთელებზე ვაკეთებდი აქცენტს, რომლებმაც კლასის ხარჯზე გამარჯვება იცოდნენ, შიდა ჩემპიონატში კი, პირველ პლანზე მებრძოლი თვისებები გამოდიოდა და მძაფრად შეინიშნებოდა სხვადასხვა ეროვნების მოთამაშეთა ინტეგრაციის პრობლემები. მაგალითად, როცა "ბარსაში" მივედი, გუნდში რამდენიმე ბასკი მოვიწვიე. გარდა იმისა, რომ ისინი კარგ ფეხბურთს თამაშობდნენ, მათ ერთმანეთის გატანა შეეძლოთ. შემდეგ, როცა დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო პრესტიჟი, ლაუდრუპს და კიდევ რამდენიმე უცხოელს დავუძახე. მათ მე რთული სიტუაციებიდან გამომიყვანეს. მწვრთნელი ვალდებულია ასეთი ნიუანსები გაითვალისწინოს. რა თქმა უნდა, მერჩივნა ადგილობრივ მოთამაშეებზე გამეკეთებინა აქცენტი, მაგრამ "ბარსელონას" მსგავს კლუბს, სარგებელს მხოლოდ ისეთი ფეხბურთელები მოუტანენ, რომლებიც კლუბში ბავშვობიდან იზრდებიან. მაგალითად, რაული "რეალს" არასოდეს დაალალატებს. იგივე ითქმის სერხიზე ან ფერერზე.

## ფული და ძალაუფლება

**- აღიარებ, რომ მაღალკვალიფიციური უცხოელების გარეშე, ხარისხიანი წინსვლა შეუძლებელია?**

- ღირებული ფეხბურთელის შეძენა - ნახევარი საქმეა. მას ადგილი უნდა მოუნახო გუნდში, უნდა შეგეძლოს მისი მართვა. ყველაზე სახიფათო ის არის, რომ მოთამაშე, რომელიც სხვებზე მეტს იღებს და ეს გასახდელში არ იმალება, განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდის და ხშირად მას ეს თამაშში ხელს უშლის. და ვინ უნდა იყოს ყველაზე ძვირადღირებული? მხოლოდ საუკეთესო.

**- და ვინ წყვეტს თუ ვინ არის საუკეთესო - შენ, ბაზარი თუ პრესა?**

- სინამდვილეში, ფეხბურთი - ეს არის დაუმთავრებელი ბრძოლა გასახდელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის. თუ საქმეები კარგად მიდის, ადამიანებს მეტი ფული უნდათ. თუ ყველაფერი პირიქითაა, ლოგიკურია ხელფასების შემცირება. ეს ნორმალურია. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ორივე მხარე გრძნობდეს საკუთარ ძალას. უნდა არსებობდეს თანაფარდობა. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ მომწონს ისეთი ფეხბურთელები, რომლებმაც საკუთარი უფლებების დაცვა იციან. შემეძლო კაპიტნად ყველაზე მოურჯულებელი მოთამაშეც კი დამენიშნა. რა არის ამაში კარგი? ვირჩევ ძლიერი ხასიათის ფეხბურთელს, რადგან მინდორზე სერიოზული გადაწყვეტილებებია მისაღები. მირჩევნია პიროვნებებთან მქონდეს საქმე. თუ ყველა დაკავებულ თანამდებობას შეესაბამება, ე.ი. გუნდი ფუნქციონირებას შეძლებს. ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ესპანელების მიერ შემოღებულ წესს, წინასწარ განსაზღვრული, სტაბილური ხელფასის შესახებ. პრემიალური სისტემა უფრო სამართლიანია. იმის მიხედვით გიხდიან თუ როგორ ითამაშე და რა მოიგე. თუ შენ 40 მატჩი ჩაატარე, შესაბამისად იმაზე მეტი უნდა მიიღო, ვინც მხოლოდ 20 შეხვედრა ითამაშა.

## ესპანელები ევროპაში

**- როცა იტალიაზე ვსაუბრობთ, მხოლოდ დაცვით ფეხბურთს ახსენებენ, ჰოლანდიასთან მიმართებაში - შეტევით ფეხბურთს. რას იტყვი ესპანურ ფეხბურთზე?**

- დავიწყებ იმაზე საუბრით, რასაც ფეხბურთთან კავშირი არ აქვს. იტალიელები? როგორები არიან ისინი? სამხრეთელები, მოკამათეები, მაგრამ ლოგიკურები. მათთვის თეთრი თეთრია და შავი - შავი. ყველა ერს თავისი დამახასიათებელი თვისება აქვს. მე ურთიერთობა მქონდა დანიელებთან. ისინი და ალბათ, ჰოლანდიელები სამ თვეში იწყებენ უცხო ენაზე საუბარს. ამიტომაც გრძნობენ თავს კარგად უცხოეთში. შვედები? ბელგიელები? მათ არდადეგებზეც კი ვერ მოწყვეტ სახლს.

**- რატომ არ მიდიან უცხოეთში ესპანელები?**

- ისინი სხვა ქვეყანაში დისკომფორტს გრძნობენ. არ აქვთ მიდრეკილება უცხო ენებისადმი. ამიტომაც არ უყვართ ადგილმდებარეობის შეცვლა. საერთოდ, მგონია, რომ ფეხბურთი ყოველი ქვეყნის კულტურას შეესაბამება. ხშირად ბევრ კარგ ფეხბურთელზე მითქვამს უარი მათი ცხოვრების წესისა და ჩვეულებების გამო.

**- არგენტინელისთვის მნიშვნელოვანია ან "რივერში" ან "ბოკაში" თამაში, მაგრამ მათ არც ნაკრები ავიწყდებათ. იგივე ითქმის იტალიელებზე, ინგლისელებზე, გერმანელებზე... აი, ესპანელი ბიჭი კი, "რეალის" ან "ბარსელონას" მაისურისკენ ილტვის, ხოლო ნაკრების მიმართ, შეიძლება გულგრილი დარჩეს.**

- ასეთი რამ უკვე დიდი ხანია ხდება და შესაძლოა, მსგავსი მიდგომა კიდევ კარგა ხანს არ შეიცვალოს.

## ესპანეთი დღეს

**- რა ცვლილებები შეინიშნება ფეხბურთში მას შემდეგ, რაც "ბარსელონას" სათადარიგოთა სკამი დატოვე?**

- ფულის ჩადების მასიური ისტერია. და ამასთანავე, მუდმივად იზრდება ვალები. აი, ეს მაკვირვებს. არაგონიერი მიდგომაა. ეს არ მესმის.

**- შენ ყველაზე დიდ მნიშვნელობას ფეხბურთელის ჩამოყალიბებას ანიჭებ. ამ მხრივ როგორ არის საქმე ესპანურ ფეხბურთში?**

- ყველაფერი შედეგის გამო კეთდება. მოთამაშეებისა და თავად ფეხბურთის ხარისხს სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება. მცდელობა არის, მაგრამ პრინციპი არ იცვლება. ცოტას მუშაობენ ტექნიკაზე, ფეხბურთელის ზრდაზე, რამაც შეიძლება შედეგი და მომავალში მოგება მოიტანოს. სწორედ ფეხბურთელის ხარისხია შედეგის შემადგენელი ნაწილი. არავის სურს, იყოს საუკეთესო და მაინც წააგოს. გამარჯვებულის მენტალიტეტი ბავშვობიდან ყალიბდება. ბიჭი საკუთარ თავს უნდა ეუბნებოდეს: თუ შენ საუკეთესო ხარ, ვალდებული ხარ გაიმარჯვო. შესაბამისად, ის უფრო ხარისხიანი ფეხბურთისკენ ისწრაფვის. არ მომწონს შედეგის უკან ამოფარება: ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ გამარჯვება მაინც გამოვგლიჯეთ. ასეთი რამ, მხოლოდ ფინალური მატჩისთვის არის მისაღები. სხვა შემთხვევაში, ამგვარი თავის მართლება არაფრად გამოდგება.



კრუიფმა ბარსელონაში ორი ეპოქა შექმნა - ფეხბურთელის და მწვრთნელის

გაგრძელება იქნება

# წინ მელია გაიჭრა



სალომე მელია

მეცხრე ტურმა ისეთი ინტერესით ჩაიარა, რომ ვგონებ, ამ კუთხით ყველაზე გამორჩეული იყო. შეჯიბრება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და მონდომებაც მეტია და მეორე მხრივ სიფრთხილეც საჭიროა; თუმცა ზედმეტი არაფერი ვარგა და გუშინ ვინც ოქროს შუალედი დაიჭირა, მოგებულიც ის დარჩა.

პირველ რიგში ალვნიშნავთ პირველ დაფაზე მიმდინარე მატჩის შედეგს სადაც **სოფიკო ტერელაძე მაია ლომინეიშვილს** ხვდებოდა. ლომინეიშვილმა, ვინც ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა და პირველი ნაწილი ნორმალურად ჩაატარა, ზედიზედ ორი ნაგებით სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. ამიტომ ტერელაძესთან გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა. მისდა სამწუხაროდ, გუშინ მაიასთვის ჰაერი გაუხშოებულიყო და სრულყოფილად ვერ წარმართა პარტია - ტერელაძემ ამოსუნთქვაც არ აცალა, ისე მოუგო. ზედიზედ სამი მარცხი მაიასთვის ანტირეკორდულია საქართველოს ჩემპიონატებში. აშკარაა, რომ სათანადო ფორმაში არ არის და კაცმა რომ თქვას, არც არის გასაკვირი, - ბოლო დროს ჭადრაკს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, უფრო საზოგადო საქმიანობით არის დაკავებული. მაღალ დონეზე თამაშს კი პროფესიული მიდგომა სჭირდება. არ არის გამორიცხული, თუკი ცუდად დაასრულა ჩემპიონატი, ჭადრაკს კიდევ უფრო დაშორდეს და მთელი ენერგია ახალ საქმიანობას მიუძღვნას. რამდენად დააკლდება ქართულ ჭადრაკს ლომინეიშვილი რთული სათქმელია, ის კი ნაღდია, რომ მშვენიერი ახალგაზრდობა მოდის და გულშემატკივარს იმედი უნდა ჰონდეს. ისინი ყოველდღე ამტკიცებენ თავიანთ ძალას და **ქეთი ნანალაშვილმა** გუშინ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სერიოზული ამბიციები აქვს: თეთრებით **ნინო ბაციაშვილს** ეთამაშებოდა და მართალია ვერ მოუგო, ყაიმს დასჯერდა, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, ყაიმიც და ნაგებაც ერთნაირად ცუდ ემოციას რომ აღგვიძრავს. ქეთის მთელი პარტია უდიდესი უპირატესობა ჰქონდა და უნდა მოეგო, მაგრამ მაინც ახალგაზრდულმა მოუთმენლობამ სძლია, აჩქარდა და მეტოქეს გადარჩენის შანსი მისცა.

ახალგაზრდული მაქსიმალიზმის ბრალი იყო **სოფიკო გურამიშვილის** მარცხიც: **სალომე მელიასთან** შავებით თამაშობდა და დებიუტი კარგად გაითამაშა - იოლად გაათანაბრა, მაგრამ გაგრძელებაში შეცდა და ინიციატივა მოწინააღმდეგეს გადააბარა. პოზიცია დახურული იყო და დროის პირველი კონტროლის დასრულებამდე დაფიდან ორიოდ პაიკი თუ იყო აღებული. მალე ორივეს ცაიტნოტი წამოეპარა და აქ მიიღო ერთობ საკამათო გადაწყვეტილება გურამიშვილმა: ლაზიერი ორ მსუბუქ ფიგურაში გაცვალა. მისი აზრით, ასეთი გაცვლით გარკვეულ კომპენსაციას მიიღებდა, მაგრამ გათვლა მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა.

სალომე ყველაზე სტაბილურად თამაშობს ტურნირზე და ერთადერთია ვისაც მარცხი არ განუცდია. მართალია მისი დარი ქულათა მარაგი - 5.5 - **ინგა ჭარხალაშვილსაც** აქვს, მაგრამ სალომეს გვეტაძესთან მოგებული პარტია გაუუქმდა და აქედან გამომდინარე, ჭარხალაშვილზე ერთით ნაკლები პარტია აქვს ჩატარებული. სალომე ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი გახდა და ისეთი პირი უჩანს, ბოლომდე ფავორიტად დარჩება.

ამ გზაზე მისი ერთ-ერთი უპირველესი მეტოქე, **ნანა ძაგნიძე** გუშინ გვარიანად შეფერხდა: **სოფიკო ნიკოლაძესთან** შავი ფერით დამარცხდა. ნიკოლაძემ ძალიან ცუდად კი დაიწყო ტურნირი, მაგრამ მეორე ნაწილში 180 პროცენტით შემოატრიალა საკუთარი ჩარხი და უკვე ლიდერებსაც ამარცხებს. სოფოს სამი ქულა აქვს და დარჩენილ ოთხ პარტიაში წარმატების შემთხვევაში სამეულში მოხვედრის შანსი აქვს.

სასტარტო წარუმატებლობები დაძლია **ინგა ხურცილავამაც**. გუშინ ინგამაც მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა - შავებით რეიტინგფავორიტი **ნინო ხურციძე** დაამარცხა. ნინოსთვის ეს მარცხი ტურნირში მეოთხე იყო, რაც ასევე უპრეცედენტო შემთხვევაა. ნინო თითქოს არ იყო ცუდ ფორმაში - ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე საფრანგეთის დიდ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ძლიერი კაცი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ ცხრიდან 6 ქულა დააგროვა; ქალთა შორის კი მესამე ადგილზე გავიდა. შესაძლოა გადაიღალა, თუმცა კიდევ აღნიშნავთ, რომ წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატი როგორც არასდროს, ისეთი თანაბარძალოვანია...

ინგა ჭარხალაშვილმა და ბელა ხოტენაშვილმა ქულა გაიყვეს. ინგას ლიდერობაზე მოგახსენეთ, ბელას კი 3.5 აქვს და ალბათ სამეულში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება.

ერთ-ერთი ლიდერი **სოფიკო ხუხაშვილი** გუშინ ისვენებდა. მას 5 ქულა ჰქონდა და დიდი შანსი იყო რამდენიმეს გადაესწრო, მაგრამ როგორც ნახეთ მხოლოდ ორმა მოახერხა. ასე რომ, გუშინდელი ტური ხუხაშვილისთვის კარგად დასრულდა...

დღეს 8 მარტია და ტურნირზე შესვენება გამოცხადდა. 13-დღიან ჩემპიონატში შესვენება აუცილებელიც კია, მაგრამ ორგანიზატორებმა ეს დღე 8 მარტს სპეციალურად დაამთხვიეს - ბევრი კი ვიძახეთ 8 მარტი კომუნისტური დღესასწაულია და უნდა დავივიწყოთო, მაგრამ ჩვენში მაინც აღნიშნავენ, მიხედავად იმისა, რომ ალტერნატიული დღესასწაული გამოვუძებნეთ - "დედის დღე". "ლელო" ულოცავს ყველა ქალბატონს და ტურნირის მონაწილეებს 8 მარტს და ბედნიერებას უსურვებს.

მეათე ტური კვირას გაიმართება. წყვილები ასე გამოიყურება: ლომინეიშვილი-ბაციაშვილი; ძაგნიძე-ნანალაშვილი; გურამიშვილი-ნიკოლაძე; ხოტენაშვილი-მელია; ხურცილავა-ჭარხალაშვილი; ხუხაშვილი-ხურციძე. ისვენებს ტერელაძე.

**მეცხრე ტური: ტერელაძე-ლომინეიშვილი-1:0; ხურციძე-ხურცილავა-0:1; ჭარხალაშვილი-ხოტენაშვილი-0.5:0.5; მელია-გურამიშვილი-1:0; ნიკოლაძე-ძაგნიძე-1:0; ნანალაშვილი-ბაციაშვილი-0.5:0.5.**

**სატურნირო მდგომარეობა 9 ტურის შემდეგ: 1-2. სალომე მელია (8 პარტიიდან), ინგა ჭარხალაშვილი-5.5; 3-4. სოფიკო ხუხაშვილი (8), ნანა ძაგნიძე (8); 5-6. ქეთი ნალაშვილი (8), მაია ლომინეიშვილი-4.5; 7-9. სოფიკო გურამიშვილ, სოფიკო ტერელაძე, ნინო ხურციძე-4; 10. ბელა ხოტენაშვილი-3.5; 11-12. ინგა ხურცილავა, სოფიკო ნიკოლაძე (8)-3; 13. ნინო ბაციაშვილი (8)-2.5.**

ზვიად შათირიშვილი





ტიმ ლეინი

# მოგება კლერმონთან, ლეინი აღტაცებულია!

**საქართველოს მორაგბეთა თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. პატარა ბორჯღალოსნები ამჟამად საფრანგეთში "კლერმონის" ბაზაზე გადიან შეკრებას. ჩვენმა მორაგბეებმა ერთი საწვრთნელი შეხვედრის გამართვა უკვე მოასწრეს და თავისზე ორი წლით უფროსი "კლერმონის" გუნდი 17:5 დაამარცხეს.**

მეტოქეს ორი ლელო ქუთაისელებმა, **გაგა სინაურიძემ** (10) და **ზურაბ ლოსაბერიძემ** (13) გაუტანეს. წუხელ საფრანგეთში ჩვენი ნაკრების მენეჯერს **დიმიტრი ობოლაძეს** დავუკავშირდით:

- ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. ყველანი კმაყოფილები ვართ. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ტიმ ლეინი, რომელიც ჩვენთანაა და მწვრთნელთა შტაბს ეხმარება აღფრთოვანებული იყო. გვეხუმრა, ეროვნული ნაკრებიდან მოვდივარ და ამ გუნდთან უნდა ვიმუშაოო. რაც ყველაზე სასიამოვნოა, მეტოქე, რომელიც ჩვენ გუნდზე ორი წლით უფროსი მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული უკანა ხაზის კარგი თამაშის წყალობით დავამარცხეთ. თამაშს კლერმონელი ქართველები დავით ზირაქაშვილი და გოდერძი შველიძეც დაესწრნენ. ცხადია, მათი შეფასებაც იდენტური იყო. პირველი მეტოქე იტალიაში საკმაოდ სერიოზული გვყავს. ინგლისის ნაკრები ტურნირის ფავორიტია. მოსამზადებლად დრო კიდევ გვაქვს. ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ.

**საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები თავის პირველ შეხვედრას ევროპის ჩემპიონატზე 14 აპრილს გამართავს.**

ბესიკ ჯანგავაძე




## სუმო

# ქართველები ვეტერანებით იწყებენ

9 მარტს იაპონურ ოსაკაში მარტის ბაშო იწყება, რომელსაც ქართველი **ლევან ცაგურია (კოკაი)** დასავლეთის მეხუთე მაეგაშირას რანგში ეგებება. სუმოს ასოციაციამ პირველი ორი დღის განრიგი უკვე შეადგინა. კოკაი ხვალ აღმოსავლეთის მეხუთე მაეგაშირა **ვაკანოსატოს** დაუპირისპირდება. ვეტერანი ყოფილი სეკივაკე ამჟამად 160 კილოს იწონის. მეორე დღეს კოკაის მეტოქე მონღოლი **კიოკუტენჰოა**, დასავლეთის მეოთხე მაეგაშირა, ასევე ყოფილი სეკივაკე.

ძურიოს დივიზიონის ქართველი ჩემპიონი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** დივიზიონის მეოთხე ნომერია. პირველ დღეს მისი მეტოქე ასევე მეოთხე რანგის რიკიში **კიტაძაკურა** იქნება. კიტაძაკურა 36 წლისაა, ადრე ის მაკუუჩის დივიზიონში გამოდიოდა. ჰაცუ ბაშო ოსაკას პრეფექტურის დარბაზში 9-23 მარტს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხენოსნობა და პეკინის ოლიმპიადა

# რატომ ჰონკონგი?



ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთობლივად დაიწყეს აღნიშნულ პრობლემაზე ფიქრი და გამოინახა გამოსავალი - ჰონკონგი, მსოფლიოს ყველაზე ლიბერალური ეკონომიკის ქალაქი, ფინანსებისა და ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი, ბრიტანეთის ყოფილი კოლონია 1997 წლამდე, ამჟამად სპეციალური სტატუსით ჩინეთის ადმინისტრაციული ერთეული. "ერთი ქვეყანა, ორი სისტემა" პოლიტიკური შეთანხმებით, ჰონკონგს, ჩინეთის სხვა რეგიონებზე მაღალი ავტონომია გააჩნია: საკუთარი საკანონმდებლო სისტემა, ფულადი ერთეული, საბაჟო, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლება, საემიგრაციო კანონები, საკუთარი საგზაო წესები, ტრანსპორტიც კი ჩინეთისაგან განსხვავებულ ბრიტანულ ყაიდაზე მოძრაობს. სწორედ ჰონკონგი აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელსაც ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რაც აუცილებელია ცხენების იმპორტისათვის მის ტერიტორიაზე, ასევე ცხოველთა დაცვის მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარებულია, როგორც ცხოველთა დაავადებებისა და ინფექციებისაგან სუფთა ტერიტორია.

მთავარი ოლიმპიური მოვლენებისაგან გვარიანად დაშორებულ ჰონკონგს, რაღა თქმა უნდა, აქვს ნაკლოვანებები, რომლის ერთგვარ კომპენსაციასაც მოახდენს მისი ყველაზე უძველესი სპორტული არენა, 1884 წელს დაფუძნებული და ამჟამად თამაშებისათვის სპეციალურად განახლებული "ჟოკეი კლუბი".

როგორ განხორციელდება ცხენების ტრანსპორტირება და ვინ აანაზღაურებს არც თუ მცირე დანახარჯებს?

ორგანიზატორებს უნდა მოეძიათ ოფიციალური ექსპედიტორი, რომელიც დაფარავს ხარჯებს და უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას მსოფლიოში მიღებული ყველაზე მაღალი მოთხოვნებითა და სტანდარტებით. Paaden Bloodstock, ეს კომპანია დაასახელდა ოფიციალურ გადამზიდავად და შესაბამისი კონტრაქტიც უკვე ხელმოწერილია. ამ ფირმას 1990 წლიდან მოყოლებული ყველა ოლიმპიური და მსოფლიო საცხენოსნო თამაშების ოფიციალური გადამზიდავის გამოცდილება და საუკეთესო რეპუტაცია გააჩნია. დასახელებულია 5 ქალაქის აეროპორტი, საიდანაც ცხენები გაემგზავრებიან ხანგრძლივ საჰაერო მოგზაურობაში. ეს ქალაქებია: ამსტერდამი, ლონდონი, ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი და სიდნეი. ფრენა საშუალოდ 12-15 საათს გაგრძელდება, ზოგიერთი რეისს კი დუბაის აეროპორტში მოუწევს დაფრენა საწვავის შესავსებად და შესაბამისად ასეთი რეისების ხანგრძლივობამ შეიძლება 20-21 საათსაც მიაღწიოს.

ჰონკონგში ცხენები უნდა შეიყვანონ არა უგვიანეს 13 დღისა ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ გახსნამდე, ეს მხედრებს და მათ ცხენებს საშუალებას მისცემს გაიარონ კარანტინი და აკლიმატიზაცია.

ხანგრძლივი გადაფრენა, კარანტინი, აკლიმატიზაცია, ალბათ მხედრებზე მძიმე და რთული სპორტული ცხოვრება მათ ოთხფეხა მეგობრებს აქვთ.

მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიას ახსოვს შემთხვევა, როდესაც ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა ერთ ქვეყანაში და სპორტის რომელიმე კონკრეტულ სახეობაში სხვა ქვეყანაში. მეტიც, სხვადასხვა კონტინენტებზე და წელიწადის სხვადასხვა დროსაც კი.

ოლიმპიზმის ისტორიის მცოდნეებმა ალბათ იციან, რომ ლაპარაკია შორეული მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, ავსტრალიის ტერიტორიაზე ცხოველთა შეყვანის აკრძალვის გამო XVI ოლიმპიადის ოფიციალურ გახსნამდე 6 თვით ადრე ცხენოსნებმა მედლები სტოკჰოლმში გაითამაშეს.

მიუხედავად იმისა, რომ მწვანე კონტინენტზე ცხოველების შეყვანა დღემდე შეზღუდულია, 2002 წლის სიდნეის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა თამაშებისათვის გარკვეული დროის განმავლობაში, სპეციალური კანონით მხოლოდ ცხენების შეყვანაზე მიიღეს ნებართვა.

პეკინის ოლიმპიადამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა, საინტერესოა, რა ხდება ამჯერად?

2008 წელს, ჩინეთში მეორდება 1956 წლის ისტორია, ერთი განსხვავებით-ცხენოსნები იმავე ვადებში იასპარეზებენ ჰონკონგში. აღსანიშნავია, რომ ჰონკონგის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 1951 წლიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია.

რატომ ჰონკონგი? რატომ ტარდება 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ცხენოსანთა შეჯიბრებები ჰონკონგში და არა პეკინში?

ცხენები, რომ შეშყვანო ორგანიზატორ ქვეყანაში, აუცილებელია შეთანხმება დროებით იმპორტზე მასპინძელ და მონაწილე ქვეყნებს შორის, ეს იძლევა გარანტიებს, რომ ცხენების გადაადგილებისას თავიდან იქნება აცილებული სხვადასხვა ინფექციის და დაავადების ქვეყანაში შეტანა ან ქვეყნიდან გამოტანა. ცხოველთა დაცვის მსოფლიო საზოგადოება ჩინეთში ინსპექტირებისათვის არ დაიშვება და ამჟამად დაუდგენელია კონტინენტურ ჩინეთში რა სიტუაციაა დაავადებათა გავრცელების მხრივ, რაც ცხენების შეყვანის რისკის საფუძველს იძლევა.

როდესაც 2001 წელს პეკინი დასახელდა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად, ნათელი გახდა, რომ 200-ზე მეტი ცხენ-მხედარი დადგებოდა სერიოზული პრობლემის წინაშე. კონტინენტურ ჩინეთში ცხენოსანთა შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

# ბაბაჯანა



ქართული რაგბის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **დემურ ცვედიანი,** იგივე ბაბაჯანა, ცაგერის რაიონში 60 წლის წინათ დაიბადა. რაგბის თამაში საკმაოდ გვიან 21 წლის ასაკში დაიწყო. ორი წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა დავით კილასონიას, რამაზ სანებლიძისა და ზურაბ ლოსაბერიძის მხარდამხარ. მერე საქართველოს უპირველეს გუნდში "ლოკომოტივში" გადავიდა, სადაც 1980 წლამდე ირჯებოდა. რკინიგზელთა გუნდთან ერთად ცხვედიანმა ორჯერ ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები და საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა.

სანამ რაგბის თამაშს დაიწყებდა, მან რამდენიმე სპორტის სახეობაში მოსინჯა ძალა. კალათბურთს ქუთაისში მიშა ქორქიასთან ერთად მისდევდა, მერე ფეხბურთიც ითამაშა გივი ნოდიასთან ერთად. მისთვის არც ჭიდაობა იყო უცხო ხილი, ბოლოს კი მძლეოსნობაში ბირთვსა და ბადროს ისროდა. საკმაოდ წარმატებითაც: სანამ ქუთაისს 1965 წელს თბილისის "დინამოს" მორაგბეთა გუნდი არ ეწვია. ბაბაჯანამ მყისვე გადაწყვიტა თავისი ბედი რაგბისთვის დაეკავშირებინა. თუმცა ოცნების ასრულებისთვის სერიოზული წინააღმდეგობების დაძლევა და საკმაოდ ბევრი დროც დასჭირდა. თუმცა თავისი მაინც გაიტანა და ქართულ რაგბიში ღრმად დატოვა თავისი კაცური, ალალი კვალი.

დემურ ცხვედიანი, ბაბაჯანა - 60 წლისაა. ქართული რაგბის თემი იუბილეს ულოცავს ღვაწლმოსილ მორაგბეს.

## ექსპრესინტერვიუ




ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ბალაფში

სპორტსმენები პოლიტიკაში

# ბალაფში აგრესიული მებრძოლი იყო...

**"ლელო" ადრე წერდა, რომ ცხინვალის თვითაღიარებული რესპუბლიკის თვითაღიარებული პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ყმაწვილკაცობაში ურიგო მოჭიდავე არ ყოფილა და არაერთხელ უასპარეზია წარმატებით სხვადასხვა შეჯიბრებაში.**

*"ამას წინათ, ყური მოვკარი, რომ თურმე სერგეი ბალაფში ახალგაზრდობაში კარგი კალათბურთელი ყოფილა.* **საერთოდ, დაინტერესებული ვარ იმ ადამიანებით, რომლებიც სპორტსმენები იყვნენ თავის დროზე და შემდეგ პოლიტიკაში აღმოჩნდნენ. თუ შესაძლებელია იქნებ მოგვაწოდოთ რაიმე ინფორმაცია სერგეი ბალაფშის სპორტსმენობასთან დაკავშირებით". - ამ თხოვნით მოგვმართა მარტვილიდან ერთმა ჩვენმა მკითხველმა ტელეფონით, თუმცა ვინაობის გამხელა არ ისურვა. კეთილი, ჩვენც ვცადოთ. გუშინ, შინ დავუკავშირდით ამჟამად თბილისში მცხოვრებ სოხუმელ ამირან ზუხბაიას, რომელიც ჯერ აფხაზეთში, მოადგილე, შემდეგ კი ამ ავტონომიური რესპუბლიკის დევნილობაში მყოფი სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელი იყო.**

**- ბატონო ამირან, მოგესალმებით. ვიცით, რომ ახალგაზრდობაში კალათბურთს თამაშობდით სოხუმში. სერგეი ბალაფშის კალათბურთელობაზე თუ გსმენიათ რაიმე?**

- რას ამბობთ, მსმენია კი არა, ერთად გვითამაშია, ჩემზე ერთი წლით უმცროსია. სოხუმის მე-10 სკოლაში ვსწავლობდით, ერთად გამოვდიოდით სკოლის ნაკრებში. მერე თამაშობდა აფხაზეთის ახალგაზრდულ და მოზრდილთა ნაკრებებში.

**- როგორი მოთამაშე იყო?**

- ძალიან აზარტული, მოქნილი, მოხდენილად მოძრაობდა. გამოირჩეოდა აგრესიული ბრძოლით, სიხისტით. მწვრთნელები მეტოქის ყველაზე ძლიერ მოთამაშეს მიამაგრებდნენ ხოლმე. 10 წუთი ითამაშებდა, ვიდრე 5 პერსონალურ ჯარიმას მიიღებდა, მაგრამ მწვრთნელის დავალებას ფრიადზე ასრულებდა. მწვრთნელი ალექსანდრ სიდოვი იყო.

**- აგრესიაში რას გულისხმობთ.**

- მხოლოდ იმას, რასაც სპორტული ჟინი ჰქვია. თუმცა ხშირად ზღვარს გადასცდებოდა ხოლმე და არაერთხელ გავუფრთხილებივართ იმ დროს ქართული კალათბურთის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს როლანდ ხომერიკს, რომ თუ სერგეი ემოციებს არ მოთოკავდა და მიზნის მისაღწევად ასე რისკის ზღვარზე გააგრძელებდა თამაშს, ჩვენს გუნდს საერთოდ მოხსნიდა შეჯიბრებიდან.

**- თუ გაიხსენებთ, სერგეის რა წარმატებები ჰქონდა სპორტში?**

- ავტონომიური რესპუბლიკის მოსწავლეთა, ახალგაზრდულ და მოზრდილთ ნაკრებ გუნდებში. თუ აფხაზეთის პირველობაზე თავის გუნდთან ერთად, ყველა წარმატების თანაზიარი იყო.

**- სპორტის სხვა რომელიმე სახეობით ხომ არ ყოფილა გატაცებული?**

- არა, არ მახსენდება.

**- რატომ არ გაყვა დიდ სპორტს?**

- თუმცა კარგი მონაცემები ჰქონდა, არ მოისურვა. კომკავშირულ მუშაობაში ჩაება და ასე გავიდა პოლიტიკაში...

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

## ხელბურთი

ჭაბუკთა ჩემპიონატი

# სამტრედია შეუჩერებელია

გლდანის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის კომპლექსში დასრულდა საქართველოს 1992-93 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა ჩემპიონატის მეოთხე ტური. ზამთრის არდადეგების შემდეგ, ეს იყო პირველი შიდა შეჯიბრება.

ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის 8 ქალაქის 8 გუნდი მონაწილეობს, რაც ქართულ სათამაშო სახეობებში, ფრიად იშვიათი და მისასალმებელი შემთხვევაა.

4 დღის განმავლობაში, გლდანურ დარბაზში საკმაოდ საინტერესო ბრძოლები მიმდინარეობდა. ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა "სამტრედიამ" არც მეოთხე ტურში დაკარგა ქულები და კვლავ ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც ქულაც კი არ დაუთმია.

ერთგვარი სიურპრიზია რუსთაველთა ყოჩაღობა, რომლებიც მეორე ადგილზე იმყოფებიან. არადა, რუსთავს სახელბურთი ტრადიციები, არასოდეს ჰქონია. დაახლოებით იმავეს თქმა შეიძლება მესამეადგილოსან გორელებზე.

კვლავ ცუდი დროება უდგას მოქმედ ჩემპიონ "ქუთაისს". რიონისპირელებს შარშანდელი შემადგენლობა, ფაქტობრივად, გაუნახევრდათ, წამყვანი მოთამაშეები სხვა გუნდებში წავიდნენ და აქედან გამომდინარე, ალბათ ლოგიკურია, რომ ქუთათურები უჩვეულოდ ქვემოთ - ბოლოსწინა საფეხურზე არიან.

4 ტურის შემდეგ, ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას სამტრედიელი **გიორგი ნიკოლაიშვილი,** რომელმაც 168-ჯერ დაამწუხრა მეტოქეთა მეკარეები. იმერული კლუბის მთავარმეგოლეს კვალში უდგანან ფოთელი **ირაკლი გოგიშვილი** და ყვარლელი **რობა ბეჟანიშვილი.**

მეხუთე წრე 24-29 აპრილსაა დაგეგმილი, მაგრამ შეჯიბრების ჩატარების ადგილი ჯერ არ გადაწყვეტილა. საქართველოს ხელბურთის ფედერაციის სურვილია, რომ მეხუთე წრე რომელიმე იმ ახალ აშენებულ დარბაზში გამართოს, შარშან რომ ჩადგა მწყობრში. თუმცა ამისათვის ჯერ დარბაზის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებაა საჭირო, რომელიც დაახლოებით ერთი კვირის ვადაში შედგება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 17 | 17 | 0 | 0 | 514:325 | 34 |
| რუსთავი | 17 | 13 | 0 | 4 | 451:344 | 26 |
| გორი | 17 | 11 | 1 | 5 | 500:465 | 23 |
| ფოთი | 17 | 9 | 1 | 7 | 412:405 | 19 |
| ძარიმხალა | 17 | 7 | 2 | 8 | 418:381 | 16 |
| ყვარელი | 17 | 4 | 2 | 11 | 386:493 | 10 |
| ქუთაისი | 17 | 3 | 0 | 14 | 308:422 | 6 |
| ბათუმი | 17 | 1 | 0 | 16 | 220:372 | 2 |

**ბომბარდირები**

გიორგი ნიკოლაიშვილი (სამტრედია - 168)
ირაკლი გოგიშვილი (ფოთი - 162)
რობა ბეჟანიშვილი (ყვარელი - 155)

საქართველოს ჩემპიონატი

# ენერჯიმ ჯავრი იყარა

**7 მარტი, რუსთავი**
**ენერჯი–ავიამშენი 117:94**
27:23, 30:16, 25:21, 35:34

ენერჯი ინვესტი: გამყრელიძე (13 ქ, 5 პ), სტეფანოვი (10 ქ, 10 მ, 3 პ), ბოისა (5 ქ, 5 მ), დიდია (9 ქ, 4 პ), ლეჟავა (26 ქ), ცეკვავა (5 ქ), ჩიტაშვილი (8 ქ), გოგობერიშვილი (16 ქ), ტუჯანი (8 ქ), ჭოჭუა (7 ქ), ბაბიაშვილი (8 ქ), დვალიშვილი (2 ქ)

ენერჯი: მინაშვილი (6 ქ), შანიძე (6 ქ), ხოშტარია (13 ქ), ნიკოლაძე (21 ქ, 5 მ, 3 პ), კვიმსაძე (13 ქ, 4 პ), ტულუში (23 ქ, 4 მ, 4 პ), იმნაძე (2 ქ), ნინიაშვილი (1 ქ), მათიაშვილი (7 ქ, 9 მ), სუხიშვილი (2)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 20 | 17 | 3 | 37 |
| თსუ | 19 | 12 | 7 | 31 |
| ავია | 20 | 10 | 10 | 30 |
| ვითა | 19 | 8 | 11 | 27 |
| დინამო | 19 | 7 | 12 | 26 |
| მაკაბი | 19 | 4 | 15 | 23 |

სუპერლიგის მორიგი ტური გუშინ რუსთავში დაიწყო. ადგილობრივმა "ენერჯი ინვესტმა" დედაქალაქურ "ავიამშენს" უმასპინძლა. ამ გუნდების მატჩები მუდამ საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა, რომლებშიც ხან ერთი გუნდი რჩებოდა გამარჯვებული, ხან მეორე. წლევანდელ სეზონში, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ყველაზე მეტად ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალში დაამწუხრეს "ავიატორებმა", როდესაც მასპინძლებს საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ ააცალეს ტიტული. ამდენად, გუშინ "ენერჯის" თავისი ფანებისათვის უნდა დაემტკიცებინა, რომ დამსახურებულად ლიდერობს რეგულარულ ჩემპიონატს და საკუთარ მოედანზე ისევ უძლეველია.

რუსთაველების რიგებს წინა ტურში დაუბრუნდა ძირითადი გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე**, რომლის გარეშეც გუნდი სულ სხვანაირად გამოიყურება ხოლმე. ლაშას დაბრუნება გუშინ მისმა თანაგუნდელებმა ზედიზედ მეორე მოგებით და "ავიაზე"' რევანშით აღნიშნეს...

"ავიამშენს" სათადარიგოთა სკამზე კვლავ არ ეჯდა მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, რომელიც ავადაა და გუნდს დროებით მისი თანაშემწე **ვაჟა მხეიძე** მოძღვრავს.

უშუალოდ მატჩზე კი ბევრი არაფერია სათქმელი. "ენერჯი ინვესტის" კალათბურთელებმა თავიდანვე იგდეს ხელთ ინიციატივა და დიდი შესვენების შემდეგ, უკვე 18 ქულით იგებდნენ. "ავიამშენის" დაცვა საკმაოდ სუსტად ირჯებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ სტუმრები ძალიან ცუდად ისროდნენ საჯარიმოებს. მათ მთელი 26 ჯარიმა ვერ მოათავსეს კალათაში. არადა, ამის ნახევარი მაინც რომ ჩაეგდოთ, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები...

გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო და მესამე მეოთხედში, '"ავიას" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ხოშტარია გამოაკლდა მეხუთე პერსონალური შენიშვნის გამო. რუსთაველებმა კი დასკვნითი მეოთხედის წინ, 22-ქულამდე გაზარდეს უპირატესობა და რაკილა მათმა თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა** თავი ქუდში დაიგულა, ბოლო ათწუთეულში სათადარიგო ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თუმცა, ეს "ავიამშენმა" ვერაფერში გამოიყენა, რომელსაც ბოლო მეოთხედში კიდევ ერთი საკვანძო ფიგურა - კოტე ტულუში გამოაკლდა გადაჭარბებული ფოლების ლიმიტის გამო. მოკლედ, "ენერჯი ინვესტმა" საკმაოდ იოლად, სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა და კიდევ უფრო განიმყარა სატურნირო მდგომარეობა.

**ტური დღეს თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდება. 13:15 საათზე, თსუ და "ვითა" გაარკვევენ ურთიერთობებს, 15:15 საათზე კი "დინამო" - "მაკაბი" დაიწყება.**

**კობა ხატისაშვილი**

## კოტე მახარაძის სახელობისა

18-19 მარტს თბილისში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში, რომელშიც ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას: თბილისის "მაკაბი" თელ-ავივის "ჰაპოელი", კიევის "ბუდიველნიკი" და ბაქოს "ნტდ-დევონი".

მეტოქეები როგორი შემადგენლობებით ჩამოვლენ, ამას მათი თბილისში სტუმრობისას შევიტყობთ, რაც შეეხება, "მაკაბის", გუნდის მწვრთნელი, **ჯამლეტ ხუხაშვილი** შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავს. ტურნირზე "მაკაბის" მაისურას სუპერლიგის რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი მოირგებს, მათ შორის **ვიქტორ სანიკიძე...**

სუპერლიგის მიმდინარე გათამაშებაში ყოველთვის გამორჩეული სანახავია "ავიამშენისა" და "ენერჯი ინვესტის" მატჩები, თსუ-სა და "ავიას" დაპირისპირებები, მაგრამ დაძაბულობით მათ ნამდვილად არ ჩამოუვარდებათ "დინამო"-"მაკაბის" პაექრობები. მაგალითად, სეზონის პირველ შეხვედრაში დინამოელებმა წარმატებას ირაკლი გულისაბედაშვილის უკანასკნელ წამზე ნატყორცნის შედეგად მიაღწიეს. მეორე მატჩში მაკაბელებმა ბოლო წამებზე გიორგი შერმადინის წყალობით გამოგლიჯეს გამარჯვება. მესამე შემთხვევაში ოვერტაიმი დაფიქსირდა...

და ამ გუნდების კვირის მატჩშიც საინტერესო დუელს უნდა ველოდეთ. აქედან გამომდინარე "მაკაბი"-დინამოს" ტურის ცენტრალურ მატჩად მონათვლა გამართლებულია, თუმცა, კვირას მეორეც სანახაობრივი მატჩი უნდა იყოს - "ვითა" თსუ.

გუშინ კლუბ "12 მაგიდაში" "დინამოსა" და "მაკაბის" წარმომადგენლები შეიკრიბნენ და მომავალ დაპირისპირებაზე ისაუბრეს.

**საპრესკონფერენციო მაგიდის მარჯვნივ მაკაბელთა თავკაცი ჯამლეტ ხუხაშვილი იჯდა:**

- ამ შეხვედრის ცენტრალურ მატჩად აღიარება გამოიწვია ჩვენმა, მწვრთნელების მოთხოვნამ. "დინამო" სუპერლიგაში არც შემადგენლობით და არც თამაშით არავის ჩამოუვარდება. ერთს თუ არ ჩავთვლით, ყველა წაგებულ მატჩში გამარჯვება ბოლო წუთებზე გაუშვა ხელიდან. გუნდში ირიცხებიან ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი და ამჟამინდელი წევრები: ლექსო ლაფანაშვილი და ირაკლი გულისაბედაშვილი. გამთამაშებლად ირჯება 33 წლის არჩილ ჟღენტი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს ახალი ენერგიით დაუბრუნდა. ახალ კაცად მოგვევლინა მეფარე გულივერ ახალკაცი. მათ დავუმატოთ მეორე სართულის მოთამაშე ვიქტორ სანიკიძე და ნათელი გახდება, რაოდენ ძლიერ მეტოქესთან გვაქვს საქმე. მაგრამ "დინამოს" სიძლიერე "მაკაბის" არ აშინებს. ჩვენ გვყავს შერმედინი და დანარჩენები. სამწუხაროდ ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის ირაკლი ბერიშვილი და უკანა ხაზში ცოტა გვიჭირს, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, გიორგი შერმადინი მოემზადოს სათანადოდ, რათა, წინასადრაფტოდ ამერიკაში კარგ კონდიციებში წავიდეს.

**მარჯვნიდან მარცხნივ ჯამლეტ ხუხაშვილის გვერდით ისხდნენ კალათბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე ზურაბ თალაკვაძე და "დინამოს" მწვრთნელი ზაზა ცაგარეიშვილი. პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა სიტყვა "დინამოს" თავკაცს გადასცა:**

- ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ "მაკაბის" ჩვენზე არანაკლები გუნდი ჰყავს. ნებისმიერი ფავორიტი ისურვებდა საკუთარ რიგებში გიორგი შერმადინის ხილვას. მაკაბელებმა ამ სეზონში ორჯერ მოახერხა რუსთავის "ენერჯის" დამარცხება. "დინამო"-"მაკაბის" შეხვედრები ბოლო წლებში ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს და გამონაკლისი არც ზეგინდელი დაპირისპირება იქნება. ბატონი ჯამლეტისგან მიღებული კომპლიმენტი სტიმულს შეგვმატებს და მატჩს ერთი-ორად მობილიზებულნი შევხვდებით. გვაკლია ოთარ ფაიქრიძე, რომელსაც ფეხი აწუხებს. სამაგიეროდ სრული დატვირთვით თამაშობს საქართველოს ნაკრების წევრი ვიქტორ სანიკიძე.

საქართველოს ჩემპიონატი. პრესკონფერენცია

# დინამო ერთ-ერთი საუკეთესოა! მაკაბია საუკეთესო!



**ვიქტორ სანიკიძე**
ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება. ფორმაშიც შევდივარ და ვცდილობ "დინამოსთან" ერთად სუპერლიგის ფლეი ოფში შევაღწიო, რაც რთული საქმე იქნება. არანაკლებ მძიმე უნდა იყოს კვირას "მაკაბისთან" ჭიდილი, თუმცა ვეცდებით მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ.

**მაგიდის განაპირა, მარცხენა მხარეს სწორედ ვიქტორი იჯდა:**

- ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება. ფორმაშიც შევდივარ და ვცდილობ "დინამოსთან" ერთად სუპერლიგის ფლეი ოფში შევაღწიო, რაც რთული საქმე იქნება. არანაკლებ მძიმე უნდა იყოს კვირას "მაკაბისთან" ჭიდილი, თუმცა ვეცდებით მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**







ლეგიონი

# შენგელიას აღარ ენდნენ



ლიტვის მეორე ლიგაში მეოთხედფინალურ სტადიაში შეაბიჯა **ნოდარ შენგელიას** "აკადემიამ". შარუნას მარჩულიონისის აკადემიის კალათბურთელებმა სერიის პირველ მატჩში სტუმრად "პალანგასთან" 69:76 დათმეს. მასპინძლებმა გამარჯვება საწყის სამ მეოთხედში გაინაღდეს და "აკადემიკოსებს" წარმატებისთვია აღარც ბოლო რაუნდის 27:16 მოგება ეყოთ.

მატჩის წინა დღეს ნოდარ შენგელიას დედას, სუპერლიგის არბიტრ **ხათუნა გაბედანას** ვესაუბრე, რომელმაც ვარაუდი გამოთქვა, რომ მიუხედავად წინა შეხვედრაში შესრულებული ორმაგი დუბლისა (17 ქულა, 11 მოხსნა), მწვრთნელი შენგელიას სასტარტო შემადგენლობაში ადგილს არ ანდობდა. ასეც მოხდა, თუმცა არათუ ხუთეულში, ნოდარს თავის გამოჩენის საშუალება თითქმის არ მისცემია: 9 წუთი ითამაშა, მაგრამ თავი არც ამ მოკლე დროში შეურცხვენია - 4 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა (2-დან 2 ორქულიანი გამოიყენა).

ლიტვიდან დაბრუნებულმა ბექა წივწივაძემ აღნიშნა, რომ ლიტველი მწვრთნელები მეტისმეტად პატრიოტები არიან და ლეგიონერი ადგილობრივს ორი თავით რომ სჯობდეს, მაინც არ ენდობიან, მხოლოდ კრიტიკულ მომენტებში იყენებენო. მართალიცაა, "აკადემიას" თავკაცს მერვედფინალის გადამწყვეტ მატჩში შენგელიას დახმარება დასჭირდა, ენდო და ორმაგი დუბლი და გამარჯვება მიიღო. მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში კი ქართველი მხოლოდ 9 წუთი ათამაშა.

აქვე ვიწინასწარმეტყველებთ, რომ ნოდარ შენგელია მომდევნო მატჩში მოედანზე საერთოდ არ გამოჩნდება. ამის მიზეზი არა მწვრთნელი, არამედ ტრავმა იქნება, რომელიც ქართველმა ფორვარდმა "აკადემიას" ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო - კოჭი დაიზიანა და გაუსივდა. "პალანგა"-"აკადემიის" მორიგი დაპირისპირება 8 მარტს პალანგაში შედგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

## ლინარესის ტურნირი

XIII ტური: ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-**ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) 0.5:0.5; **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია)-**ლევონ არონიანი** (სომხეთი) 0.5:0.5; **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 1:0; **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) - 8 ქულა; 2. **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) - 7.5; 3-4. **ლევონ არონიანი** (სომხეთი), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) - 7; 5. **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) - 6.5; 6. **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა) - 6; 7-8. **ალექსეი შიროვი** (ესპანეთი), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი) - 5.

კალათბურთი

## სტერნი ოკლაჰომას შეამოწმებს

როგორც უკვე ვწერდით, ოკლაჰომა-სიტის მთავრობამ რეფერენდუმი ჩაატარა იმის თაობაზე, სურს თუ არა ქალაქის მოსახლეობას NBA-ის ჩემპიონატში საკუთარი გუნდი ჰყავდეს. ოკლაჰომა-სიტის მაცხოვრებელთა უმრავლესობამ დასმულ შეკითხვას დადებითად უპასუხა. ახლა, ამ ქალაქში ჩასვლას აპირებს NBA-ის კომისია, რომელსაც ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** უხელმძღვანელებს. ლიგის შეფობას აინტერესებს, რამდენად შეესაბამება ოკლაჰომა-სიტი NBA-ის დონეს.

ცნობილია, რომ ოკლაჰომაში გადაბარგების მთავარი კანდიდატი "სიეტლ სუპერსონიქსია".

## მაიამი რაილის გარეშე ითამაშებს

ცნობილია, რომ "მაიამი ჰიტს" პლეი ოფში მოხვედრის, პრაქტიკულად, არანაირი შანსი აღარ დარჩა. ამის გამო, კლუბის ხელმძღვანელობამ მომავალი სეზონისთვის ზრუნვა დაიწყო. "ჰიტს" თავისი მთავარი მწვრთნელის, **პატ რაილის** გარეშე მოუწევს რამდენიმე შეხვედრის ჩატარება. ლეგენდარული დამრიგებელი სტუდენტური საკალათბურთო ასოციაციის (NCAA) რამდენიმე შეხვედრაზე დასწრებასა და მომავალი დრაფტისთვის სასურველი კალათბურთელების შერჩევას აპირებს.

*"ჩემი აზრით, 2008 წლის დრაფტზე ფართო არჩევანი იქნება. რამდენიმე კალათბურთელის გვარი უკვე ჩანიშნული მაქვს. მათი თამაში ტელევიზორით ვნახე და ახლა ამ მოთამაშეების ცოცხლად ხილვის დრო მოვიდა, თუნდაც ამისთვის NBA-ის რამდენიმე თამაშის გამოტოვება მომიხდეს"*, - აცხადებს რაილი.

## პოლარდმა სეზონი დაასრულა

"ბოსტონ სელტიქსმა" სეზონის ბოლომდე დაკარგა სათადარიგო ცენტრი **სკოტ პოლარდი**. ვეტერან კალათბურთელს ფეხის სერიოზული ტრავმა აღმოაჩნდა, რომლის მკურნალობას დიდი დრო დასჭირდება.

პოლარდმა ბოლო 25 მატჩიდან მხოლოდ ორში მიიღო მონაწილეობა. "სელტიქსის" ხელმძღვანელობამ ცენტრის პოზიციის გასაძლიერებლად ადრიანად იზრუნა და ცოტა ხნის წინათ, კიდევ ერთ ვეტერანთან, **პი ჯეი ბრაუნთან** გააფორმა კონტრაქტი.

## უოლასი ერთ კვირაში დაბრუნდება

"შარლოტ ბობკეტსის" ერთ-ერთი ლიდერი **ჯერალდ უოლასი** ერთ კვირაში დაუბრუნდება მოედანს. როგორც იცით, ფორვარდი 22 თებერვლის შემდეგ ვერ ახერხებს თამაშს. "საკრამენტოსთან" მატჩის დროს, უოლასს **მიკი მურმა** თავში იდაყვი ჩაარტყა და შარლოტელმა ტვინის მძიმე შერყევა მიიღო.

უოლასი ჯერჯერობით, არ შედგომია სრულფასოვან ვარჯიშებს და მხოლოდ ბურთის კალათში სროლით შემოიფარგლება.

## კევინ ჯონსონი მერობას აპირებს

"ფინიქს სანზის" ყოფილი გამთამაშებელი **კევინ ჯონსონი** პოლიტიკაში წასვლას აპირებს. წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა თავის მომხრეებთან შეხვედრაში განაცხადა, რომ ქალაქ საკრამენტოს მერობაზე იყრის კენჭს.

კალიფორნიის დედაქალაქში არსებობს სკოლა, რომელიც სწორედ ყოფილი კალათბურთელის ფონდიდან იღებს დაფინანსებას. Sacramento Bee-ის ინფორმაციით, ჯონსონის არჩევის შემთხვევაში, ახალი მერი ქალაქის მოსახლეობას "საკრამენტო კინგზის" საშინაო მოედნის, Arco Arena-ის რეკონსტრუქციას ჰპირდება.

## ჰიუსტონმა მინის შემცვლელი იპოვნა

ჩინელი **იაო მინის** უმძიმესი ტრავმის გამო, "ჰიუსტონ როკეტსში" პრობლემატური გახდა ცენტრის პოზიცია, სადაც ვეტერან **დიკემბე მუტომბოს** უწევს თამაში. კლუბის ხელმძღვანელობამ მდგომარეობის გამოსწორებაზე იზრუნა და ამ მიზნით "საკრამენტო კინგზის" ყოფილ ცენტრთან, **ჯასტინ უილიამსთან** გააფორმა კონტრაქტი. ახალწვეულს "როკეტსში" ადგილი მას შემდეგ გამოუთავისუფლდება, როცა **ბობი ჯონსის** 10-დღიან კონტრაქტს გაუვა ვადა.

*"ჰიუსტონი" ჯასტინით ჯერ კიდევ შარშან დაინტერესდა - სკაუტები მას ვარჯიშებზე იწვევდნენ და რეგულარულ ჩემპიონატში უილიამსის თამაშს ადევნებდნენ თვალს"*, - აცხადებს კალათბურთელის აგენტი.

ჯასტინ უილიამსმა წლევანდელი სეზონი "საკრამენტოში" გაატარა და ის გუნდიდან **მაიკ ბიბის** ტრეიდამდე ცოტა ხნით ადრე გაუშვეს. სააგენტო AP-ის ცნობით, "ჰიუსტონის" გარდა ამ ცენტრის დამატებით "დალასი" და "იუტა" იყვნენ დაინტერესებულნი.

ჩოგბურთი

## გოლოვინი ისევ ტრავმირებულია

ფრანგი ჩოგბურთელი **ტატიანა გოლოვინი** მარტში ორ დიდ ტურნირს გამოტოვებს - ის ინდიან უელსისა და მაიამის ჩემპიონატებს დააკლდება.

გოლოვინს კვლავინდებურად ტრავმები აწუხებს და მისი უთამაშებლობის მიზეზიც ეს გახლავთ. ფრანგი ჩოგბურთელი WTA-ს ტურში დაბრუნებას აპრილის დასაწყისში გეგმავს, როცა ამელია აილენდის ტურნირით გრუნტის სეზონი გაიხსნება.

ჰოკეი

## სუნდინმა 1300-ე მატჩი ითამაშა

"ტორონტოსა" და "ბოსტონს" შორის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა საიუბილეო აღმოჩნდა ტორონტოელთა შვედი კაპიტნისთვის, **მატს სუნდინისთვის**. ვეტერანმა მოთამაშემ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 1300-ე მატჩი ჩაატარა. ასე რომ, სუნდინი 46-ე ჰოკეისტია ლიგის ისტორიაში, ვინც ამ ზღვარს მიაღწია.

სუნდინმა "ბოსტონის" განადგურებაში (8:2) დიდი წვლილი შეიტანა - მან გოლი და ორი შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ეს შვედი ფორვარდის 553-ე შაიბა იყო ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიუსტონის 17 გაელვება

მეოთხე მეოთხედის დასაწყისში **ტრეისი მაკგრეიდიმ რაფერ ალსონის** ფარზე ჩაკიდებული ბურთი დაიჭირა და ლაზათიანი ლურსმანი ჩააჭედა "მავერიქსის" კალათში. ამის შემდეგ, ფარზე დაკიდებულმა ტი-მაკმა თავი "დალასის" სათადარიგოთა სკამისკენ მიატრიალა და მასპინძლების მწვრთნელს, **ეივერი ჯონსონს** ჰოლივუდის ღიმილი ესროლა... ამ მომენტის შემდეგ, სტუმრებმა თამაში დაიჭირეს და არ გასჭირვებიათ ზედიზედ მე-17 გამარჯვების მოპოვება.

მით უმეტეს, რომ "დალასს" შემადგენლობაში არ ჰყოლია **დირკ ნოვიცკი**, რომელიც "იუტას" რუსი ლეგიონერის, **კირილენკოს** წინააღმდეგ გამოჩენილი უხეშობისთვის იხდიდა ერთმატჩიან სასჯელს. მრისხანე გერმანელის გარეშე დარჩენილმა "მავერიქსმა" საკუთარი სამწამიანი ვერ გაამაგრა და გარდა **სკოლასა** და **ლენდრისა**, რომლებისთვისაც ფარქვეშ გარღვევა პირდაპირი მოვალეობაა, "დალასის" კალათი "ჰიუსტონის" რეაქტიულმა მცველებმაც აანიოკეს. მაკგრეიდი და ელსტონი კი, ზედიზედ ათამაშებდნენ ეფექტურ "ორსვლიანებს".

"როკეტსი" ბურთს ძალიან ფაქიზად ეპყრობოდა და ცდილობდა გაუმართლებელი ინდივიდუალიზმი დაევიწყებინა. თავად შეაფასეთ პროდუქტიულობა: სტუმრებმა სულ ხუთი შეცდომა დაუშვეს გადაცემების დროს - მართლაც შთამბეჭდავი მაჩვენებელია. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ "კოვბოებმა", რომლებმაც ორჯერ მეტი შეცდომა დაუშვეს და შეტევაშიც ულიმღამოდ გამოიყურებოდნენ, ყველა კომპონენტში დათმეს მატჩი. "ჰიუსტონმა" კი, ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა. ამ გუნდმა 17 მატჩია არ იცის, რა არის წაგება. თავის მხრივ, "დალასი" ბოლო 13 შეხვედრაში პირველად დამარცხდა საკუთარ მოედანზე.

### ტურის გმირი: ჟოაკიმ ნოა

ამ ტურში მოთამაშე კალათბურთელებიდან, ალბათ, ყველაზე მეტი წვლილი თავისი გუნდის გამარჯვებაში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელის **იანიკ ნოას** ვაჟმა, **ჟოაკიმ ნოამ** შეიტანა. მარტო იმიტომ არა, რომ ფლორიდას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა მოხსნების რაოდენობით პირადი რეკორდი დაამყარა. არც იმიტომ, რომ ნოა შეტევაში ეფექტურად ირჯებოდა - ამას NCAA-ში ისედაც ყოველდღე ხედავდნენ. დებიუტანტი განსაკუთრებულ შექებას იმის გამო იმსახურებს, რომ ბრწყინვალედ გაართვა თავი ცოტა ხნის წინათ თავისი თანაგუნდელის, **ბენ უოლასის** მეურვეობას, რომელიც პირველად გამოჩნდა United Center-ში ახალი კლუბის, "კლივლენდის" მაისურით.

ჟოაკიმი ყველაფერს ძალიან სწრაფად აკეთებდა: იღებდა გადაწყვეტილებებს, აკეთებდა პირველ ნაბიჯს, კარგად დგამდა პოზიციისთვის ბრძოლაში კორპუსს... ბიგ ბენმა 10 მოხსნა არა თავისი თამაშით, არამედ გამოცდილების შედეგად დააგროვა. ნოას გამარჯვების ფონზე, სრულიად სამართლიანი ჩანს "ხარების" მოგება - 107:96.

### ტურის ანტიგმირი: გრეგ პოპოვიჩი

არავის ეპარება ეჭვი, რომ "სან ანტონიოს" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი** თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. მაგრამ ხანდახან, ამ სპეციალისტის მოქმედება გაკვირვებასა და უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს. რა თქმა უნდა კარგია, როცა ადამიანს ქარიზმა აქვს და საკუთარ მნიშვნელობას გრძნობს, მაგრამ, როცა თვითპატივისცემის პროცესი ყოველგვარ ზღვარს სცილდება, ეს უკვე საგანგაშოა. "ინდიანასთან" მატჩის მეორე მეოთხედში, პოპოვიჩი თავს დაესხა ერთ-ერთ მსაჯს, **მარკ ვუნდერლიხს**. მწვრთნელს თავისუფლად შეეძლო სამსაჯო მაგიდასთან მისულიყო და ახსნა-განმარტება მოეთხოვა. გრეგმა კი, ჯერ პლასტიკური ჭიქების მსხვრევა დაიწყო, შემდეგ კი ისე იწევდა მსაჯისკენ, თითქოს მისი ლინჩის წესით გასამართლება სურდა. საბოლოოდ, გაცხარებული პოპოვიჩი ძლივს წაიყვანეს გასახდელში. "სპურსი" ერთი თამაშით გრეგის ასისტენტმა **მაიკ ბუდენჰოლცერმა** ჩაიბარა... მოქმედი ჩემპიონისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა: **დანკანი** და კომპანია ცალი ხელით გაუსწორდა "პეისერსს".

### ტურის ციფრი: 89

უკვე მერამდენედ, ამა თუ იმ სტატისტიკურ ნომინაციაში "კლივლენდის" ლიდერი, **ლებრონ ჯეიმსი** იმარჯვებს. ამჯერად, ლებრონი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა ორდღიანი სერიის განმავლობაში დაგროვილი ქულების მიხედვით. ორი დღის წინ, კლივლენდელმა 50 ქულა ჩაუგდო "ნიუ იორკს", გუშინ კი, ამას "ჩიკაგოსთან" დაგროვებული 39 ქულაც დაუმატა. ჯამში 89 ქულა გამოვიდა, რაც ბოლო წლებში საუკეთესო შედეგი ყოფილა.

### ტურის ფრაზა

*"ბიჭებს, ალბათ, მოუწევთ ვარჯიშზე შემოიხედონ, რათა ხვალ მსგავსი კაზუსი არ განმეორდეს"*, - აღნიშნა **ეივერი ჯონსონმა** მას შემდეგ, რაც მისმა "დალასმა" 15 ქულით წააგო შინ "ჰიუსტონთან".

**ჩიკაგო-კლივლენდი 107:96**

21:17, 26:34, 34:16, 26:29

**ჩიკაგო:** დენგი (23 ქ. 8 მ. 4 პ), გორდონი (23 ქ. 6 მ. 4 პ), ნოა (13 ქ. 20 მ. 2 პ), ჰიუზი (12 ქ. 3 მ. 3 პ), გუდენი (12 ქ. 8 მ), ნოჩიონი (11 ქ. 4 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (39 ქ. 3 მ. 3 დ), დევინ ბრაუნი (15 ქ. 4 მ. 4 პ), შჩერბიაკი (14 ქ. 7 მ. 3 პ), ვარეჟაო (4 ქ. 10 მ), ბ. უოლასი (2 ქ. 10 მ).

**დალასი-ჰიუსტონი 98:113**

24:25, 26:27, 20:35, 28:26

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (21 ქ. 7 მ), ტერი (17 ქ. 3 პ), სტექჰაუზი (11 ქ. 4 პ), კიდი (7 ქ. 6 მ. 6 პ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (31 ქ. 9 პ. 3 მ), ალსტონი (24 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ლანდრი (17 ქ), სკოლა (12 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), ბ. ჯექსონი (10 ქ. 5 მ), ბეტიე (9 ქ).

**სან ანტონიო-ინდიანა 108:97**

27:27, 232:21, 34:21, 24:28

**სან ანტონიო:** ჯინობილი (28 ქ. 5 მ. 3 პ), ტ. პარკერი (19 ქ. 5 პ. 3 ჩ), ბონერი (15 ქ. 4 მ), ფინლი (12 ქ. 5 მ), დანკანი (6 ქ. 12 მ).

**ინდიანა:** გრეინჯერი (22 ქ. 6 მ. 6 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (13 ქ. 5 მ. 2 ჩ), მერფი (13 ქ. 6 მ. 2 ჩ), დიენერი (11 ქ), რ. მიურეი (11 ქ. 3 პ. 2 ჩ).



პოპოვიჩი გიჟს ჰგავდა

## ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### D ჯგუფი

**პარტიზანი-მონტეპასკი 78:75**

16:13, 16:21, 15:20, 31:21

**პარტიზანი:** პალასიო (26 ქ. 4 მ. 2 ჩ), პეკოვიჩი (16 ქ. 7 მ. 3 პ), კეჩმანი (10 ქ. 3 მ. 3 პ), ველიჩკოვიჩი (10 ქ. 4 მ. 4 პ), ტეპიჩი (9 ქ. 2 ჩ).

**მონტეპასკი:** მაკინტაირი (16 ქ. 4 პ. 3 ჩ), ეზე (16 ქ. 5 მ), სთოუნრუქი (13 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ.

**პანათინაიკოსი-ეფესი 74:65**

15:20, 16:18, 23:14, 20:13

**პანათინაიკოსი:** ბატისტე (20 ქ. 6 მ), სპანულისი (15 ქ. 4 პ. 2 ჩ), დიკუდისი (12 ქ), დიამანტიდისი (11 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ).

**ეფეს პილზენი:** ჰატსონი (21 ქ. 8 მ. 2 პ), გრეგორი (12 ქ. 4 მ. 2 პ), არსლანი (9 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 3-1 | +26 |
| 2. პარტიზანი | 2-2 | -3 |
| 3. პანათინაიკოსი | 2-2 | -8 |
| 4. ეფესი | 1-3 | -15 |

### E ჯგუფი

**ფენერბახჩე-არისი 59:60**

15:22, 17:12, 13:16, 14:10

**ფენერბახჩე:** სოლომონი (13 ქ. 4 პ), აშიქი (13 ქ. 11 მ. 5 დ), ონანი (11 ქ), ერდენი (9 ქ. 9 მ).

**არისი:** მასეი (18 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), ბ. რაიტი (12 ქ. 4 მ), მოტოლა (9 ქ. 3 მ), **ვლადიმერ ბორისა** (5 ქ. 5 მ. 2 პ).

**ტაუ ვიტორია-ლ. რიტასი 87:84**

28:26, 17:22, 27:19, 15:17

**ტაუ:** პლანინიჩი (16 ქ. 8 პ. 6 მ. 3 ჩ), პრიჯიონი (16 ქ. 4 პ), სპლიტერი (13 ქ), ტელეტოვიჩი (15 ქ), იასაიტისი (12 ქ), უ. მაკდონალდი (10 ქ. 4 მ).

**ლიეტუვოს რიტასი:** ბაირამოვიჩი (18 ქ. 5 მ), ეიდსონი (15 ქ. 3 პ. 3 ჩ), ვრომანი (15 ქ. 7 მ), ჰ. პრაისი (14 ქ. 5 პ. 3 მ), ლუკაუსკისი (13 ქ. 7 პ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 4-0 | +43 |
| 2. ფენერბახჩე | 2-2 | -8 |
| 3. ლიეტუვოს რიტასი | 1-3 | +5 |
| 5. არისი | 1-3 | -40 |

### F ჯგუფი

**მაკაბი-ოლიმპიაკოსი 82:87**

25:21, 25:23, 21:17, 11:26

**მაკაბი:** ბლუტენტალი (19 ქ), ე. ბატისტა (15 ქ. 8 მ. 2 დ), ტ. მორისი (15 ქ. 10 მ. 2 პ), უ. ბინუმი (13 ქ).

**ოლიმპიაკოსი:** ლ. გრირი (27 ქ. 6 პ. 3 მ. 3 ჩ), მ. ჯექსონი (15 ქ), ვასილოპულოსი (10 ქ), პრინტეზისი (9 ქ. 4 მ).

**ჟალგირისი- რეალი 69:83**

14:14, 16:30, 23:21, 16:18

**ჟალგირისი:** მ. პოპოვიჩი (18 ქ. 3 პ), მ. ბრაუნი (15 ქ. 3 მ), იანკუნასი (13 ქ. 9 მ), მაციულისი (10 ქ. 3 მ).

**რეალი:** ფ. რეიესი (18 ქ. 7 მ. 3 ჩ), თუნჩერი (16 ქ. 3 პ), ბალოკი (15 ქ. 3 პ), რ. ლოპესი (10 ქ), პაპადოპულოსი (7 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 3-1 | +8 |
| 2. მაკაბი | 2-2 | +3 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 2-2 | -11 |
| 4. ჟალგირისი | 1-3 | 0 |

### G ჯგუფი

**რომა-ცსკა 54:82**

10:28, 15:20, 15:16, 14:18

**რომა:** ჯააბერი (18 ქ. 4 ჩ. 2 მ), ე. ლორბეკი (14 ქ. 8 მ. 2 პ. 2 ჩ), უკიჩი (8 ქ).

**ცსკა:** შიშკაუსკასი (25 ქ. 4 მ. 2 ჩ), ლენგდონი (!4 ქ), ჰოლდენი (11 ქ. 3 მ. 3 ჩ. 2 პ), დ. ანდერსენი (9 ქ. 4 მ. 2 დ), გორე (4 ქ. 9 მ. 3 დ).

**უნიკახა-ბარსელონა 62:61**

11:15, 23:17, 14:15, 14:14

**უნიკახა:** კუსი (15 ქ), სანტიაგო (11 ქ. 7 მ), ნდონგი (9 ქ. 9 მ).

**ბარსელონა:** ლაკოვიჩი (16 ქ. 3 პ), ბაზილე (8 ქ), პ. სანჩესი (7 ქ. 4 ჩ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 3-1 | +41 |
| 2. ბარსელონა | 2-2 | +13 |
| 3. უნიკახა | 2-2 | -4 |
| 4. რომა | 1-3 | -50 |





ლონდონის მარათონი

# რედკლიფი ლონდონში არ გაირბენს

მარათონულ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენმა, ბრიტანელმა **პოლა რედკლიფმა** განაცხადა, რომ ტრავმის გამო, მონაწილეობას ვერ მიიღებს ლონდონის მარათონზე, რომელიც სამჯერ აქვს მოგებული. 34 წლის მორბენალმა მარჯვენა ფეხის ცერი მექსიკაში, მაღალმთიან რეგიონში ვარჯიშის დროს მოიტეხა, რის გამოც, ლონდონისთვის მზადების პროცესი შეუწყდა.

*"ძალიან მინდოდა ლონდონში გამოსვლა და ამ მარათონის მეოთხედ მოგება, მაგრამ ტრავმის გამო, ეს შეუძლებელი იქნება. ვწუხვარ, მაგრამ ჩემი განაცხადის უკან გახმობა მიწევს. არადა, ლონდონში ასპარეზობა შესანიშნავი მოსამზადებელი ეტაპი იქნებოდა პეკინის ოლიმპიადის წინ"*, - განაცხადა რედკლიფმა, ვისაც ლონდონის მარათონი 2002, 2003 და 2005 წლებში აქვს მოგებული.

რედკლიფი აღიარებს, რომ ტრავმა უმნიშვნელოა, მაგრამ იმასაც დასძენს, რომ ლონდონში მოუმზადებლად ასპარეზობა არ სურს. ახლა კი მისი მთავარი პრიორიტეტი პეკინის ოლიმპიადა იქნება.

*"როცა მარათონისთვის ემზადები, ვარჯიშის დროს ყველანაირი შეფერხება დაუშვებელია. ჩემი ტრავმა არაა სერიოზული, მაგრამ მის მოშუშებას გარკვეული დრო სჭირდება. ეს კი ლონდონური მარათონისთვის მზადების პროცესში სერიოზული ჩავარდნაა. ლონდონში კი ისე არ გამოვალ, თუ დარწმუნებული არ ვიქნები, რომ გამარჯვებისთვის ბრძოლა შემეძლება. ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი პეკინის ოლიმპიადისთვის კარგად მომზადებაა"*, – ამბობს რედკლიფი.

სხვათა შორის, რედკლიფს ლონდონის მარათონზე არც 2004 წელს, ათენის ოლიმპიადის წინ უასპარეზია, თუმცა თავდაპირველად, მას საორგანიზაციო კომიტეტში განაცხადი შეტანილი ჰქონდა. მაშინ, მარათონის გარდა, მორბენალი ოლიმპიადაზე სატრეკო შორ დისტანციებზე, 5 000 და 10 000 მეტრზე გამოსვლასაც გეგმავდა. თუმცა საბოლოოდ, ოლიმპიადა ხელმოცარულმა დატოვა.

ლონდონის მარათონი 13 აპრილს ჩატარდება და მის ქალთა ბადეში იასპარეზებენ ისეთი ძლიერი მორბენლები, როგორებიც არიან მარათონ მეიჯერსის პირველი (და ჯერჯერობით, ერთადერთი) ჩემპიონი, ეთიოპიელი **გეტე ვამი**, მისი თანამემამულე, ჩიკაგოს მარათონის ჩემპიონი **ბერანე ადერე** და მარათონული დისტანციის რუმინელი ვარსკვლავი **კონსტანტინა ტომესკუ-დიტა**.

## ველოსპორტი

უთანხმოება

# კოლექტიური სუიციდი

საგზატკეცილო ველოსპორტში საფრანგეთის ჩემპიონი, სამთო ეტაპების სპეციალისტი **კრისტოფ მორო** შეშფოთებულია ველოსპორტის საერთაშორისო კავშირსა (UCI) და ტურ დე ფრანსის ორგანიზატორ "ამორი სპორტს ორგანიზასიონს" შორის არსებული განხეთქილებით და ამბობს, რომ თუ სიტუაცია არ შეიცვალა, ორი მოქიშპე მხარე ველოსპორტს დაღუპვამდე მიიყვანს.

*"ალბათობა იმისა, რომ მთელი სეზონი ჩაიშლება, საკმაოდ დიდია. ეს კონფლიქტი მოგებულს არავის დატოვებს. ეს იგივეა, რომ დინამიტები ჩვენს სარტყელზე თავადვე მივამაგროთ და შემდეგ დაველოდოთ, აფეთქდება თუ არა. ასეთ საქციელს კოლექტიური თვითმკვლელობის აქტს შევადარებდი"*, – ამბობს მორო, ვინც სეზონის პირველ პრესტიჟულ ტურნირზე, პარიზი-ნიცას რბოლაზე საასპარეზოდ, მის გუნდ "აგრიტუბელთან" ერთადაა მიწვეული.

კავშირსა და ველომარათონების (ტური, ჯირო და ვუელტა) ორგანიზატორებს შორის უთანხმოება იმის გამო წარმოიქმნა, რომ კავშირის წესებით, ველომარათონებზე ასპარეზობის უფლება პრო ტურის ლიცენზიის მქონე ყველა გუნდს ეძლევა. ველომარათონების ორგანიზატორებს კი გუნდების თავიანთი შეხედულების შესაბამისად მიწვევა სურთ. ყველაზე მწვავედ, ამ საკითხს "ამორი სპორტსი" აყენებს, რომელიც ფრანგული ტურის გარდა, კიდევ რამდენიმე პრესტიჟულ რბოლას (მათ შორის, პარიზი-ნიცასაც) ატარებს.

მხარეებს შორის უთანხმოება განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც "ამორი სპორტსმა" ფრანგულ ტურზე არ მიიწვია ყაზახური გუნდი "ასტანა" და მასთან ერთად, ტურის შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი **ალბერტო კონტადორი**.

პარიზი-ნიცას რბოლა სტარტს ხვალ აიღებს, კავშირი კი იმუქრება, რომ ის გუნდები და ველომრბოლელები, რომლებიც "არალეგალურ, მეკობრულ" რბოლაში გამოვლენ, პრო ტურისგან დისკვალიფიკაციით, ან სოლიდური ჯარიმით დაისჯებიან.

*"ჩვენ ძალიან მძიმე სიტუაციაში ვართ. ერთის მხრივ, კავშირი თავისი წესების შესრულებისკენ მოგვიწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სერიოზული სანქციებით გვემუქრება. მეორეს მხრივ, მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული და საინტერესო რბოლების ორგანიზატორები თავიანთ ტურნირზე გვეპატიჟებიან. ამ ორს შორის არჩევანი ძალიან ძნელი გასაკეთებელია. ჩვენი სპორტული კარიერა არც ისე დიდხანს გრძელდება, რომ ის ვილაცის ამბიციებსა და ინტერესებს შევწიროთ. ჩვენ სპორტში იმისთვის ვართ, რომ რბოლებში ვიასპარეზოთ. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იარსებოს ველოსპორტმა ტურის ან საერთაშორისო კავშირის გარეშე. სასწრაფოდ რაიმე შეთანხმება თუ არ მიიღწევა, ასე სპორტი დაიღუპება და ამაში დამნაშავე ორივე მხარე იქნება, ნაგებულნი კი პირველ რიგში, ჩვენ, ველომრბოლელები დავრჩებით"*, - სწუხს მორო.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

| I ლიგა | |
|---|---|
| სუონსი-მილუოლი | 1:2 |

| II ლიგა | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-ლინკოლნი | 4:1 |
| გრიმსბი-მილტონი | 0:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-ჰერტა | 1:1 |

| II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ალემანია-ფიურტი | 2:5 |
| აუგსბურგი-ბორუსია (მ) | 0:2 |
| კაიზერი-ფრაიბურგი | 0:0 |

| რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| ბაიერნი A-უნტერჰახინგი | 2:4 |
| ზიგენი-შტ. კიკერსი | 1:1 |

#### საფრანგეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ამიენი-ანჟერსი | 2:0 |
| ბასტია-ნიორი | 2:2 |
| ბრესტი-დიჟონი | 0:0 |
| შატორუ-გინგამი | 0:0 |
| ჰავრი-აიაჩო | 2:0 |
| ლიბურნი-გეონიონი | 2:0 |
| რეიმსი-ბულონი | 4:1 |
| სედანი-მონპელიე | 3:1 |
| კლერმონი-ტრუა | 1:2 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ჰერაკლესი-უტრეხტი | 2:1 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| დენ ჰააგი-აპელდორნი | 3:0 |
| ემენი-როსენდალი | 1:2 |
| დენ ბოში-მაასტრიხტი | 1:1 |
| დორდრეხტი-ცვოლე | 1:1 |
| ვოლენდამი-ომნივორლდი | 3:0 |
| ფორტუნა-ტელსტარი | 0:3 |
| იგლზი-ეინდჰოვენი II | 1:1 |
| ჰაარლემი-კამბური | 0:1 |
| ჰელმონდი-ვეენდამი | 1:2 |
| ვაალვიკი-ტოპ ოსი | 3:0 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| სტანდარდი-სტ. ტრუიდენი | 2:1 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| სეტუბალი-მარიტიმუ | 1:0 |

#### ფინეთის ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ჰაკა-იარო | 3:1 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| რაპიდი-შტურმი | 2:1 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| გენჩლერი-ბეშიქთაში | 1:2 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| კორკი-ბრეი | 0:0 |
| გალვეი-ბოჰემიანსი | 0:1 |
| სტ. პატსი-სლიგო | 3:1 |
| უნივერსიტი-დერი | 2:3 |
| ფინ ჰარპსი-კობ რამბლერსი | 2:1 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| კარმარტენი-ებერისტვიტი | 0:3 |
| ლანგეფნი-უელშპული | 0:1 |
| პორტ ტელბოტი-ლანელი | 0:1 |
| რილი-ნიუი | 1:0 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-კარპატი | 1:0 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ვიძევი-ლეხი | 1:1 |
| სოსნოვეცი-ლეგია | 2:1 |

#### ხორვატია

| | |
|---|---|
| ინკერი-ვარტექსი | 0:0 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| ფეჰერვარი-ჰონვედი | 0:0 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| დაჩია-გლორია (ბის) | 0:0 |
| კლუჯი-გლორია (ბუზ) | 2:0 |

### კალათბურთი

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ხუვენტუდი-კახასოლი | 102:82 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ნანსი-გრაველინი | 89:98 |
| რუანი-ვიში | 97:92 |

### ჰოკეი

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ტრაქტორი-ცსკა | 2:3 |
| ლადა-ლოკომოტივი | 3:1 |
| დინამო-ავანგარდი | 3:2 |
| მედ-აკ ბარსი | 1:4 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 2:4 |
| სევერსტალი-ხიმიკი | 1:1 |
| სპარტაკი-სკა | 7:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-ჰამბურგი | 1:4 |
| იზერლონი-კრეფელდი | 5:4 |
| ფრანკფურტი-ნიურნბერგი | 2:2 |
| აისბარენი-მანჰაიმი | 2:1 |
| აუგსბურგი-დიუსელდორფი | 1:4 |
| ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 4:4 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კოშიცე-პოპრადი | 6:4 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ჰიფკ-ტპს | 4:4 |
| ილვესი-ლუკო | 4:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 2:2 |
| სპარტა-ლიბერეცი | 2:3 |

### ჩოგბურთი

| ATP. დუბაი | |
|---|---|
| დავიდენკო-ლოპესი | 4:6, 6:4, 5:7 |
| ჯოკოვიჩი-როდიკი | 6:7, 3:6 |

| ATP. ლას ვეგასი | |
|---|---|
| კოროლიოვი-ანდერსონი | 2:6, 0:6 |

| WTA. ბანგალორი | |
|---|---|
| შნიდერი-ამანმურადოვა | 4:6, 6:4, 7:6 |
| ვ. უილიამსი-ზვონარევა | 6:4, 6:3 |
| ს. უილიამსი-როდიონოვა | 6:1, 6:4 |
| იანკოვიჩი-იან ძი | 3:6, 6:3, 3:6 |

## TV სპორტი

### 8 მარტი. შაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰერტა.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-არსენალი (არგენტინა).
18:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ნიუკასლი (LIVE).
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ფულჰემი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ატლეტიკო (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. IV ტური. რომა-ცსკა.
10:23 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-სელტიკი.
12:16 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე-არსენალი.
14:01 სპორტის სამყარო.
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით 12.5 კმ. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
14:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
16:31 ფეხბურთი. Barca TV.
16:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-მინესოტა.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი (LIVE).
20:28 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:58 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
21:30 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/4 ფინალი. ბარნსლი-ჩელსი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-მანჩესტერ სიტი.
01:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. პორტუგეზა-სან პაულუ (LIVE).
03:12 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-სელტიკი.
05:07 სპორტდოსიე.
05:34 სპორტის სამყარო.
06:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-მინესოტა.
07:51 ფეხბურთი. Barca TV.

#### EUROSPORT

11:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ლილეჰამერი. ნორვეგია.
12:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 30 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
14:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით 12.5 კმ. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
15:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 50 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
16:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
16:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით 10 კმ. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
17:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 50 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
17:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. HS130. ოსლო. ნორვეგია.
18:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა 15 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:15 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
23:45 პროფესიული კრივი (LIVE).
02:30 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბანგალორი. ინდოეთი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ფიორენტინა-ევერტონი.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბენფიკა-ხეტაფე.
15:45 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
16:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან პრი.
18:30 ხელბურთი. ევროპული თასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი (LIVE).
20:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლეონი (ესპანეთი)-ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია) (LIVE).
23:30 არმრესტლინგი.
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლას ვეგასი. აშშ (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია).
03:15 ახალი ამბები.

### 9 მარტი. კვირა

#### I არხი

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ-ვითა (LIVE).

#### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

11:00 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:05 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ფეიენოორდი (LIVE).
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-არსენალი (LIVE).
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ვესტ ჰემი.
23:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო (LIVE).
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:05 ინგლისის ჩემპიონატი. გიმარაეში-სპორტინგი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 სპორტდოსიე.
08:28 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
10:15 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:44 სპორტის სამყარო.
11:13 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. პორტუგეზა-სან პაულუ.
13:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:02 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი 15 კმ. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
15:03 ფეხბურთი. Barca TV.
15:12 ბილია. ჩემპიონთა თამაშები 2007.
15:41 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-დალასი.
17:29 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-არსენალი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-დეპორტივო (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი (LIVE).
01:56 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ვესტ ჰემი.
03:40 სპორტდოსიე.
04:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
05:49 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
07:32 ბილია. ჩემპიონთა თამაშები 2007.

#### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
13:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. კომბინაცია (სწრაფდაშვება). კრან-მონტანა. შვეიცარია (LIVE).
14:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი 15 კმ. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
14:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. სპრინტი 7.5 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
15:15 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
15:45 მულტისპორტი.
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი 12.5 კმ. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS128. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
18:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
19:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. III დღე. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
20:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან პრი (LIVE).
20:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
23:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
01:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. III დღე. ვალენსია. ესპანეთი.
02:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. პარიზი-ნიცა. პროლოგი.
03:00 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
03:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბანგალორი. ინდოეთი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია).
13:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. HS130. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
14:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან პრი. კვალიფიკაცია.
15:30 ახალი ამბები.
16:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. კომბინაცია (სლალომი). კრან-მონტანა. შვეიცარია (LIVE).
16:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლეონი (ესპანეთი)-ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი).
17:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზვეზდა (რუსეთი)-ვიბორგი (დანია) (LIVE).
19:15 მულტისპორტი.
19:30 ფრისტალ-ფეხბურთი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
20:30 ფოტოფრისტალი (მოტოციკლებით ჰაერში ტრიუკები). პრაღა. ჩეხეთი.
21:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია (LIVE).
23:30 ახალი ამბები.
23:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზვეზდა (რუსეთი)-ვიბორგი (დანია).
00:45 ფრენბურთი. ევროპული თასი. მამაკაცები. ფინალი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფრისტალ-ფეხბურთი. პარიზი. საფრანგეთი.
03:15 ახალი ამბები.
03:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლას ვეგასი. აშშ (LIVE).





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტოსპორტი

ფორმულა 1

## ლუისი 27 მილიონს მიაღწევს



საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა ბრიტანულმა გაზეთმა The Times-მა. საქმე ეხება ფორმულა 1-ის ახალგაზრდა ვარსკვლავის, **ლუის ჰემილტონის** შემოსავლებს.

ბრწყინვალედ ჩატარებული სადებიუტო სეზონის შემდეგ, "მაკლარენის" ვუნდერკინდი რიგითი ავტომრბოლების თანრიგიდან ყველაზე მაღალანაზღაურებად პილოტებს შორის ჩაეწერა.

"მაკლარენთან" 5-წლიანი და 92-მილიონიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, 23 წლის ინგლისელმა, შეიძლება ითქვას, უზრუნველი ცხოვრება მოიწყო. ამისთვის ლუისმა მადლობა საკუთარ მამას, **ენტონი დევიდსონს** უნდა გადაუხადოს, რომელიც ძალიან სერიოზულად მიუდგა მოლაპარაკებებისა და შემდეგ კონტრაქტის გაფორმების პროცესს. მან წინასწარი კონსულტაციაც კი გაიარა **სტივ რობერტსონთან - კიმი რაიკონენის** აგენტთან. სწორედ ამას ჰქვია საქმისადმი პრაქტიკული მიდგომა.

The Times წერს, რომ 2008 წელს, ჰემილტონის ხელფასი 13 მილიონ ევროს გაუტოლდება. ამას ემატება ბონუსები ეტაპების მოგებისთვის და რა თქმა უნდა, სოლიდური პრემია ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემთხვევაში.

მაშ ასე, 13 მილიონი 2008 წელს, 2009 - 15.6 მილიონი, 2010 - 18.2 მილიონი, 2011 - 20.8 მილიონი და 2012 - 23.4 მილიონი. გარდა ამისა, ჰემილტონის კონტრაქტში პილოტისთვის კიდევ ერთი სარფიანი პუნქტია ჩადებული. ბრიტანელი საკუთარი იმიჯის მეპატრონე გახდა. ათი წლის წინათ, "მაკლარენმა" თავად შექმნა ვარსკვლავების იმიჯზე კონტროლის სისტემა და გამოცანად რჩება, როგორ დაუთმო ჰემილტონს ეს უფლებები. მართლაც რევოლუციური დონის მოვლენაა!

მაშ ასე, ჰემილტონს უკვე აქვს კონტრაქტები ვიდეოთამაშების, ტანსაცმლის, საათებისა და მობილური ტელეფონების მწარმოებელ კომპანიებთან; ხელშეკრულების მიხედვით, ბრიტანელმა თითო ეტაპის მოგებისთვის 50 ათასი ევრო უნდა მიიღო, ჩემპიონის ტიტულისთვის - 2.6 მილიონი ევრო. საბოლოოდ გამოდის, რომ წელს ბრიტანელი პილოტის სუფთა მოგება მინიმუმ 18 მილიონი ევრო იქნება, მაქსიმუმი თანხა კი, შესაძლოა 27 მილიონამდე ავიდეს! თანაც ეს სუფთა მოგებაა, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ თანხებში უკვე გათვალისწინებულია გადასახადები.

ახალი ამბები

## სილვერსტოუნის რეკონსტრუქცია იწყება

ბრიტანეთის ავტომრბოლელთა კლუბმა (BRDC) "სილვერსტოუნის" ავტოდრომის პადოკის ახალი კომპლექსისა და პიტ-ლეინის კომპიუტერული ესკიზები გამოაქვეყნა.

ცნობილი ტრასის რეკონსტრუქციის პროგრამა რამდენიმე წელიწადზეა გათვლილი. ამასთან, პადოკსა და პიტ-ლეინს ახალ ადგილას, Club Abbey-ის მოსახვევებს შორის გადაიტანენ. გარაჟებთან ერთად კომპლექსში მოთავსდება მსაჯებისა და სამედიცინო პერსონალის ოთახები, ტრიბუნები სტუმრებისთვის და VIP-პერსონებისთვის.

გარდა ამისა, ტრასაზე გაჩნდება პიტ-ლეინიდან ახალი გამოსასვლელი და შესასვლელი, აგრეთვე შეიცვლება რამდენიმე მოსახვევის კონფიგურაცია.

*"სილვერსტოუნი ლეგენდარული ავტოდრომია, რომელსაც უდიდესი ისტორია გააჩნია. როცა ჩვენი პროექტი რეალიზებული იქნება, ის თანამედროვე ტრასად გადაიქცევა, რომელზეც ავტო და მოტოსპორტში ნებისმიერი შეჯიბრების ჩატარება იქნება შესაძლებელი, რისგანაც სიამოვნებას როგორც პილოტები, ასევე მაყურებლები მიიღებენ. ავტოდრომის რეკონსტრუქცია ნორტჰემპტონშირის ეკონომიურ წინსვლასა და ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს"*, - განაცხადა BRDC-ის პრეზიდენტმა, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **დეიმონ ჰილმა**.

## გერმანიაში ფორმულა ისევ RTL-ს დარჩა

გერმანულმა ტელეარხმა RTL-მა ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორმულა 1-ის შეფობასთან, შესაბამისად, კვლავაც ამ ტელეარხს ექნება გერმანიის ტერიტორიაზე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული რბოლების პირდაპირი ტრანსლიაციების ექსკლუზიური უფლება.

გასულ წელს, დიდი სპორტიდან მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, **მიხაელ შუმახერის** წასვლის შემდეგ, RTL-ის აუდიტორია 23 პროცენტით შემცირდა, მაგრამ მაყურებელთა საერთო რაოდენობამ მაინც მიაღწია 6 მილიონს. ეს ფორმულა 1-ში ორი გერმანული ავტოკონცერნის მონაწილეობით აიხსნება.

წელს, გერმანელები ტელეაუდიტორიის გაზრდას ვარაუდობენ, ვინაიდან 2008 წლის სეზონში, ფორმულა 1-ის გუნდებში ხუთი გერმანელი პილოტი იქნება წარმოდგენილი - **ნიკ ჰაიდფელდი, ნიკო როსბერგი, სებასტიან ფეტელი, ადრიან სუტილი** და **ტიმო გლოკი**. ფორმულაში ასეთი წარმომადგენლობა არცერთ ქვეყანას არ ჰყავს.

## ევროპაში ღამის ტესტები არ იქნება

ფორმულა 1-ის გუნდებმა უარი თქვეს ევროპაში ღამის ტესტების ჩატარებაზე. ადრე ვარაუდობდნენ, მსგავსი გამოცდები გუნდებს ფორმულას ისტორიაში პირველი ღამის რბოლისთვის (სინგაპურის გრან-პრი) უკეთ მომზადებაში დაეხმარებოდა. კერძოდ, უნდა გამოეცადათ ბოლიდები ჰაერისა და ტრასის საფარის უფრო დაბალ ტემპერატურაზე.

მაგრამ საბოლოოდ გაირკვა, რომ ღამის საათებში ტესტების ჩატარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თანაც, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია გუნდების ბიუჯეტების შემცირებას უჭერს მხარს. ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდები პირველად ღამის საათებში პრაქტიკას სინგაპურის გრან-პრის დროს გაივლიან.

## რენოში 526 ადამიანი მუშაობს

საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნა ესპანურმა გაზეთმა "მარკამ". როგორც ირკვევა, ფრანგულ გუნდ "რენოში" 526 ადამიანია დასაქმებული და ეს იმ დროს, როცა "ფერარისა" და "მაკლარენში" თანამშრომელთა რიცხვი 1000-ს აჭარბებს.

ამ ინფორმაციით გაზეთი ხაზს უსვამს იმას, რომ ფორმულას ტოპ-გუნდებს გაცილებით დიდი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე "რენოს". თუმცა ფრანგულმა გუნდმა 2005 და 2006 წლებში დაამტკიცა, რომ ფული მთავარი არ არის. სწორედ ამ სეზონებში გახდა ესპანელი **ფერნანდო ალონსო** ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი.

# ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

## როდიკმა ჯოკოვიჩის გაისტუმრა

დუბაიში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე უკვე ორივე ფინალისტი გამოვლინდა - მთავარი ჯილდოსთვის, რომელიც 300 000 დოლარს შეადგენს, ერთმანეთს ამერიკელი **ენდი როდიკი** და ესპანელი **ფელისიანო ლოპესი** დაუპირისპირდებიან. ნახევარფინალში მათ შესაბამისად, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** დაამარცხეს.

რა თქმა უნდა, ორი ნახევარფინალიდან უფრო საინტერესო ის იყო, რომელშიც ერთმანეთს ავსტრალიის ღიას ჩემპიონი და ეისების მანქანა როდიკი შეხვდნენ. პირველ სეტში ჯოკოვიჩი, ასე თუ ისე, ახერხებდა ამერიკელის მძლავრ მოწოდებებთან გამკლავებას. სამაგიეროდ, როდიკი ბურთის ხანგრძლივ გათამაშებაზე უჩვეულოდ სტაბილურად ირჯებოდა და შეცდომებით ნაკლებად ანებივრებდა მეტოქეს.

პირველ სეტში ერთადერთი ბრეიკის შანსი სერბს მეოთხე სეტში მიეცა, როდესაც ის 2:1-ს იგებდა და მეტოქის მოწოდებაზე 40:15 დაწინაურდა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში გამოადგა როდიკს თავისი ყუმბარმტყორცნი. მართალია, მას ეისები ამჯერად არ გამოუვიდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ სერბმა ორივე შემთხვევაში ბურთის მოგერიება ვერ შეძლო და ანგარიშიც გათანაბრდა. მერე საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც როდიკს უპირატესობის მოპოვება არ გასჭირვებია.

მეორე სეტის დასაწყისშივე აშკარა გახდა, რომ ჯოკოვიჩი მეტოქისგან დაბომბვას ველარ გაუძლებდა. ამერიკელმა თავის სერვისზე იოლად მოიგო პირველი გეიმი და მომდევნოში ბრეიკ პოინტს მიაღწია, მაგრამ სერბმა ქულის გადარჩენა მოახერხა. ანალოგიური სიტუაცია მეოთხე გეიმშიც შეიქმნა, მაგრამ ჯოკოვიჩმა ამჯერადაც გადაარჩინა ქულა. თუმცა, მერვე გეიმში ნავსი მაინც გატყდა. ამერიკელმა შეხვედრის განმავლობაში ერთადერთი ბრეიკი გაახერხა და მომდევნო გეიმში იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

*"ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ტაქტიკურად გააზრებულად ვთამაშობდი. ურიგოდ არც ის ირჯებოდა. მოწოდებაც შესანიშნავი აქვს და არც შეცდომებს უშვებს ხშირად. ძალიან გამიჭირდა მის მოწოდებაზე ქულებისთვის ბრძოლა. როცა მივხვდი, აგრესიით მისი გატეხვა შეუძლებელია, მომენტს დაველოდე. მეორე სეტის მიწურულს კი ბრეიკის რეალური შანსი გამიჩნდა, რაც ხელიდან აღარ გავუშვი"*, - განაცხადა როდიკმა.

ჯოკოვიჩმა კი თქვა, რომ შეხვედრის დასაწყისში ინერვიულა, რის გამოც თამაში ისე არ მისდიოდა, როგორც სურდა. *"დასაწყისში ვინერვიულე. ბურთის ხეირიანად დაბრუნება არ გამომდიოდა. თანაც, ის რომ ბურთს აწოდებს, მისი მიღება უკვე პრობლემაა. ამიტომ, მასთან თამაშისას, სასურველი რიტმის პოვნა ძნელდება. ერთი-ორჯერ ბრეიკის შანსი კი მქონდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მან პრობლემას მოწოდების ხარჯზე დააღწია თავი. ისე, პირველი სეტის ტაიბრეიკი რომ მომეგო, მაშინ გამარჯვებაზე ფიქრიც შეიძლებოდა"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

რაც შეეხება დავიდენკოს და ლოპესის შეხვედრას, ესპანელმა ის უხეიროდ დაიწყო. თავად განსაჯეთ, პირველ სამ გეიმში მან მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო. მეოთხეში კი უეცრად გაიბრწყინა და საპასუხო ბრეიკით ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, რუსმა იქვე კიდევ ერთხელ შეძლო მეტოქის სერვის-გეიმის მოგება. თითქოს, სეტი მის სასარგებლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ლოპესმა პირველი მინი-სასწაული მოახდინა, ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტში მხოლოდ ერთი ბრეიკი დაფიქსირდა და ისიც დავიდენკომ მოიპოვა. შედეგად, სეტებში ანგარიშიც გათანაბრდა. გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ლოპესი ვერანაირად ახერხებდა თამაშის აწყობას. რა თქმა უნდა, რუსმა ამით ისარგებლა და მეოთხე სეტში ბრეიკი აიღო. მაგრამ ესპანელმა ამჯერადაც შეძლო ის, რისი წყალობითაც პირველი სეტი მოიგო - მერვე გეიმიდან მოყოლებული, ყველა (ხუთივე) მოიგო და შეხვედრასაც გამარჯვების წერტილი დაუსვა.

პარალელურად, ბანგალორში (ინდოეთი) მიმდინარე ტურნირის ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგომა დებ უილიამსებს მოუწევთ. მეოთხედფინალში ორივემ რუსი მეტოქე დაამარცხა. **ვენუს უილიამსმა** მოუგო **ვერა ზვონარევას**, **სერენა უილიამსმა** კი **ანასტასია როდიონოვა** დაამარცხა. სენსაცია მოახდინა ჩინელმა **იან ძიმ**, რომელმაც ტურნირს მისი ერთ-ერთი ფავორიტი, სერბი **ელენა იანკოვიჩი** გამოთიშა. ნახევარფინალში ძის მეტოქე შვეიცარიელი **პატი შნიდერი** იქნება.

### ATP

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 426 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ, 6)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 7:6 (5), 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 3)-იგორ ანდრეევი (რუს) 6:2, 6:1; **ფელისიანო ლოპესი** (ესპ)-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:4, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუს, 5)-ენდი მარეი (ბრიტ) 7:5, 6:4.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

როდიკი (6)-ჯოკოვიჩი (3) 7:6(5), 6:3; ლოპესი-დავიდენკო (5) 6:4, 4:6, 7:5.

**Tennis Channel Open**

ლას ვეგასი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ევგენი კოროლიოვი** (რუს)-ფერნანდო გონსალესი (1) 6:3, 7:6 (4); **რობი ჯინეპრი** (აშშ)-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 3) 7:6 (7), 6:3; **კევინ ანდერსონი** (ს. აფრ)-ჯონ ისნერი (აშშ) 7:6 (7), 7:5; **ერნესტ გულბისი** (ლატ)-პეტერ ლუჩაკი (ავსტრა) 6:2, 6:1.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

დელიჩი-კანიასი (4); კერი-ბენეტო; კოროლიოვი-ანდერსონი (ს. აფრ); ჯინეპრი-გულბისი.

### WTA

**Bangalore Open**

ბანგალორი (ინდოეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი** (სერ, 1)-სანდრა მამიჩი (ხორ) 6:2, 6:2; **ვენუს უილიამსი** (აშშ, 2)-შუაი პენგი (ჩინ) 6:2, 6:7 (6), 6:2; **ვერა ზვონარევა** (რუს, 7)-აგნეს ჟატმარი (რუმ) 7:6 (5), 6:1; **იან ძი** (ჩინ)-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:2, 6:1.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

შნიდერი (4)-ამანმურადოვა 4:6, 6:4, 7:6; ვ. უილიამსი (2)-ზვონარევა (7) 6:4,6:3; ს. უილიამსი (3)-როდიონოვა 6:1, 6:4; იან ძი-იანკოვიჩი (1) 6:3, 3:6, 6:3.



ფელისიანო ლოპესი


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა